F75√1760

ოლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

[illegible] ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

პარასკ[illegible] იანვარი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 2 (2348)

„კომუნისტი" მიიღება ხელის მოწერა 1929 წლისათვის

დიდი პოლიტიკური გაზეთი საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის და თბილისის კომიტეტის და სრ. საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის ორგანო

1929 წ. ხელის მომწერთ დაურიგდება კ. მარქსის „კაპიტალი" ქართულ ენაზე, ტ. I-ლი, 1000 გვ. ულამაზ[illegible] გამოცემა, თარგმნილი გერმანულიდან ქართულად—[illegible]. ქართული თარგმანის პასუხისმგებელი რედაქტორი—სახ. უნივ. რექტორი—[illegible].

გაზეთი წლიურ და „კაპიტალ"-ს დამატებით ღირს: შეღავათიანი ხელის მომწერისთვის—15 მ. 50 კაპ.; დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და კერძო პირებისათვის—19 მან.

დაწესებულებებს და კერძო პირებს 19 მანეთი [illegible]; შეღავათიან ხელის მომწერლებს შეუძლიათ ნაწილ-ნაწილ შეიტანონ (15 მ. 50 კაპ.) ფული შემდეგ ვადებში: ორი მანეთი ხელის მოწერისთანავე (წლიური ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ 5 იანვრამდე), დანარჩენი კი—თვიურად მანეთნახევარი, 9 თვის განმავლობაში, იანვრიდან დაწყებული.

ხ. [illegible] მიიღება ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებში, [illegible] „კომუნისტის" გამომცემლობის კანტორაში და [illegible] მთავარ კანტორაში რუსთაველის პ. № 34.

„კომუნისტი"-ს დამატების [illegible] ღირება

მუშა-მოსამსახურეებისათვის, წითელ-არმიელების, მოწაფეებისა და მასწავლებლებისათვის		დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის	
1 თვით 1 მ.—	7 თვით 6 მ. 70 კ.	1 თვით [illegible] 30 კ.	7 თვით [illegible]
2 „ 2 „—	8 „ 7 „ 65 „	2 „ [illegible]	8 „ [illegible]
3 „ 2 „ 40 „	9 „ 8 „ 60 „	3 „ [illegible]	9 „ [illegible]
4 „ 3 „ 63 „	10 „ 9 „ 55 „	4 „ 5—	10 „ 12 „ 60 „
5 „ 4 „ 80 „	11 „ 10 „ 50 „	5 „ 6 მ. 25 კ.	11 „ 13 „ 80 „
6 „ 5 „ 75 „	12 „ 11 „ 80 „	6 „ 7 „ 55 „	12 „ 15 „—

„კომუნისტზე"
[illegible]მოწერა იანვრისათვის
კანტორა: [illegible]სთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

საბჭოთა არჩევნებისათვის

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მიმართვა

ნაციონალური კომპარტიების ყველა ცენტრალური კომიტეტები-, ოლქო და საგუბერნიო კომიტეტებისადმი.

მოსკოვი, [illegible] იანვარი. ცეკა მიაქცევს პარტიულ ორგანიზაციების ყურადღებას იმ გარემოებას, რომ საბჭო[illegible] კამპანიას, რომელიც [illegible] საკუთრებული პოლიტიკური [illegible]ობა აქვს. კამპანია [illegible] ჩატარდება იმ დროს, როდესაც [illegible] სახელმწიფოები გან[illegible] საბჭოთა კავშირის [illegible] შემდეგობას და როდესაც ჩვენი ქვეყნის [illegible] კლასობრივი ბრძოლა თანდათან მწვავდება იმასთან დაკავშირებით, რომ კაპიტალისტური ელემენტები გაძლიერებულ წინააღმდეგობას უწევენ ჩვენს პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისაკენ. საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით ცეკა წინადადებას აძლევს ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს — დარაზმონ პროლეტარიატისა და გლეხობის მასები პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების შემდეგი ძირითადი ამოცანების ირგვლივ: 1. მშვიდობიანობის უზრუნველყოფა და საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარის განმტკიცება; 2. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის არსებული ტემპის უზრუნველყოფა; 3. მოსავლიანობის გადიდება და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია; 4. ბიუროკრატიზმთან ბრძოლის გაძლიერება და სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესება და გამარტივება.

იმ პირობებში, როდესაც თანდათან უფრო მწვავდებიან წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ სისტემაში, როდესაც ფართოვდება ბრძოლა კაპიტალსა და მუშათა კლასს შორის, როდესაც იმპერიალისტური ქვეყნები სცდილობენ თანდათან უფრო შეავიწროვონ საბჭოთა [illegible]

[illegible]

ყოფიერების გადიდებით, სამუშაოს გაცდენის მოსპობით, წარმოებებში შრომის დისციპლინის განმტკიცებით, თვითღირებულების ზედნადები ხარჯების მტკიცედ და გადაჭრით შემცირებით და წარმოების რაციონალიზაციით. ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელება ძირს გამოუთხრის ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას, კიდევ უფრო გაამწვავებს საქონლის ნაკლებობას, შეუძლებელს გახდის გლეხთა მასების დაკმაყოფილებას სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, სასუქით, საჭირო საქონლით, შეანელებს მუშათა კლასის ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობის ზრდას ჩვენს ქვეყანაში და, დასასრულ, ხელს შეუწყობს უმუშევრობის ზრდას.

პროლეტარული დიქტატურის საარსებო ინტერესები, ქალაქისა და სოფლის მშრომელთა უფართოესი მასების ინტერესები, მოითხოვენ ჩვენი ინდუსტრიალიზაციის ტემპის გაძლიერების უზრუნველყოფას. მაგრამ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის გაძლიერების ერთ-ერთ ძირითად დამაბრკოლებელ მიზეზს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით მარცვლეული მეურნეობის, განვითარების მეტად ნელი ტემპი.

[illegible] განვითარების მეტად ნელი ტემპის გამო, სოფლის მეურნეობა, [illegible] მრეწველობის სანედლეულო და სასურსათო ბაზისი, უკვე საკმაო აღარ არის მრეწველობის სწრაფი ზრდისათვის. სოფლის მეურნეობის განვითარების მეტად ნელი ტემპის გამო ჩვენ იძულებულნი ვართ შევამციროთ ჩვენი ექსპორტი, რაც თავის მხრივ გვაიძულებს შევზღუდოთ სამრეწველო მოწყობილობის შემოზიდვა ჩვენს ქვეყანაში. ამიტომ სოფლის მეურნეობის განვითარება, მისი მოსავლიანობის გადიდება იქცევა პარტიის [illegible] ამოცანად.

[illegible]ათვის, რომ განხორციელებულ [illegible] ცაკის უკანასკნელი სესიის გადაწყვეტილება მახლობელი ხუთი [illegible] განმავლობაში პურის მოსავლიანობის არა ნაკლებ 30-35 პროცენტით [illegible]დების შესახებ, საჭიროა, რათა ამ [illegible] ენერგიულად და გადაჭრით მო[illegible] ხელი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მასებმა. წვრილი გლეხური მეურნეობისათვის დახმარების გაწევა შეფარდებულ უნდა იქნას გლეხური მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის პოლიტიკასთან. მეთხუთმეტე პარტყრილობის და ცენტრალური კომიტეტის შემდეგმა პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე, გლეხობის საწარმოო კოოპერაციაში ჩაბმასთან და კოლექტივიზაციასთან, კონტრაქტაციის პრაქტიკის შემოღებასთან, ფართო საბჭოთა მეურნეობების მშენებლობასთან, გლეხობისათვის მანქანების, სათესლე მასალის და სხვ. მიწოდებასთან.

მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია მოვსპოთ ჩვენი სოფლის მეურნეობის საუკუნოებრივი ჩამორჩენილობა, უზრუნველვყოთ მისი განვითარების ისეთი ტემპი, როგორსაც მოითხოვენ ჩვენი ქვეყნის განვითარების პირობები.

უდიდესი ამოცანები, რომლებიც დგანან ჩვენი ქვეყნის წინაშე: ინდუსტრიალიზაციის გაძლიერებული ტემპის უზრუნველყოფა და, ამასთან დაკავშირებით, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, მოსავლიანობის გადიდება, სოფლის მეურნეობის მთელი პროდუქციის გადიდება და მისი სოციალისტური რეკონსტრუქცია მოითხოვენ ფართო პროლეტარული მშრომელი მასების ჩაბმას საბჭოთა აპარატის მთელს მუშაობაში, მთელი სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის მუშაობის თვისების გაუმჯობესებას, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, ბრძოლას სახელმწიფო აპარატის გამარტივებისა, გაუმჯობესებისა და გაიაფებისათვის და რევოლიუციონური კანონიერების უზრუნველყოფას. ამიტომ მომავალ არჩევნებში პარტიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას შეადგენს საბჭოების კავშირის გაძლიერება მუშურ-გლეხურ მასებთან, საბჭოებიდან კულაკური ელემენტების გაძევება, თვითკრიტიკის გადაჭრით გატარება, ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, ბრძოლა მასების მოთხოვნილებებისადმი იმ უყურადღებო დამოკიდებულების წინააღმდეგ, რომელიც აფერხებს პროლეტარული და, საერთოდ, მშრომელი მასების ჩაბმას სოციალისტურ მშენებლობაში.

პარტიამ და საბჭოებმა უკვე მიაღწიეს ერთგვარ შედეგებს სახელმწიფო აპარატში ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და საბჭოების გამოცოცხლების საქმეში. მაგრამ ეს მიღწევები არ არის საკმარისი, თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ფარგლებს და მოთხოვნილებებს. საჭიროა გავაძლიეროთ ბრძოლა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ჩვენს სახელმწიფო აპარატში პროლეტარული თვითკრიტიკის გაშლის საფუძველზე. საჭიროა აპარატის დაუზოგველად გაწმენდა პროლეტარიატისა და გლეხობისადმი მტრული ელემენტებისაგან და იმ მუშაკებისაგან, რომელნიც მოსწყდნენ მასებს.

საჭიროა არჩევნები ჩატარებულ იქნან საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების მიერ პარტიის ხაზის შესრულების შემოწმების ნიშან ქვეშ, ამ ხაზის გადამახინჯების გამომჟღავნების ნიშან ქვეშ. საანგარიშო-საარჩევნო მუშაობის ჩატარების დროს საჭიროა: ბიუროკრატიზმის მოვლენებისა და საბჭოთა ორგანოების მასებისაგან მოწყვეტის ფართო კრიტიკა, მასების ფართოდ ჩაბმა საბჭოთა აქტიურ მშენებლობაში და საუკეთესო მუშების, მოჯამაგირეების, ღარიბი და საშუალო გლეხების ფართოდ დაწინაურება საბჭოებში და აღმასკომებში.

სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის განმტკიცება, კოოპერაციის გაძლიერება, კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის განვითარება და გაძლიერებული შეტევა — სოფლის და ქალაქის კაპიტალისტურ ელემენტებზე, მე-15 პარტყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა თანახმად, ლახვარს ჩასცემს საბჭოთა ხელისუფლების კლასობრივ მტერს, ნეპმანს ქალაქში და კულაკს სოფელში. აქედან გამომდინარეობს კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, ამ ელემენტების აქტივობის გაძლიერება სოფლად და ქალაქში და მათი ცდა — საარჩევნო კამპანია გამოიყენონ თავიანთი ინტერესებისათვის, პროლეტარული დიქტატურისა და ბოლშევიკური პარტიული ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით საგრძნობლად გაძლიერდა კულაკის სხვადასხვა კონტრ-რევოლიუციონური ჯგუფების მტრული აქტივობა. ასეთ აქტივობას იჩენს თვით ეკლესიის მსახურნი და სექტანტებიც კი. მათ ფაქტიურად დახმარებას უწევენ ტროცკისტების არალეგალური ჯგუფები, რომელნიც არსებითად მენშევიკური ტიპის კონტრრევოლიუციონურ ორგანიზაციებად გადაიქცნენ. ასეთ პირობებში პარტიის მხრივ საჭიროა განსაკუთრებული სიფხიზლე და განსაკუთრებული აქტივობა. პარტიამ უნდა დარაზმოს მუშათა კლასი, მოჯამაგირეები და ღარიბი გლეხობა კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლაში, უნდა განავითაროს პროლეტარული და საბჭოთა საზოგადოებრივობის ყველა ორგანიზაციის (პროფკავშირები, კომკავშირი, ღარიბ გლეხთა ორგანიზაციები, ქალთა სადელეგატო კრებები და სხვ.) მაქსიმალური აქტივობა და გადამწყვეტი პასუხი უნდა გასცეს გათავხედებულ კულაკს და ქალაქის და სოფლის ყველა ანტისაბჭოთა ელემენტებს. ამისათვის საჭიროა არჩევნების დროს უზრუნველყოფილ იქნას იმ შეზღუდვების სისწორით გატარება, რომლებიც დაწესებულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ ექსპლოატატორული ელემენტების მიმართ. პარტორგანიზაციები ვალდებულნი არიან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ არ ხდებოდეს ამ შეზღუდვების მეტად ფართოდ გაგება, არ ვრცელდებოდნენ ისინი საშუალო გლეხობაზე, რომ საჭიროა ამ სფეროში დაშვებული შეცდომების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

ცეკას აზრით, მხოლოდ ასეთი პოლიტიკით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლი საბჭოებში, — პროლეტარიატისა, რომელიც უნდა დაეყრდნოს ღარიბ გლეხობას და მტკიცედ დაუკავშირდეს საშუალო გლეხობას. იმისათვის, რომ პარტიამ წარმატებით შეასრულოს საბჭოების მომავალ არჩევნებთან დაკავშირებული ყველა ამოცანა, საჭიროა, პარტიულმა ორგანიზაციებმა თანმიმდევრობით გაატარონ მკაფიო კლასობრივი ხაზი და გადაჭრით აღმოფხვრან ყოველგვარი მერყეობა და ლენინური ხაზიდან გადახრა, როგორიც არის კულაკებისათვის დათმობა, კაპიტულიაცია კაპიტალისტური ელემენტების წინაშე, მუშათა კლასისა და გლეხობის ძირითადი მასის (საშუალო გლეხობის) კავშირის არასაკმაოდ შეფასება, პარტიის პოლიტიკის გადამახინჯება საშუალო გლეხის მიმართ.

მხოლოდ ასეთი მკაფიო ხაზი შეაძლებინებს პარტიას გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიოს კულაკს და ყველა ანტისაბჭოთა ელემენტს და მუშათა კლასთან ერთად გლეხობის ფართო მასები გამოიყვანოს კულაკის და ნეპმანის წინააღმდეგ, დამზიანებლის და სპეკულიანტის წინააღმდეგ, დასძლიოს წვრილ-ბურჟუაზიული მერყეობა მშრომელთა ცალკე ფენებში, — მერყეობა, რომელიც გაძლიერდა პროლეტარიატისადმი მტრული ელემენტების ზეგავლენის შედეგად, განსაკუთრებით არსებულ სიძნელეთა ნიადაგზე.

ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ პარტიული ორგანიზაციები დასძლევენ იმ პოლიტიკურ და პრაქტიკულ ამოცანებს, რომელნიც სდგანან ჩვენს წინაშე საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით, შესძლებენ მშრომელთა ფართო მასების დარაზმვას პროლეტარიატის ხელმძღვანელობით პროლეტარული დიქტატურის შემდგომი განმტკიცებისა და შემდგომი გაძლიერებული სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გარშემო.

ახალ არჩევნებზე პარტია მიდის გაშლილი ლენინური დროშით და ღრმად დარწმუნებულია, რომ მის პოლიტიკას მტკიცედ და ურყევად მხარს დაუჭერენ მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობის ფართო მასები.

სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტი.

ამხ. ლიტვინოვის ნოტის გამოძახილი უცხოეთში

ინდოეთის ბრძოლა ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ

გადადგა სამხრეთ-სლავიის მთავრობა

კომენტარიები ამხ. ლიტვინოვის ნოტის შესახებ

გერმანიის პრესა

ბერლინი, 2 იანვარი. ლიტვინოვის მიერ პოლონეთის მთავრობისათვის გაგზავნილმა ნოტამ საგრძნობი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანიის პოლიტიკურ წრეებში. „ფოსიშე ცეიტუნგ"-ი წერილში, რომელსაც სათაურად აქვს „ლიტვინოვის გამოსვლა მშვიდობიანობისათვის", სწერს:

„ლიტვინოვმა ისარგებლა ახალი წლის დადგომით, რათა განმეორებით მოეხდინა იმის დემონსტრაცია, რომ საბჭოთა პოლიტიკა მშვიდობიანობისაკენ მიილტვის".

ბერლინი, 2 იანვარი. „ქელნიშე ცეიტუნგი" კომენტარიებს უკეთებს ამხ. ლიტვინოვის ნოტას და სწერს:

„ლიტვინოვის მიზანია—ჩამოაშოროს პოლონეთი ანტისაბჭოთა ფრონტს. ამრიგად, ლიტვინოვის წინადადება წარმოადგენს მოხერხებულ ნაბიჯს ინგლისის მიმართ. ლიტვინოვის წინადადების შემდეგ პოლონეთი ისეთ მდგომარეობაში ექცევა, როდესაც შეუძლებელია წინადადების პატიოსანი გზით უარყოფა, მით უმეტეს, რომ რამდენიმე წლის წინად პოლონეთს უკვე ჰქონდა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან თავდაუსხმელობის პაქტის შესახებ, მაგრამ ინგლისის ზეგავლენით ხელი აიღო მოლაპარაკების განგრძობაზე. ვინც ევროპის დამშვიდებისაკენ მიილტვის, ის გულწრფელად უნდა მიესალმოს ლიტვინოვის წინადადებას და მადლობა განუცხადოს საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეს აქტიური სამშვიდობო პოლიტიკისათვის". (ადს)

„დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგ"-ი აცხადებს,—ნოტა მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირს სერიოზულად აფიქრებს პოლონეთის სამხედრო ზრახვები და პოლონეთის ხრიკები ბელორუსიის საზღვრებზე.

„ნოტა,—სწერს გაზეთი,—ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირი აწარმოებს პროპაგანდას მშვიდობიანობისათვის და აგრეთვე სცდილობს პოლონეთს დააკისროს მორალური პასუხისმგებლობა აღმოსავლეთ ევროპაში შექმნილი ნერვიული მდგომარეობისათვის, რომელიც ომის საფრთხითაა გამოწვეული".

„ფრანკფურტერ ცაიტუნგ"-ი ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირის მოულოდნელ წინადადებას შედეგად მოჰყვება პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების (თავდაუსხმელობის შესახებ) პრაქტიკულად განხორციელებაო. ბერლინში ესალმებიან საბჭოთა კავშირის წინადადებას, თუმცა ხვამენ კითხვას, თუ რა განსაკუთრებულმა მიზეზებმა გამოიწვიეს იგი. რუმინეთიც ხომ შეუერთდა კელოგის პაქტს, მაგრამ საბჭოთა კავშირს მისთვის წინადადებით არ მიუმართავსო.

„ქელნიშე ცაიტუნგ"-ის ვარშაველი კორესპონდენტი იუწყება, რომ ნოტამ ვარშავის წრეებში გაცხოველებული ინტერესი გამოიწვია და ნოტას იქ საბჭოთა საგარეო პოლიტიკის მოხერხებულ მანევრად სთვლიან. ჯერ-ერთი, ნოტა მოითხოვს კელოგის პაქტის დამტკიცებას ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების მიერ, მეორე—საბჭოთა მთავრობას თავი გამოჰყავს მშვიდობიანობის საქმის ხელისშემწყობად, და მესამე—წინადადების განხორციელება შესცვლის პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას თავდაუსხმელობის შესახებ. (ადს).

საფრანგეთის პრესა

პარიზი, 2 იანვარი. „ლუმანიტე" მოწინავე წერილში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლიტვინოვის წინადადება, რომელიც ლოღიკურად გამომდინარეობს საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკიდან, ამჟღავნებს, რომ ლეგენდები საბჭოთა კავშირის ვითომდა აგრესივობის შესახებ, ცილისწამებას წარმოადგენენ. საბჭოთა წინადადების მიღების შემდეგ პოლონეთი არავითარ ნაბიჯს არ გადადგამს თავისი დასავლეთელი ბატონების დაუკითხავად. ყოველ შემთხვევაში იგი ვერ შესძლებს ისე უარყოს საბჭოთა მთავრობის წინადადება, რომ მთელ მსოფლიოს წინაში არ გამოამჟღავნოს თავისი აგრესიული ზრახვები, ბურჟუაზიული პრესა ისწრაფვის „მანევრი" უწოდოს ლიტვინოვის ნოტას, მაგრამ პროლეტარიატი მიესალმება მშვიდობიანობის დასაცავად წარმოებულ ახალ მანევრებს.

„ექო დე-პარი" აქვეყნებს წერილს ლიტვინოვის მიერ პოლონეთისათვის გაგზავნილი ნოტის შესახებ. წერილის ავტორი პერტინაქსი ლიტვინოვის ნოტას აფასებს, როგორც საბჭოთა მთავრობის ცდას—„დაარღვიოს საბჭოთა კავშირის დასავლეთის მეზობლების სოლიდარობა". პერტინაქსი აცხადებს, რომ პოლონეთი ყოველთვის უარს ამბობდა, დადოს საბჭოთა კავშირთან ორმხრივი შეთანხმება, რომელიც „აიძულებს მას ნეიტრალიტეტი დაიცვას და პასიურ მდგომარეობაში დარჩეს იმ შემთხვევაში, თუ წითელი არმია თავს დაესხმის რუმინეთს, ესტონეთს ან ფინეთს". საბჭოთა მთავრობა ამჟამად სარგებლობს კელოგის პაქტით და სცდილობს ჩამოაშოროს პოლონეთი მის ბუნებრივ მოკავშირეებს. საეჭვოა, საბჭოთა მთავრობას იმედი ჰქონდეს რომ ამდენად გამჭვირვალე მანევრს რაიმე წარმატება მოჰყვეს. ამ მანევრს იმდენად პოლონელები არა ჰყავს მხედველობაში, რამდენადაც ამერიკელები. პაციფისტური ელემენტები რომელნიც თავს იყრიან ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების სენატის გარშემო, სერიოზულად მიიღებენ საბჭოთა წინადადებას და გამოიყენებენ მას, რათა ზეგავლენა მოახდინონ სენატზე კელოგის პაქტის რატიფიკაციის დაჩქარების მიზნით. საბჭოთა მთავრობის გამოსვლის მიზეზები საბოლოოდ გასაგები იქნებიან, თუ გავიხსენებთ, რომ ამჟამად საბჭოები მოლაპარაკებებს აწარმოებენ ამერიკისაგან კრედიტების მიღების შესახებ".

მოსკოვიდან და ვარშავიდან მიღებული ცნობები საბჭოთა წინადადების შესახებ გამოქვეყნებულია მთელი ფრანგული პრესის მიერ. მაგრამ ბევრი დიდი ბურჟუაზიული გაზეთი არ აქვეყნებს ლიტვინოვის ნოტაში მოყვანილი დასაბუთების განსაკუთრებით მნიშვნელოვან მომენტებს. (ადს).

ინგლისის პრესა

ლონდონი, 2 იანვარი. „დეილი ტელეგრაფი" სწერს, რომ ლონდონის დიპლომატიურ წრეებს დავთარი აუწნია საბჭოთა მთავრობის მიერ პოლონეთისათვის გაგზავნილმა წინადადებამ იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის დაუყოვნებლივ ძალაში შევიდეს კელოგის პაქტი.

დიპლომატიურ წრეებში საძნელოდ მიაჩნიათ იმის ახსნა, თუ „ნამდვილად რა ზრახვები დევს საფუძვლად საბჭოთა წინადადებას".

„ავესი ახალი პაციფისტური ჟესტით —სწერს შემდეგ გაზ.,—ლიტვინოვს შეიძლება იმედი აქვს, ისეთ მდგომარეობაში ჩააყენოს განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისია, რომ მან უარი ველარა სთქვას საბჭოთა წინადადების (განიარაღების შესახებ) სერიოზულ განხილვაზე. დასასრულ, ლიტვინოვი ახლავე წინადადებას აძლევს ლიტვას და გადაჭრით აღნიშნავს, რომ გაავრცელებს ამ წინადადებას ფინეთსა, ესტონეთსა და ლატვიაზე, მაგრამ იგი გვერდს უვლის რუმინეთს, რომელიც უკვე შეუერთდა კელოგის პაქტს. ეს ისე აიხსნება, რომ ლიტვინოვი სცდილობს ძირი გამოუთხაროს პოლონეთ-რუმინეთის კავშირს და უზრუნველყოს პოლონეთის ნეიტრალიტეტი იმ შემთხვევაში თუ რუსეთსა და რუმინეთს შორის ომი მოხდა". (ადს).

ლონდონი, 2 იანვარი. ლიბერალური „დეილი ნიუს"-ი კომენტარიებს უკეთებს საბჭოთა მთავრობის მიერ პოლონეთისათვის მიცემულ წინადადებას და იმედს გამოსთქვამს, რომ პოლონეთი სერიოზულად შეხვდება ამ წინადადებას. საბჭოთა მთავრობის წინადადება გაზეთს მიაჩნია უაღრესად მნიშვნელოვან ნაბიჯად მშვიდობიანობის განხორციელებისათვის. (ადს).

პოლონეთის პრესა

ვარშავა, 2 იანვარი. პოლონეთის პრესა უარყოფითად შეხვდა ლიტვინოვის მიერ პოლონეთის მთავრობისათვის გაგზავნილ ნოტას. ოფიციოზი „გლოს პრავდი" სწერს, რომ ლიტვინოვის წინადადება „საეჭვოა და აუცილებელი არ არისო". გაზეთის აზრით, კელოგის პაქტის სპეციალური ორმხრივი ოქმით დასტურება ზედმეტია.

„შესაძლებელია,—სწერს გაზეთი,—საბჭოთა მთავრობას მხედველობაში აქვს პაქტი თავდაუსხმელობის შესახებ, ასეთ შემთხვევაში ხელახლა ისმება არბიტრაჟის საკითხი. შესაძლებელია საბჭოთა მთავრობის მტრული დამოკიდებულება არბიტრაჟის მიმართ ეხლა შეიცვალა, მაშინ პოლონეთის საზოგადოებრივი აზრი მიესალმება მშვიდობიანი ურთიერთობის განმტკიცებას აღმოსავლეთ მეზობლებთან".

„ეპოქა" სწერს:

„საბჭოთა წინადადება დიდ ინტერესს იწვევს პოლონეთის წრეებში. მაგრამ ზოგიერთ უცხოელ წრეში ფიქრობენ, რომ ის აჩქარება, რომელსაც იჩენს საბჭოთა კავშირი კელოგის პაქტის რატიფიკაციის უზრუნველყოფისათვის, პაქტის ინიციატორთა ერთგვარ გაკვირვებას გამოიწვევს".

გაზეთების დამოკიდებულება ლიტვინოვის ნოტისადმი სჩანს შემდეგი სათაურიდან: „საბჭოთა ხელისუფლებას სურს თავისი ინტერესებისათვის გამოიყენოს კელოგის პაქტი", „ინტრიგა პოლონეთისა და ამერიკის წინააღმდეგ", „საბჭოთა დიპლომატიის უშედეგო ფანდი", „დიპლომატიური მახე", და სხვ.

„კურიერ პორანნი" მოწინავე წერილს უძღვნის ლიტვინოვის ნოტას, გაზეთი სწერს:

„საბჭოთა მთავრობამ ჯერ კიდევ იმის დროს გამოიყენა ბორისოვის ინციდენტი (1920 წლის დამდეგს საბჭოთა მთავრობამ წინადადება მისცა პოლონეთს, რომ მშვიდობიანი მოლაპარაკება ბორისოვში დაწყებულიყო, პოლონეთის მთავრობა კი მოითხოვდა, რომ მოლაპარაკება გამართულიყო სხვა ქალაქში, რის გამოც მოლაპარაკება აღარ შესდგა), რათა ეჩვენებინა ქვეყნისათვის თავისი მშვიდობის მოყვარეობა და ბრალი დაედო პოლონეთის მთავრობისათვის, რომ ამ უკანასკნელს ომი სურს, რიგის ხელშეკრულებამ მკვიდრ საფუძველზე დაამყარა მშვიდობიანობა პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. არავითარი საბაბი ომისა და კონფლიქტებისათვის პოლონეთსა და მოსკოვს შორის არ არსებობს, ეხლა, როდესაც ლიტვინოვი ხელს უწვდის პოლონეთს, რათა ქვეყანას უჩვენოს, რომ საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი განზრახვები პოლონეთის მიმართ ურყევია, არ შეიძლება მოვთხოვოთ პოლონეთს, რომ იგი ამ ნაბიჯს უკრიტიკოთ შეხვდეს და ყოველმხრივ არ განიხილოს. ლიტვინოვი შედარებით უბრალო წინადადებას აძლევს პოლონეთს, ანალოგიური წინადადებით ლიტვინოვმა მიმართა ვოლდემარასს, მაგრამ მას აგონებდა ბუქარესტი, ჰელსინგფორსი, რეველი და რიგა, ე. ი. ოთხი სახელმწიფო. ამ შემთხვევაში, თუ პოლონეთმა ხელი მოაწერა ლიტვინოვის მიერ წარმოდგენილ ოქმს, ეს სახელმწიფოები ამას მიიჩნევენ მათდამი არალოიალური დამოკიდებულების აქტად".

წერილის ბოლოში გაზეთი, როგორც ეტყობა, ამზადებს მკითხველს იმისათვის, რომ ლიტვინოვის წინადადება შეიძლება უარყოფილ იქნას, რადგან ლიტვინოვის წინადადებას იგი ხატავს, როგორც „კომინტერნის მანევრს". მთელი წერილი მეტად ლვარძლიანი კილოთია დაწერილი. წერილის კილოს დასახასიათებლად საკმაოა აღინიშნოს, რომ პირველსავე სტრიქონებში გაზეთი სწერს:

„ნოტა გამოგზავნილია ლიტვინოვის მიერ, რომელიც საზღვარგარეთ მუდამ ჩიჩერინის მაგიერ კომინტერნის დროშით [illegible]". (ადს).

ავსტრიის, უნგრეთის და რუმინეთის პრესა

ვენა, 2 იანვარი. ავსტრიის, უნგრეთის და რუმინეთის პრესა თვალსაჩინო ადგილზე აქვეყნებს საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ პოლონეთისათვის გაგზავნილ ნოტას.

კომენტარიებისაგან პრესა ჯერ-ჯერობით თავს იკავებს და, როგორც სჩანს, უცდის ინგლისის და საფრანგეთის პრესის გამოხმაურებას. (ადს).

საბჭ. კავშირის მიერ პოლონეთისადმი წარდგენილი ოქმის პროექტი

მოსკოვი, 2 იანვარი. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, რომელთაც სურთ განამტკიცონ კეთილმეზობლური ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის და რაც შეიძლება დააჩქარონ ძალაში შესვლა 1928 წლის 27 აგვისტოს პარიზში დადებულ ხელშეკრულებისა ომის, როგორც ეროვნული პოლიტიკის იარაღის უარყოფის შესახებ, გადასწყვიტეს აღნიშნული განზრახვა განახორციელონ ამ ოქმით, რისთვისაც დანიშნეს: საბჭოთა კავშირის ცაკმა... და პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა... ამ პირებმა, მას შემდეგ, როცა ერთმანეთს წარუდგინეს თავიანთი რწმუნების სიგელები, რომლებიც ჯეროვანი და სათანადო ფორმით შედგენილად იქნა ცნობილი, შეთანხმდნენ ქვეაღნიშნულში:

1. ხელშეკრულება ომის, როგორც ეროვნული პოლიტიკის იარაღის, უარყოფის შესახებ, რომელიც 1928 წლის 27 აგვისტოს დაიდო პარიზში და რომლის ასლი თან აქვს დართული ამ ოქმს, როგორც მისი განუყრელი ნაწილი პოლიტიკის იარაღის, უარყოფის შესახებ პოლონეთს შორის მას შემდეგ, როცა აღნიშნულ ხელშეკრულებას დაამტკიცებენ საბჭოთა კავშირის და პოლონეთის სათანადო საკანონმდებლო ორგანოები.

2. ამ ოქმის რატიფიკაცია საბჭოთა კავშირის და პოლონეთის სათანადო საკანონმდებლო ორგანოების მიერ უნდა მოხდეს მათი საკონსტიტუციო წესების მიხედვით. საბჭოთა კავშირსა და პოლონეთის ურთიერთობაში ეს ოქმი ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა-გამოცვლის დღიდან, ხოლო ამ სიგელების გაცვლა-გამოცვლა მოხდება... ერთი კვირის ვადაში ორივე მხარის მიერ რატიფიკაციის მოხდენის შემდეგ.

3. პარიზის 1928 წლის ხელშეკრულების ძალაში შესვლა ხელშეკრულების დამდებ მხარეთა შორის ამ ოქმის ნიადაგზე მოხდება შემდეგნაირად. მას შემდეგ, როცა, ამ ოქმის მეორე მუხლის თანახმად, იგი (ოქმი) ძალაში შევა საბჭოთა კავშირის და პოლონეთის საკანონმდებლო ორგანოები მოახდენენ პარიზის 1928 წლის ხელშეკრულების რატიფიკაციას და ხელშეკრულების დამდები მხარეები ამის შესახებ ნოტით დაუყოვნებლივ აცნობებენ ერთმანეთს დიპლომატიური გზით. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის და პოლონეთის ურთიერთობაში პარიზის 1928 წლის ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტად ჩაითვლება აღნიშნული ნოტების მიღების მომენტი.

4. ამ ოქმს შეიძლება შეუერთდნენ ყველა ქვეყნის მთავრობები. ცნობა შეერთების შესახებ უნდა გაეგზავნოს... მთავრობის სახელზე, რომელიც ამას აცნობებს ამ ოქმის ყველა დანარჩენ მონაწილეს. როცა მიღებული იქნება ცნობა ოქმისადმი შეერთების შესახებ, ეს ოქმი ძალაში შევა იმ სახელმწიფოს, რომელიც შეუერთდა ამ ოქმს, და ამ ოქმის ყველა დანარჩენ მონაწილეთა ურთიერთობაში.

5. პარიზის 1928 წლის ხელშეკრულების ძალაში შესვლა, აღნიშნული ოქმის მიხედვით, იმ სახელმწიფოს, რომელიც შეუერთდა ოქმს, და ამ ოქმის ყველა დანარჩენ მონაწილეთა ურთიერთობაში განხორციელდება შემდეგნაირად. მას შემდეგ როცა, აღნიშნული ოქმის მეოთხე მუხლის მიხედვით, ამ ოქმს შეუერთდება რომელიმე მესამე ქვეყანა, მისი საკანონმდებლო ორგანოები დაამტკიცებენ პარიზის 1928 წლის ხელშეკრულებას. ამ ქვეყნის მთავრობა ამის შესახებ დიპლომატიური გზით დაუყოვნებლივ აცნობებს მთავრობას... რომელიც ნოტით ატყობინებს ამას აღნიშნული ოქმის ყველა დანარჩენ მონაწილეს.

პარიზის 1928 წლის ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტად იმ სახელმწიფოს, რომელიც შეუერთდა ოქმს, და აღნიშნული ოქმის ყველა დანარჩენ მონაწილეთა ურთიერთობაში, ჩაითვლება ის მომენტი, როცა აღნიშნულ ნოტას მიიღებს... მთავრობა.

პარიზის 1928 წლის ხელშეკრულების ძალაში შესვლა ამ ოქმის მონაწილეთა ურთიერთობაში, რაიც გათვალისწინებულია აღნიშნული ოქმით, კანონიერად ჩაითვლება, მიუხედავად იმისა, შევა თუ არა ძალაში პარიზის 1928 წლის ხელშეკრულება, როგორც ეს გარკვეულია ამ ხელშეკრულების მესამე მუხლში.

აღნიშნულის დასადასტურებლად ზემოდ დასახელებულმა რწმუნებულებმა ხელი მოაწერეს ამ ოქმს და დაასვეს თავიანთი ბეჭდები.

დაწერილია ორ ცალად... წელს.

შეკითხვა რუმინეთის პარლამენტში

ვენა, 2 იანვარი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, რუმინეთის დეპუტატთა პალატის 31 დეკემბრის სხდომაზე სოციალ-დემოკრატმა დეპუტატმა პისტინერმა შეეკითხა სამხედრო მინისტრს პოლონეთ-რუმინეთის კონვენციის (რომელიც, უცხოეთში გავრცელებული ხმების მიხედვით, 1928 წლის ზაფხულზე დაიდო) დამატებითი პარაგრაფის შესახებ. პისტინერმა განაცხადა, რომ ამ დამატებითი პარაგრაფით რუმინეთი სავსებით ჩაბმულია ანტისაბჭოთა ფრონტში, ხოლო პოლონეთისათვის უზრუნველყოფილია ისეთი საზღვრები, რომლებზედაც პრეტენზიის განცხადება პოლონეთს მოკავშირე სახელმწიფოების თვალსაზრისითაც კი არ შეუძლია. პისტინერმა განაცხადა—კონვენციის დამატებითი პარაგრაფი რუმინეთის მთავრობის დიდ შეცდომას წარმოადგენს. პისტინერმა თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუმინეთის წინა მთავრობებს არავითარი ნაბიჯი არ გადაუდგამთ საბჭოთა კავშირთან შეთანხმების მისაღწევად.

პისტინერს პასუხი გასცა სამხედრო მინისტრმა ჩიხოსკიმ, რომელმაც განაცხადა, რომ პოლონეთ-რუმინეთის სამხედრო კონვენციას მხოლოდ თავდაცვის ხასიათი აქვს და არავითარი აგრესიული პოლიტიკის წარმოების ვალდებულებას არ აკისრებს რუმინეთს. მაგრამ თავის საპასუხო სიტყვაში ჩიხოსკი კონკრეტიულად არ შეეხო დამატებითი პარაგრაფის საკითხს. პისტინერმა განაცხადა, რომ იგი დაკმაყოფილებულია მინისტრის პასუხით. (ადს).

ინდოეთის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის

ინდოეთი - ინგლისის ანტი საბჭოთა გეგმების წინააღმდეგ

ლონდონი, 2 იანვარი. კალკუტაში დამთავრდა სრულიად ინდოეთის ნაციონალური კონგრესის სესია. კონგრესმა ერთხმად მიიღო განდის მიერ წარმოდგენილი პროგრამა, რომელიც მოითხოვს მასების ორგანიზაციას, იმ ჩვეულების მოსპობას, რომლის ძალითაც აკრძალულია დაბალ კასტებთან დაახლოება, სპირტიანი სასმელების აკრძალვას და უცხოეთის მანუფაქტურისათვის ბოიკოტის გამოცხადებას, რისთვისაც წაქეზებულ უნდა იქნას ადგილობრივ წარმოების ფართოდ დამზადება და ტარება.

განდიმ განაცხადა, რომ თუ ეს პროგრამა განხორციელდა „რკინისებური სიმტკიცით", ინდოეთი თვითმმართველობას ერთი წლის განმავლობაში მიიღებსო. კონგრესი პირველად ჩაერია ინდოეთის სახელმწიფოების შინაურ საქმეებში, მიიღო რა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს, რომ მთავრებმა თავიანთ სახელმწიფოებში განახორციელონ მთავრობის პასუხისმგებლობის პრინციპი და ამ სახელმწიფოების მოსახლეობას მისცენ ელემენტარული სამოქალაქო უფლებების გარანტია. კონგრესის შედეგები ნიშნავს განდიზმის გამარჯვებას.

კონგრესმა მიიღო აგრეთვე რეზოლიუცია, რომლითაც ბოიკოტი გამოცხადდა ინგლისის ყველა საქონელს. ამ რეზოლიუციის გარშემო გამართულ კამათში ორატორები აცხადებდნენ, რომ ინდოეთი არავის ნებას არ მისცემს გამოიყენოს იგი იმპერიალისტური მიზნებისათვის.

მუსლიმანთა ბელადმა ანსარიმ აღნიშნა, რომ ინგლისი ემზადება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საომრად. ანსარიმ განაცხადა, რომ ინდოეთის ჩრდილოეთ-დასავლეთ საზღვარზე თავმოყრილია დიდძალი არმია. ანსარიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოელებს არავითარი სადაო არა აქვთ საბჭოთა კავშირის და ავღანისტანის ერებთან და სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევენ ინგლისის ცდას, გამოიყენოს ისინი ამ სახელმწიფოების წინააღმდეგ.

„დიდება წითელ არმიას"—„გაუმარჯოს სოციალისტურ რესპუბლიკას".

ლონდონი, 2 იანვარი. კალკუტიდან მიღებული ცნობით, 30 დეკემბერს ინდოეთის ნაციონალური კონგრესის სხდომაზე მოხდა არაჩვეულებრივი სცენები. კონგრესის შენობის წინ გაიმართა 30.000 მუშის დემონსტრაცია, რომელიც მოითხოვდა, საშუალება მისცემოდა—გამოეთქვა საჩივარი მთავრობისა და დამქირავებლებისა და თვით კონგრესის წინააღმდეგ. დემონსტრანტებს მიჰქონდათ დროშები შემდეგი წარწერით: „დიდება წითელ არმიას!", გაუმარჯოს სოციალისტურ რესპუბლიკას"!

დემონსტრანტებმა გაარღვიეს მცველების წრე და შევიდნენ დარბაზში, კონგრესის ბელადები დასთანხმდნენ გადაედოთ დღის წესრიგის განხილვა. მათ ნება მისცეს დემონსტრანტებს—დარჩენილიყვნენ დარბაზში ერთი საათი. დარბაზში დემონსტრანტებმა მოაწყვეს მიტინგი და მიიღეს რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვდა ინდოეთის სრულ დამოუკიდებლობას და წინადადებას აძლევდა კონგრესს განეხილა საკითხი მუშების მდგომარეობის შესახებ.

კონგრესზე მოსულ განდის, დემონსტრანტები მხურვალე მისალმებით შეხვდნენ. განდიმ მოუწოდა დემონსტრანტებს ზომიერებისაკენ და ურჩია მშვიდობიანად დაშლილიყვნენ.

დემონსტრანტები დამშვიდდნენ და ისე გავიდნენ კონგრესის შენობიდან. დემონსტრაცია წარმოადგენს არაჩვეულებრივ შემთხვევას ინდოეთის ნაციონალური მოძრაობის ისტორიაში. როგორც ეტყობა დემონსტრაციის მოწყობაში დიდი როლი ითამაშა მუშურ-გლეხურმა პარტიამ, რომელსაც მხარს უჭერენ მემარცხენე ელემენტები, პროფკავშირები და მუშები, რომელთაც დაჰკარგეს ნაციონალისტების იმედი. (ადს).

ინდოეთი დომინიონის უფლებებს მოითხოვს

ლონდონი, 2 იანვარი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ინდოეთის ნაციონალურმა საბჭომ კალკუტაში მიიღო განდის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს ინდოეთის გადაქცევას თვითმმართველ დომინიონად.

კონგრესმა უარჰყო შესწორება, რომელიც საჭიროდ სთვლიდა სრული დამოუკიდებლობის მოთხოვნას. (ადს).

ინგლისის „მზრუნველობა" ინდოეთში ბოლო ელება

ლონდონი, 2 იანვარი. ალაჰაბადიდან (ინდოეთი) რეიტერი იუწყება: [illegible]

„ნაციონალური ლიბერალური ფედერაციის დამხმარე კრებაზე გამოვიდა ლიბერალების [illegible] ბურჟუაზიისა და მემამულეთა დაჯგუფება, ნაციონალური კონგრესის მემარჯვენე და უკიდურესი ... [illegible] ინდოეთი მეტად მძიმე ბრძოლას ვერც დროს დაიცავს, და ინგლისის „მზრუნველობამ" და გონებამ დღეისთვის ბოლო ელებაო".

[illegible]

„იმპერიის მთავრობა [illegible]" [illegible]

(შემდეგი იქნება)

ვალ. ბახტაძე.

საბჭოთა კავშირის და თურქეთის კონვენცია

მოსკოვი, 2 იანვარი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა საბჭოთა კავშირის კონვენცია თურქეთთან. კონვენცია შეეხება: საბჭოთა კავშირის და თურქეთის საზღვარზე წარმოშობილი კონფლიქტების განხილვის და გადაწყვეტის წესებს, სანაპირო ადგილებს მცხოვრებთა მიერ საზღვარზე გადასვლის და სათიბებით სარგებლობის წესების გამარტივებას (ადს).

ჩვენი წინადადება

ჩვენმა მთავრობამ პოლონეთს მიმართა ნოტით, რომელშიაც წინადადებას აძლევს ხელი მოაწეროს ოქმს იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის ძალაში შევიდეს პარიზის ხელშეკრულება, დადებული 27 აგვისტოს (ეგრედ წოდებული კელოგის პაქტი).

რით აიხსნება, რომ სწორედ საბჭოთა მთავრობამ აიღო თავის თავზე ამ დიპლომატიური აქტის ცხოვრებაში გატარების ინიციატივა, რომელსაც ხელი მოაწერა თორმეტზე მეტმა ბურჟუაზიულმა სახელმწიფომ? რატომ არ აჩქარებენ ბურჟუაზიული სახელმწიფოები იურიდიული ძალა მისცენ ამ დიპლომატიურ აქტს, რატომ აჭიანურებენ ისინი მის რატიფიკაციას? საბჭოთა კავშირის პროლეტარულ საზოგადოებრივ აზრს არასოდეს არ ჰქონია ილუზიები კელოგის პაქტის შესახებ და არც ამჟამად აქვს. საბჭოთა კავშირის მშრომელებმა იციან, რომ ზარბაზნების [illegible] სამშვიდობო [illegible] ქაღალდების ჩარჩო—ძალიან სუსტი საშუალებაა საფრთხის თავიდან ასაცილებლად. მათთვის ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ მილიტარიზმი კაპიტალიზმის მუდმივი თანამგზავრია, კაპიტალიზმის, რომელიც დაეძებს მოგებას, ბაზრებს და ადამიანის მასალას ხელსაყრელ ექსპლოატაციისათვის. მათ იციან, რომ მილიტარიზმზე გამარჯვებისათვის ერთად ერთი სანდო გზაა დაუზოგავი ბრძოლა მის წარმომშობ სისტემასთან. საბჭოთა კავშირის მშრომელებმა მშვენივრად იციან აგრეთვე, რომ იმპერიალისტების ყოველგვარი ფარისევლური სამშვიდობო პროექტები ესაჭიროებათ იმისათვის, რომ ხალხებს ყურადღება ჩამოაშორონ ახალი ომების მზადებას.

მიუხედავად ამისა საბჭოთა მთავრობამ ხელი მოაწერა კელოგის პაქტს. ეს ნაბიჯი ნათლად და მკაფიოდ არის დასაბუთებული საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ნოტაში 31 აგვისტოს თარიღით: საბჭოთა მთავრობა აღნიშნავს, რომ პაქტში არ არის გათვალისწინებული ვალდებულებები განიარაღების შესახებ, არასაკმაოდ და ბუნდოვნად არის ჩამოყალიბებული ომის აკრძალვა და არსებობს შენიშვნები, რომლებიც [illegible] გააქარწყლებენ ყოველგვარ ვალდებულებას მშვიდობიანობის დაცვის შესახებ...

მიუხედავად ამისა, რამდენადაც პარიზის პაქტი ობიექტიურად ერთგვარ ვალდებულებებს აკისრებს სახელმწიფოებს, საზოგადოებრივი აზრის წინაშე და აძლევს საბჭოთა მთავრობას პაქტის ყველა მონაწილის წინაშე დასვას უმნიშვნელოვანესი საკითხი—განიარაღების საკითხი, რომლის გადაწყვეტა ერთად-ერთ გარანტიას წარმოადგენს ომის თავიდან ასაცილებლად,—იმდენად საბჭოთა მთავრობა თანახმაა ხელი მოაწეროს პარიზის პაქტს".

მაგრამ სწორედ ამ ვალდებულების გამო საზოგადოებრივი აზრის წინაშე ბევრი კაპიტალისტური სახელმწიფო, კერძოდ ინგლისი და საფრანგეთი, ყოველნაირად ცდილობდა არ მოეწერა ხელი კელოგის პაქტზე. ამავე დროს ცნობილ ვაშინგტონის პაციფისტურ განზრახვაში საფუძვლიანად ხედავდნენ საჭადრაკო სვლას, რომლის მიზანია უზრუნველყოს სამშვიდობო [illegible] სახელის გატეხა და პაციფიზმზე სპეკულიაციით დიპლომატიური კაპიტალის შეგროვება, თავისი იმპერიალისტური პოზიციების დასაცავად და ახალი პოზიციების დასაპყრობად. მათ ესაჭიროებათ ომის კულტის პოპულიარიზაცია და ყოველგვარი ფორმალური ვალდებულება ომის წინააღმდეგ მათთვის აუცილებლად საზარალოა, აქედან წარმოიშვა ყოველგვარი „შენიშვნები", რომლებიც საბოლოოდ უკარგავენ ფასს კელოგის პაქტს.

ბურჟუაზიულმა სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს პაქტს, მაგრამ ისინი არ აჩქარებენ მის რატიფიკაციას, ურომლისოდაც მას ფორმალური საერთაშორისო-იურიდიული ძალაც კი არა აქვს. მათ არ სურთ თვით საკუთარი დოკუმენტის სათანადოთ ჩამოყალიბებაც კი, მიუხედავად იმისა, რომ პარიზის აქტის შემდეგ უკვე ოთხი თვე გავიდა, არც ერთ იმპერიალისტურ სახელმწიფოს არ შეუწუხებია ჯერ თავი იმისთვის, რომ საბოლოოდ ჩამოყალიბებინა ხელშეკრულება ომისგან თავის შეკავების შესახებ. [illegible] ამჟამად არსებული მდგომარეობა არ მოითხოვს დაჩქარებას ამ საკითხში? შეიძლება ამ [illegible] უკვე დამყარდა მშვიდობა და [illegible] არავითარი საფრთხე არ მოელის? სრულიად საწინააღმდეგოს გვეუბნებიან ის ფაქტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ კელოგის პაქტის ხელმოწერის შემდეგ.

ავიღოთ მხოლოდ საერთაშორისო პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთი ნაწილი:

ერთა ლიგა სისტემატიურად [illegible] საბჭოთა პროექტს საყოველთაო განიარაღების შესახებ.

სხვადასხვა გაზეთების მიერ გამომჟღავნებულ დოკუმენტებიდან სჩანს, რომ ინგლის-საფრანგეთის საიდუმლო შეთანხმება წარმოადგენს კომბინაციას, რომელიც ნიადაგს უმზადებს ახალ ომებს.

გერმანიას და ყოფილ მოკავშირეებს შორის წარმოებულმა მოლაპარაკებამ რეინის ოლქის სამხედრო ოკუპაციის შეწყვეტის შესახებ ვადამდე 10 წლით [illegible] არავითარი საგრძნობი შედეგები ვერ გამოიღო.

დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის [illegible] კატასტროფულად სწრაფი ტემპით მწვავდება. კულიჯმა წარმოსთქვა სიტყვა-ულტიმატუმი, რომელშიაც დასახა შეერთებულ შტატების „საკადრისი" სამხედრო-საზღვაო მშენებლობის პროგრამა. ამერიკის იმპერიალიზმის კომივოიაჟორი გუვერი [illegible] ლათინურ ამერიკაში, რათა იქ [illegible] ეკონომიკა და პოლიტიკა, რომელსაც აწერია: „გაკოტრებულია ინგლისში" ამერიკული გაზეთი „ჩიკაგო ტრიბიუნ" გულახდილად სწერს: „ჯერ კრეისერები და შემდეგ უკვე კელოგის პაქტი".

მეორეს მხრივ ბრიტანეთის იმპერიალისტები, მიუხედავად [illegible] ქვეყნის შიგნით, დაბეჯითებით იცავენ დიდი ბრიტანეთის, როგორც „ზღვათა მფლობელის" პოზიციას, რაც აუცილებლად გამოიწვევს შეტაკებას მსოფლიო ჰეგემონიის მეორე პრეტენდენტთან—ამერიკის იმპერიალიზმთან. „ბრიტანეთსა და ამერიკას შორის ხდება [illegible], რასაც ადგილი ჰქონდა გერმანიასა და ბრიტანეთს შორის მსოფლიო ომის წინ; თუ არც ერთმა მხარემ არ დაუთმო და კომპრომისი ვერ გამონახა, ადრე თუ გვიან ომი აუცილებელია" (ინგლისური „ფორინ აფერს", დეკემბერი).

ახლო აღმოსავლეთში და ავღანისტანში ვიღაცას საიდუმლო ხელი სთესავს ომის თესლს.

[illegible] და ჩინეთში იაპონელი ოკუპანტები და სხვა მძარცველი კონცესიონერები [illegible] განაგრძობენ ჩინეთის მიწა-წყალზე პარპაშს.

ყველგან, ყველა ქვეყანაში, სადაც კი ბატონობს კაპიტალი, გაძლიერებული მუშაობს ის უდიდესი რთული მანქანა, რომელიც ომს იწვევს. ამცირებენ სამუშაო ხელფასს, ამოკლებენ სოციალურ დაზღვევას, ამცირებენ ხარჯებს სახალხო განათლებაზე, აუარესებენ სოფლის მშრომელი მოსახლეობის მდგომარეობას. ყველა ამ საშუალებით შეგროვილი თანხები ხმარდება [illegible] ჯოჯოხეთურ მანქანას, რომელიც მთელ მსოფლიოს შეიძლება აფეთქდეს იმაზე ადრე, ვიდრე უჩვენებს [illegible] ხელით მომართული ისარი (ამას სრული სიცხადით გვასწავლის ყველა ომების ისტორია).

იმპერიალისტები ამზადებენ რა ომს ერთმანეთის წინააღმდეგ, ამავე დროს ერთი წუთითაც არ ივიწყებენ მათთვის საძაგელ პროლეტარულ სახელმწიფოს. ინგლისის [illegible] მინისტრები ყველა შეკითხვებზე პარლამენტში ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ უპასუხებენ უხეში ტონით, მათ ჯერ კიდევ არ უნდათ აიღონ ხელი თავიანთ მიზანზე, მათ კიდევ უნდათ განიმეორონ ერთხელ მარცხით დამთავრებული ბლოკადის და ინტერვენციის „ექსპერიმენტი" საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ექსპერიმენტი, რომელმაც რამდენიმე მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ინგლისელ იმპერიალისტებთან ერთად მოქმედებენ მათი ფრანგი კოლეგები, რომლებსაც ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების დადების შემდეგ უფრო და უფრო თავხედური, უფრო და უფრო პროვოკაციული პოზიცია უჭირავთ საბჭოთა კავშირის მიმართ.

ამ ანტისაბჭოთა კომბინაციებში განსაკუთრებულ ადგილს აკუთვნებენ პოლონეთს. პოლონეთი, ცნობილი ფრანგი სოციალ-მილიტარისტის პოლ ბონკურის თქმით, გუშაგია, რომელიც დარაჯობს დასავლეთის „ცივილიზაციას". სხვა სიტყვებით, [illegible] პოლონეთის [illegible] ზრახვების თანახმად უნდა დაიცვას [illegible] ინგლისელი და ფრანგი მევახშეების გაუმაძღარი [illegible] გასანადგურებლად, [illegible] და ინდოეთის „კაპიტალის მეფეების" ზედმეტი მოგებისათვის.

საბჭოთა დიპლომატია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პოლონეთს, საბჭოთა კავშირი, ომის საშინელი ხანძრის [illegible] წინააღმდეგ ცდილობს მშვიდობიანობის შენარჩუნებას. ჯერ კიდევ 1926 წლის ზაფხულზე საბჭოთა მთავრობამ პოლონეთს მისცა წინადადება თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების შესახებ, თუ კი პოლონელ მილიტარისტებს მართლაც სჯეროდათ თავიანთი სიტყვები მოსკოვის „წითელ იმპერიალიზმის" შესახებ, მათ უნდა ჩაებღაუჭათ ხელი ამ წინადადებისათვის. ნამდვილად კი ძალიან ლაპარაკს მოსკოვის „წითელ იმპერიალიზმის" შესახებ მიზნად აქვს მასების მოტყუება, და დაუსრულებელ მოლაპარაკებას ამ საკითხზე ჯერ კიდევ არავითარი ნაყოფი არ მოუტანია. ეხლა საბჭოთა მთავრობა კვლავ ამტკიცებს, რომ მზადაა ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას თავდაუსხმელობის შესახებ და წინადადებას აძლევს პოლონეთს ხელი მოაწეროს სამშვიდობო ოქმს. ახალი წინადადება მდგომარეობს იმაში, რომ პოლონეთმა დააჩქაროს კელოგის პაქტის რატიფიკაცია, რომელზედაც მან ხელი მოაწერა; საბჭოთა კავშირმა უკვე მოახდინა ამ პაქტის რატიფიკაცია და ეხლა საჭიროა ორივე მხარეზე, როგორც საბჭოთა კავშირზე, ისე პოლონეთზე გავრცელდეს ვალდებულება „ომის, როგორც ეროვნული პოლიტიკის იარაღის, უარყოფის შესახებ". საბჭოთა მთავრობა ამით კვლავ უსვამს ხაზს თავის მშვიდობიანობის მოყვარეობას და ერთხელ კიდევ აცხადებს, რომ მზადაა ყოველგვარი ზომები მიიღოს პოლონეთ-საბჭოთა ურთიერთობის გასაჯანსაღებლად. კელოგის პაქტი ბურჟუაზიული დიპლომატიის ნაყოფია, საბჭოთა მთავრობას სურს გააძლიეროს ბურჟუაზიული მთავრობების პასუხისმგებლობა მათი ხალხების წინაშე იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც მათ იკისრეს, და ამიტომ მან ხელი მოაწერა ამ პაქტს. ეხლა თუ სდგამს ახალ ნაბიჯს, ლიტვინოვი თავის ნოტაში თითქოს ეუბნება პოლონეთს:

თუ ჩემ მიერ შედგენილი თავდაუსხმელობის ხელშეკრულების პროექტი თქვენ რაიმე მიზეზის გამო არ გაკმაყოფილებთ, [illegible] „პირველხარისხოვანი" კაპიტალისტური სახელმწიფოს დიპლომატების მიერ შექმნილი ფორმა. დააჩქარეთ კელოგის პაქტის ვალდებულებათა ძალაში შესვლა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ურთიერთობაში.

რაც არ უნდა უპასუხოს პოლონეთის მთავრობამ, საბჭოთა მთავრობა არ ივიწყებს რა თავდაცვის ამოცანებს, სისტემატიურად, [illegible] განაგრძობს თავის სამშვიდობო პოლიტიკას, რომელსაც მას უკარნახებს სოციალისტური მშენებლობის ინტერესები [illegible] ცნობები.

[illegible] სიკვდილის ნიშანია, როგორც მწერალი ის უკვე მკვდარია,

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

„იზვესტია"-ს წერილის კომენტარიები

ვარშავა, 2 იანვარი. გაზეთებს მოჰყავთ ადგილები „იზვესტია"-ს ამ წერილიდან, რომელიც ვოიცეხოვსკის განაჩენს შეეხება. გაზეთებს ამ წერილიდან ის აზრი გამოჰყავთ, რომ საბჭოთა მთავრობა კმაყოფილია განაჩენით. ამავე დროს გაზეთები უკმაყოფილებას გამოსთქვამენ „იზვესტია"-ს პროტესტის გამო. „იზვესტია"-მ პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ პოლონეთის სასამართლომ ლიზარევს არ სცნო დიპლომატიური პირის უფლებები ალბურგილად; პროტესტი შეეხებოდა აგრეთვე სასამართლოში გაბატონებულ ატმოსფერას, სადაც ხელს აფარებდნენ და მფარველობდნენ ემიგრაციას (ადს).

საფრანგეთში მოსალოდნელია მთავრობის კრიზისი

პუანკარეს განცხადება გადადგომის შესახებ

პარიზი, 2 იანვარი. ჰავასი იუწყება:

„მინისტრთა საბჭოს სხდომაზე პუანკარემ განაცხადა, რომ ვინაიდან ბიუჯეტი უკვე მიღებულია და ფრანკის სტაბილიზაციაც განმტკიცებულია, იგი თავის ამოცანებს შესრულებულად თვლის, ამიტომ განზრახული აქვს გადადგეს. მინისტრებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ არის თვალსაჩინო მიღწევები, მაგრამ საჭიროა მათი განმტკიცება. ხოლო ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ პუანკარე დარჩება მთავრობაში.

პუანკარემ დაუთმო თავისი თანამშრომლების არგუმენტაციას" (ადს).

პუანკარე დათმობაზე წავიდა

პარიზი, 2 იანვარი. გაზეთების ცნობით პუანკარემ, დუმერგის დაბეჯითებითი თხოვნის გამო, გადასწყვიტა არ გადადგეს. გადადგომის საბაბად პუანკარეს უნდოდა გამოეყენებინა ის დავა, რომელიც ჩამოვარდა დეპუტატებისათვის ჯამაგირის მომატების გამო, აგრეთვე იმ კანონის გარშემო, რომლის თანახმადაც დეპუტატის ან სენატორის წოდება შეუთავსებელია სახელმწიფო სამრეწველო ან საფინანსო წარმოებებში ახალი თანამდებობების მიღებასთან (ადს).

კომენტარიები პუანკარეს გადადგომის გარშემო

პარიზი, 2 იანვარი. გაზეთების აზრით, პუანკარეს გადაწყვეტილება დროებით თავი შეიკავოს გადადგომისაგან ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ახლო მომავალში მთავრობის კრიზისი არ მოხდება.

პრესა აღნიშნავს, რომ ზეგავლენამ, რომელიც პუანკარეზე მოახდინეს პრეზიდენტმა დუმერგმა და მისმა მინისტრებმა, აგრეთვე ფინანსთა მინისტრის შერონის შემარიგებელმა პოზიციამ, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ მან პუანკარეს სასარგებლოდ უარი სთქვა პირველობაზე,—პუანკარეს წაართვა შესაძლებლობა მთავრობის კრიზისის გამოსაწვევად გამოეყენებინა გარეგანი საბაბი (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ამერიკელ რეფორმისტების დამარცხება

მოსკოვი, 3 იანვარი. „პრავდა"-ს კორესპონდენტი ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებიდან იტყობინება:

ამერიკის მკერავთა კავშირში ერთი წლის განმავლობაში სწარმოებდა ბრძოლა მემარცხენე და მემარჯვენე მიმდინარეობათა შორის. ბრძოლა დასრულდა მემარცხენეთა სრული გამარჯვებით. ამჟამად ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნილია მკერავთა ახალი რევოლიუციონური კავშირი მემარცხენეთა ხელმძღვანელობით. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ამერიკის მკერავთა კავშირი შევა პროფკავშირთა კომუნისტურ ინტერნაციონალში.

გერმანიის ახალი ელჩის ჩამოსვლის მოლოდინში

მოსკოვი, 3 იანვარი. ორშაბათს, 7 იანვარს მოსკოვში მოელიან გერმანიის ახლად დანიშნულ ელჩს საბჭოთა კავშირში.

მხატვარ იაკულოვის ცხედარის ჩამოსვენება

მოსკოვი, 3 იანვარი. მხატვარ იაკულოვის ცხედარი ჩამოსვენებულ იქნება მოსკოვში კვირას, 6 იანვარს. რუსეთის განათლების სახალხო კომისარიატის ხელოვნების განყოფილება და მრავალი კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულება-ორგანიზაციები ემზადებიან ცხედარის შესახვედრად. გამოყოფილია დამკრძალავი კომისია. აღძრულია საკითხი იმის შესახებ, რომ გასვენებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯები იკისროს სახელმწიფომ.

ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობა თავის განკარგულებაში ღებულობს იაკულოვის სახელობის სტუდიას მოსკოვში. აღნიშნულ სტუდიაში მოწყობილ იქნება სახელოსნო ახალგაზრდა მხატვრებისათვის.

პოეტ დემიან ბედნის იუბილე

მოსკოვი, 3 იანვარი. მოსკოვის ყველა გაზეთები აღნიშნავენ პროლეტარულ მწერალ დემიან ბედნის ლიტერატურულ მოღვაწეობის ოცი წლის თავს. „იზვესტია"-ში მოთავსებულია ამხ. ბრანჩიკოვის მეტად მგრძნობიარე წერილი, დემიან ბედნის ლიტერატურულ შემოქმედების მიმოხილვა. წერილის სათაურია: „ჩვენი დემიანი".

მოსკოვ-თბილისის კავშირი ტელეფონით

მოსკოვი, 3 იანვარი. გუშინ დასრულდა საბოლოოდ ახალ მოწყობილობათა დადგმა მოსკოვ-თბილისის სატელეფონო კავშირის გასაუმჯობესებლად. ამჟამად შეიძლება ერთ და იმავე დროს ორი სხვადასხვა დამოუკიდებელი ლაპარაკი ტელეფონით თბილისიდან მოსკოვში ან მოსკოვიდან თბილისში.

მთავრობის კრიზისი სამხრეთ-სლავიაში

ვენა, 2 იანვარი. ბელგრადიდან მიღებულ ცნობით, სამხრეთ-სლავიის მინისტრთა საბჭომ საბოლოოდ გადასწყვიტა გადადგეს. პრემიერმა კოროშეცმა ჟურნალისტებთან საუბარში ეს გადაწყვეტილება დაასაბუთა იმით, რომ მთავრობის პარტიებს შორის დიდ უთანხმოებას აქვს ადგილი იმ საკითხში—თუ რა ტაქტიკას უნდა დაადგნენ ზაგრების ოპოზიციის მიმართ. ზაგრების ოპოზიციის წრეებში, სხვათა შორის, აღნიშნავენ, რომ, სხვა მიზეზებს გარდა, მთავრობის გადადგომა გამოიწვია აგრეთვე ინგლისისა და საფრანგეთის ცდამ აიძულებინათ ბელგრადის მთავრობა შეთანხმებოდა ზაგრებს (ადს).

კოროშეცი გადადგა

ვენა, 2 იანვარი. ბელგრადიდან მიღებული ცნობებით, მთავრობის კრიზისი, რომელიც რამოდენიმე კვირის განმავლობაში მწიფდებოდა, უკანასკნელ დღეებში გამწვავდა მთავრობის კოალიციაში მონაწილე დემოკრატების (დავიდოვიჩის ჯგუფი) პროტესტების გამო ზაგრების ოპოზიციის (გლეხურ-დემოკრატიული ოპოზიცია) წარმომადგენელთა წინააღმდეგ. მთავრობის კოალიციაში შემავალ ფრაქციების წარმომადგენელთა 29 დეკემბრის სხდომაზე გამოირკვა, რომ დემოკრატებსა და რადიკალებს შორის შეთანხმება შეუძლებელია, ვინაიდან დემოკრატების ლიდერი იცავდა „შემარიგებელ კურსს" ზაგრების ოპოზიციის მიმართ, სხდომის შემდეგ პრემიერ კოროშეცმა მეფეს გადადგომის განცხადება წარუდგინა. მეფის გადაწყვეტილება ჯერ არ არის ცნობილი. (ადს).

მაჩეკის განცხადება

ვენა, 2 იანვარი. ბელგრადის „პოლიტიკა" იუწყება, რომ ხორვატიის გლეხთა პარტიის ლიდერი მაჩეკი, სამხრეთ სლავიაში მთავრობის კრიზისთან დაკავშირებით, გამოვიდა ახალი განცხადებებით იმის შესახებ, თუ როგორ უყურებს ზაგრების ოპოზიცია (გლეხთა დემოკრატიული კოალიცია) შექმნილ მდგომარეობას, კერძოდ, სკუპშტინის (პარლამენტის) ბოიკოტის შეწყვეტის საკითხს. მაჩეკმა განაცხადა:

„ზაგრების ოპოზიციას თავის თავი მიაჩნია არა პარტიად, არამედ ხორვატელი ხალხის წარმომადგენლად. იმ შემთხვევაშიაც კი, რომ სკუპშტინის თავისუფალი გადარჩევა მოხდეს, ხორვატელთ არ შეუძლიათ უარი სთქვან თვითგამორკვევის უფლებაზე და დაუშვან, რომ უმრავლესობა სჩაგრავდეს მათ. სამხრეთ-სლავიის სახელმწიფო კრიზისი ვერ გადასწყდება ბელგრადის საპარლამენტო მანევრებით. მისი გადაჭრა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა სამხრეთ-სლავია ფედერატიულად გაიყოფა ხორვატიად, სლოვენიად, ბოსნიად, ვოევოდინად, ჩერნოგორიად და სერბიად" (ადს).

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს რეზოლიუცია

მემარჯვენე საფრთხის შესახებ

პარიზი, 2 იანვარი. „იუმანიტე"-ში დაბეჭდილია საფრანგეთის კომუნისტური პარტიის რეზოლიუცია მემარჯვენე საფრთხის შესახებ. რეზოლიუცია აღნიშნავს კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის იმ ღია წერილის საერთაშორისო მნიშვნელობას, რომელიც გერმანიის კომპარტიას გაეგზავნა და რომელიც მემარჯვენე საფრთხეს ეხება. რეზოლიუცია ყოველგვარი შენიშვნის გარეშე უერთდება ხსენებულ წერილს. იგი იწონებს მემარჯვენე ფრაქციონერების გამორიცხვას კომინტერნიდან.

რეზოლიუცია ეხება საფრანგეთის კომპარტიის მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ საფრანგეთის კომპარტიაში ადგილი აქვს შემარიგებელ ელემენტებს, რომლებიც სიტყვით მემარჯვენეთა წინააღმდეგ ილაშქრებენ, ხოლო საქმით ხელს უწყობენ კომინტერნის ხაზის წინააღმდეგ ბრძოლას (ადს).

პოლიტიკური პერსპექტივები ახალი წლისათვის

პრაღა, 2 იანვარი. ბულგარული რეაქციონური გაზეთი „ნაროდნაია პოლიტიკა" წერილში, რომელიც ეხება ახალი წლის პოლიტიკურ პერსპექტივებს, აღნიშნავს, რომ 1929 წელს ევროპის პოლიტიკური ცხოვრება „ისევ რუსული კითხვის ნიშნით ივლის".

გაზეთის სიტყვით, ლოკარნო წარმოადგენდა საბჭოთა კავშირიდან გერმანიის გათიშვის ცდას. თუმცა ეს ცდა საბოლოოდ არ დამარცხებულა, მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოებმა სხვა გზების ძებნა დაიწყეს, სახელდობრ, იმ გზების, რომლებიც დაკავშირებულია ლიტვინოვის სახელთან. ეს მიდრეკილება, გაზეთის სიტყვით, გავლენას მოახდენს მთელ საერთაშორისო მოძრაობაზე, ასე რომ 1929 წელს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი იქნება საკითხი საბჭოთა კავშირის შემდგომი ბედ-იღბლის შესახებ, და ამ კითხვაზე იქნება დამოკიდებული ყველაფერი (ადს).

ავღანისტანში მდგომარეობა გაუმჯობესდა

ლონდონი, 2 იანვარი. რეიტერი იუწყება:

როგორც პეშავარიდან იუწყებიან, ავღანისტანში მდგომარეობა საერთოდ გაუმჯობესდა, ქაბულისაკენ გაგზავნეს დამხმარე ძალები კანდაგარიდან, გერატიდან და ჩრდილოეთ პროვინციებიდან. იუწყებიან, რომ ქაბულის ყოფილი გუბერნატორი ჯელალაბადიდან აწარმოებს აჯანყებულებთან საკმაოდ ნაყოფიერ მოლაპარაკებას. როგორც ეტყობა, ქაბულის გარშემო 20 მილის მანძილზე აჯანყებულები აღარ არიან. 29 და 30 დეკემბერს ქაბულიდან ინგლისის აეროპლანებმა წაიყვანეს 31 თურქი ქალი ერთი ინდოელი ქალი ბავშვებით და კიდევ 30 უცხოელი". (ადს).

ამუნდსენის წერილი ყალბი აღმოჩნდა

ოსლო, 2 იანვარი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო ტრომსედან იუწყება:

„დამტკიცდა, რომ ამუნდსენის წერილი, რომელიც ბოთლში იპოვნეს, ყალბია".

შერიგების ოქმი

ვაშინგტონი, 2 იანვარი. ბოლივიის და პარაგვაის მთავრობებმა მოიწონეს პანამერიკული საარბიტრაჟო კონფერენციის მიერ შემუშავებული ოქმი შერიგების შესახებ.

ფაშისტური ტერორი

ვენა, 2 იანვარი. ავსტრიის კომპარტიის ორგანო ვენის „როტე ფანე" იუწყება, რომ საპატიმროში გამომძიებლის ბრძანებით სცემეს და მძიმედ დასჭრეს კომუნისტი ფილი, რომელიც ამას წინად დაპატიმრებულ იქნა მუშებსა და ფაშისტური კრების (ვენაში) მონაწილეთა შორის მომხდარი შეტაკების დროს. გამომძიებლის ბრძანება შედეგად მოჰყვა იმ აღშფოთებულ პროტესტს, რომელიც ფილმა განაცხადა გამომძიებლის განკარგულების წინააღმდეგ. მისი კარცერში ჩასმის გამო (ადს).

საერთაშორისო აფერისტების დაპატიმრება

საველი ლიტვინოვი

პარიზი, 2 იანვარი. ამ დღეებში საფრანგეთის პოლიციამ დააპატიმრა ბერლინის საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობის ყოფილი წარმომადგენელი მოსკოვში საველი ლიტვინოვი. ლიტვინოვი პოლიციამ დააპატიმრა თეთრგვარდიელ ემიგრანტებთან ერთად. ესენი აღმოჩნდნენ საერთაშორისო აფერისტები, რომელთაც ისარგებლეს ბერლინის სავაჭრო წარმომადგენლობის ბლანკებით და დაამზადეს ყალბი თამასუქები. დაპატიმრებულნი, რა კი მათ არ შეეძლოთ წარმოედგინათ მისი დამამტკიცებელი საბუთები, რომ სავაჭრო წარმომადგენლობამ თამასუქებით რაიმე სარგებელი მიიღო, მიმართავენ გაცვეთილ თეთრ პროპაგანდის ხერხს და ამტკიცებენ, თითქოს თამასუქები გაცემულ იქნა კომინტერნისთვის სახსრების საშოვნელად. სისხლის სამართლის და აშკარა აფერისტულ საქმეში პოლიტიკური მომენტების შეტანა წარმოადგენს წყლის ამღვრევის ცდას. მაგრამ ეს ვერავის შეცდომაში ვერ შეიყვანს.

რეაქციონური გაზეთები ბეჭდავენ დაპატიმრებულთა ჩვენებებს და იყენებენ მათ ჩვეულებრივ ანტი-საბჭოთა მიზნებისათვის.

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს შენიშვნა: ბერლინის სავაჭრო წარმომადგენლობის მოსკოვის კანტორის ყოფილი გამგე, შემდეგ თანამშრომელი ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციებისა უცხოეთში საველი ლიტვინოვი 1927 წლის მაისში დათხოვნილ იქნა სამსახურიდან. მან უკანა რიცხვით შეადგინა ყალბი თამასუქები და, სარგებლობდა რა სავაჭრო წარმომადგენლობის ძველი რწმუნებებით, ქაღალდებით, აფერისტულად აბრუნებდა თამასუქებს ბანკებში. ბერლინის სავაჭრო წარმომადგენლობამ, როცა მან მიიღო ცნობა აფერისტების შესახებ, დაუყოვნებლივ მიმართა საფრანგეთის [illegible] მიეცა დამნაშავენი პასუხისგებაში. საფრანგეთის პოლიციამ 10 ნოემბერს პარიზის ერთ-ერთი ბანკიდან გაიტანა აფერისტულად გაცემული თამასუქები და გამოძიების შემდეგ, რომელსაც აწარმოებდნენ საფრანგეთის და გერმანიის ხელისუფლების წარმომადგენლები, 20 დეკემბერს დააპატიმრა როგორც თვით ლიტვინოვი, ისე ორი მისი თანამონაწილენი—იოფე და ლაზბერი. ამნაირად, აფერისტული ოინები სავაჭრო წარმომადგენლობის წინააღმდეგ ჩაიშალა. აფერისტები ახლო მომავალში წარსდგებიან საფრანგეთის სისხლის სამართლის წინაშე (ადს).

კანონი 7 საათის სამუშაო დღის შესახებ

მოსკოვი, 3 იანვარი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა მოიწონა პროექტი კანონისა საწარმოების გადაყვანის შესახებ 7 საათის სამუშაო დღეზე. კანონის თანახმად, ყველა საწარმოები, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო, 1933 წლის 1-ლ ოქტომბრიდან გადაყვანილი უნდა იქნეს ნორმალურ სამუშაო დღეზე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 7 საათს. 7 საათის სამუშაო დღეზე არ იქნება გადაყვანილი ის საწარმოები, რომელთაც ლიკვიდაცია განზრახულია 1933 წლის 1-ლ ოქტომბრის შემდეგ.

7 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანილ საწარმოებში ღამით სამუშაოზე არ იქნებიან დაშვებული ფეხმძიმე ქალები და ძუძუმწოვარ ბავშვთა დედები (ძუძუს წოვის პირველი ხუთი თვის განმავლობაში). საწარმოების გადაყვანა 7 საათის სამუშაო დღეზე ხდება საკავშირო სახკომსაბჭოს კომისიის მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით. იმ წარმოებების გადაყვანა 7 საათის სამუშაო დღეზე, რომლებიც არ არის შეტანილი სიაში, აკრძალულია.

მიწვევა საერთაშორისო პაციფისტურ კონფერენციაზე

მოსკოვი, 3 იანვარი. პაციფისტურ კონფერენციაზე, რომელიც ამსტერდამში იქნება მოწვეული 1929 წლის 4—5 იანვარს, მიწვევა პროფინტერნის გარდა მიიღეს მელითონეთა, ქიმიკოსების, მემადნეთა, ტრანსპორტელთა და განათლების მუშაკთა პროფკავშირების ცენტრ. კომიტეტებმა.

საბჭოთა დელეგაციაში შედიან: ამხ. მელნიჩანსკი, ფიგატნერი, ჩერნიშევი, იუზეფოვიჩი და შეინი.

კონფერენციის მომწყობ კომიტეტში შედიან ცნობილი ევროპიელი მეცნიერები და მოღვაწეები—ეინშტეინი, შარლ ჟიდი, ინგლისის პარლამენტის წევრი კაპიტანი ვეჯვუდი, სელმა ლაგერლეფი, რომენ როლანი და სხ. (ადს).

განაჩენი ლუდორვაის საქმეზე

იჟევსკი, 3 იანვარი. ლუდორვაის საქმეზე გამოტანილ განაჩენში სასამართლო აღნიშნავს ამ საქმის კლასობრივ ხასიათს. განაჩენი დაწვრილებით უკეთებს ანალიზს ბრძოლას ღარიბებსა და კულაკებს შორის, რომელიც ჯერ კიდევ 1923 წელს წარმოიშვა სადგილმამულო ურთიერთობის ნიადაგზე.

განსაკუთრებით გამწვავდა ბრძოლა,—ნათქვამია განაჩენში,—1928 წელს, როცა კულაკები აღელვა ღარიბთა მოთხოვნამ მიწის ხელახლად განაწილების შესახებ და აგრეთვე პურის დამზადებამ. სწორედ ამიტომ მოაწყვეს კულაკებმა მასიური ცემა. სასამართლო უარყოფილად სთვლის ვერსიას იმის შესახებ, რომ თითქოს ცემა მოხდა ღობეების გამო. შეკვეთილი ღობეები მართლაც აღმოჩნდა სამ მეურნეს, რაიც გამოყენებულ იქნა როგორც საბაბი ღარიბებისადმი მტრული მოპყრობისათვის. ღარიბებს სასტიკად სცემდნენ, ხოლო შეძლებულებს მათივე აღიარებით, მხოლოდ „ხუმრობით სცემდნენ".

მეშიატოვს, ბეგიშევს, სერგეევს და ირმოლაევს, როგორც ცემის აქტიურ ორგანიზატორებს, სასამართლომ მიუსაჯა ათ-ათი წლით სასტიკი იზოლიაცია. ივანოვს და პეტროვს შვიდ-შვიდი წელი, დანარჩენებს ნაკლები ვადა (ადს).

უკანასკნელი ცნო

ამხ. ლიტვინოვის ნოტის გა

პოლონეთის პრესა

ვარშავა, 2 იანვარი. ამხ. ლიტვინოვის ნოტაზე პირველი გამოხმაურებიდანვე ცხადი იყო, რომ საბჭოთა კავშირის წინადადება მოულოდნელი აღმოჩნდა პოლონეთის პოლიტიკური წრეებისათვის. ამით აიხსნება დაბნეულობა, რომელიც გამოხატულობას ჰპოულობს პრესაში. გაზეთი „კურიერ ვარშავსკი" კომენტარიებს უკეთებს ნოტას და აღნიშნავს, რომ საბჭოთა წინადადება წარმოადგენს არა მხოლოდ „სახალხო მოულოდნელობას", არამედ ისეთ ინიციატივას, რომელიც ყოველმხრივ უნდა იქნას განხილული. გაზეთი აცხადებს, რომ პოლონეთის მთავრობამ ჯერ კიდევ ვერ მოასწრო ამ საკითხში განსაზღვრული პოზიციის გამომუშავება. ის გარემოება, რომ ლიტვინოვის ნოტა შეიცავს ბალტიის სახელმწიფოთა არაპირდაპირ მოწვევას, რომ ეს უკანასკნელნი ოქმს შეუერთდნენ, მნიშვნელოვნად ამძლავრებს პოზიციას პოლონეთის დიპლომატიისა, რომელსაც ერთად ერთი „რუმინეთის არგუმენტი" ღა შერჩა. გაზეთი „ილიუსტროვანი კურიერ ცოძენი", რომელიც, საერთოდ, სწორ ცნობებს ბეჭდავს, აცხადებს: „იბადება საკითხი, რათ არ მოიწვიეს საბჭოებმა რუმინეთი, რომ ის ოქმს შეუერთდეს, თუ მათ მართლაც აინტერესებთ მშვიდობიანობის დაცვა. საბჭოთა მთავრობა შეეცდება თავი გამოიმართლოს იმით, რომ მას არა აქვს დიპლომატიური ურთიერთობა რუმინეთთან. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხელისუფლებას არა აქვს დიპლომატიური ურთიერთობა ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებთანაც. მიუხედავად ამისა, ამ გარემოებამ ხელი არ შეუშალა მას მოსკოვში საფრანგეთის ელჩის საშუალებით ეცნობებინა ამერიკის მთავრობისათვის თავისი წინადადებები". „საბჭოთა მთავრობას",—განაგრძობს შემდეგ გაზეთი,—„უნდა მიემართა პოლონეთის მთავრობისათვის რათა მას წინადადებით, შუამავლობა გაეწია საბჭოთა კავშირსა და რუმინეთს შორის ამ საკითხის შესახებ". ებრაული ბურჟუაზიის გაზეთი „ნაშ პშეგლონდ"-ი იუწყება, რომ „ის ეჭვები, რომლებიც პოლონეთის პოლიტიკურ წრეებში

გამოიწვია საბჭოთა
მხრივ
ლიტიკური წრეები
ვით,—სწერს გაზ
უდრეკლობით
იმარჯვა თავ
პარაკების წ
„მანჩეს
ლონდო
„მანჩესტერ
თებს ამხ. ლი
მი იმის შესახ
პოლონეთის
გატარებულ
„კარგია უკვ
ბოთა კავში
რის ურთიერ
ხელმწიფოთ
რუმინეთისათვის
ური წინადა
ტომ, რომ მა
ტორიად არ მ
რუმინეთმა მოჰპა
ამ პროვინციის თა
მეტად საეჭვო ლეგალ
გაზეთი აღნიშნავს, რომ
საბჭოთა კავშირის შე
ველგვარი ცდის შესაძ
ნეთ-საბჭოთა კავშირის
ბული ძალის საშუალებით
ლიტვის ტელეგრაფ

კოვნო, 2 იანვარი.
სააგენტო აქვეყნებს შე
ვის მთავრობამ მოსკოვ
გენლის საშუალებით მი
დადების ტექსტი, რომე
ეგზავნა, და რომელიც
ტის ძალაში შესვლის მ
მოწერას. გაეცნო რა ა
ვის მთავრობამ დაადგი
და მოუცდელად ბალტი
რომ მათ უარი არ განა
წინადადებისადმი შე

უერთდებიან კომინტერნის აღმასკომის წერილს

ბერლინი, 2 იანვარი. გამბურგისა და ზღვის განაპირა მხარის საოლქო კომიტეტმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც იგი აცხადებს, რომ ყოველივე შენიშვნის გარეშე უერთდება კომინტერნის აღმასკომის ღია წერილს და განსაკუთრებით აღნიშნავს კომინტერნის აღმასკომის ენერგიულ ნაბიჯებს გერმანიაში შინაპარტიულ უთანხმოებათა მოსაგვარებლად (ადს).

ხელშეკრულების განახლება იტალიასა და სამხრეთ-სლავიას შორის

ვენა, 2 იანვარი. ბელგრადის გაზეთი „პოლიტიკა" იუწყება, რომ იტალიასა და სამხრეთ-სლავიას შორის სამეგობრო ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო, სამხრეთ-სლავიის ინიციატივით, რომში დაიწყო მოლაპარაკება ხელშეკრულების განახლების შესახებ.

გაზეთის ცნობით, სამხრეთ-სლავიამ შეიტანა წინადადება იმის შესახებ, რომ ხელშეკრულება დადებულ იქნას უფრო ფართო საფუძვლებზე. ამ წინადადებაზე იტალიას ჯერ პასუხი არ მიუცია (ადს).

გერმანიის კომპარტიის ათი წლის თავი

ბერლინი, 2 იანვარი. გერმანიის კომპარტიის ათი წლის თავის გამო გამართეს ორი გრანდიოზული მიტინგი. სიტყვები წარმოსთქვეს ტელმანმა და ეკერტმა. თავისი სიტყვის ბოლოში ტელმანი გერმანიის კომპარტიის სახელით მისალმა საბჭოთა კავშირის მუშებს და გლეხებს, საკავშირო კომპარტიას (ბ) და კომინტერნს (ადს).

უმუშევრობის ზრდა გერმანიაში

ბერლინი, 2 იანვარი. აღრიცხულ უმუშევართა რიცხვმა დეკემბრის პირველი ნახევრის განმავლობაში 270.000-ით იმატა და 1,800.000 კაცს მიაღწია (ადს).

კოროშეცის კაბ

მიღ

ვენა, 2 იანვარი. ბ
რომ სამხრეთ-სლავიის
კოროშეცის კაბინეტი
კოროშეცი მთავრობის
გამგებლობა და პარტ
ლაპარაკის შეუდგა

დათმობ

ვენა,
რომ შე

საკავშირო კომპარტიის (ბ) სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესება და წმენდა

ჩვენი პარტიის სოციალური შემადგენლობის საკითხი ყოველთვის წარმოადგენდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, რომელსაც პარტია თავისი არსებობის განმავლობაში უდიდეს ყურადღებას აქცევდა. ამავე საკითხის გამო ულმობელი იერიშები მოჰქონდა პარტიაზე ოპოზიციას.

ჯერ კიდევ ბოლშევიზმის რიჟრაჟზე, პარტიის მე-2 ყრილობის დროს, ჩვენ და ტროცკის ერთმანეთს გვაშორებდა დავა იმის შესახებ, თუ ვინ უნდა ყოფილიყო პარტიის წევრად. ტროცკი, აქსელროდთან და მარტოვთან ერთად, ძალიან ცდილობდა, რომ ჩვენი პარტიის წესდებას ხელი არ შეეშალა თანამგრძნობი პროფესორებისა და გიმნაზიელებისათვის — ყოფილიყვნენ ჩვენი პარტიის წევრებად. ოქტომბრამდე, მთელი ჩვენი ბრძოლის მანძილზე, პარტიაში მუშების მიზიდვის საკითხი არ მოშორებია ლეგალური თუ არალეგალური პრესის ფურცლებს და იგი ჩვენი საუკეთესო ორგანიზატორების საზრუნავ საგანს წარმოადგენდა. განსაკუთრებით ლენინი აღნიშნავდა ყოველთვის, რომ საჭიროა მთავარი ყურადღება მივაქციოთ დიდ ფაბრიკებსა და ქარხნებსაო, გადავაქციოთ ისინი ციხე-სიმაგრეებად, სოციალისტური პარტიის ბურჯებად, იქიდან მივიღოთ საუკეთესო კადრები, იქიდან დავაწინაუროთ ხელმძღვანელები და კომიტეტის წევრთა შემადგენლობა მუშების წრიდან შევავსოთო. ამიტომ ლიკვიდატორებთან ბრძოლის დროს ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვაძლევდით იმ ფაქტს, რომ მაშინდელ პარლამენტში, სახელმწიფო სათათბიროში, ბოლშევიკებს წარმომადგენლებად ჰყავდათ ხუთი მუშა, რომ მუშები შეადგენდნენ ჩვენი „პრავდ"-ისა და სხვა გაზეთების ხელისმომწერთა მთავარ მასას, რომ მელითონეებისა და სხვათა უდიდესი პროფკავშირები მხარს უჭერდნენ ჩვენს კამპანიებს და სხვ. ჩვენ რომ ასეთი მკვიდრი დასაყრდნობი არა გვქონოდა. სწორედ მუშათა მასებში 1917 წელს გვეიძნელდებოდა გავლენის გაფართოება არმიაზე, გლეხობაზე.

ამ წერილის მიზანს არ შეადგენს დაწვრილებით გამოკვლევა იმისა, თუ როგორ იცვლებოდა ჩვენი პარტიის სოციალური შემადგენლობა ოქტომ-
ის შემდეგ. ლენინი ოქტომბრის წი-
ოღეებში *) აღნიშნავდა, რომ იმპე-
იზმის განვითარების პროცესით
ილ დღევანდელ ვითარებაში,
საც შეგნებულმა მუშებმა შეა-
ვეს მეოთხედ მილიონიანი პა-
თა გეგმაშეწონილად დაეპა-
აპარატს და აამუშაონ იგი
ელთა და გაყვლეფილთა
— როდესაც არსებობს
. მაშინ დედამიწის
ჩნდება ისეთი ძალა,
შეუძლის ბოლშევი-
არ შეუშინდე-
ირ ხელისუფ-
ნარჩუნე-
რევო-

შემჭიდროვება, ის უდიდესი ამოცანები, რომლებიც წარმოიშვნენ ოქტომბრის მეორე დღეს, მოითხოვდნენ ჩვენგან მოწინავე შეგნებული მუშების გაცილებით უფრო ფართო ფენების შემჭიდროვებას, ყველა კომუნისტური ელემენტის ორგანიზაციას ჩვენი პარტიის დროშის ქვეშ. ეს ამოცანა ჩვენს ქვეყანაში მით უფრო რთულია, რომ მენშევიკებისა და ესერების განადგურების შემდეგ პოლიტიკურ სარბიელზე აშკარად მოქმედებს მხოლოდ ერთი პარტია. მეორეს მხრით, ქალაქების მუშათა კლასი უკანასკნელ დრომდე მშრომელთა მთელ მასასთან შედარებით მცირე-რიცხოვანი იყო, იგი მუდამ ივსება სოფლიდან მომავალი ახალ ახალი კადრებით, რომლებსაც თან მოაქვთ ნახევრად გლეხური იდეოლოგია. კომუნისტების პარტიაში შესვლას ცდილობს არა მარტო დიდი ფაბრიკა-ქარხნის მუშა, არამედ მცირე საწარმოს მუშაც, ხელოსანიც, რომელმაც დამოუკიდებლობა დაჰკარგა, ღარიბი გლეხიც, და მარტო ღარიბი გლეხი კი არა, საშუალო გლეხიც. პარტიაში შესვლას ცდილობს ინტელიგენცია, ხშირად ამასვე სცდილობენ წვრილ-ბურჟუაზიული, ქალაქური, მეშჩანური წრიდან გამოსული პირებიც. არაპროლეტარული შთამომავლობის ელემენტები წლობით მუშაობენ პარტიის გვერდით, ნდობას იმსახურებენ და პარტიაში შესვლას ახერხებენ. ამიტომ საკავშირო კომპარტია (ბ) სოციალური შემადგენლობის მხრით ამჟამად წარმოადგენს არა ერთფეროვან სურათს. მასში ახლა მუშები შეადგენენ დაახლოვებით მხოლოდ 61 პროცენტს, გლეხები 20,9 პროცენტს, ხოლო მოსამსახურეები და სხვები 18,1 პროცენტს. ასეთი იყო ჩვენი პარტიის სოციალური სახე 1928 წლის 1 ივლისამდე, წითელი არმიისა და საზღვარ-გარეთ არსებული საბჭოთა დაწესებულებების გამოკლებით. რიცხვობრივად ჩვენი პარტია ამჟამად უახლოვდება ალბად მილიონ ნახევარს (ცოტა ნაკლებ).

თუ საქმიანობას მივიღებთ მხედველობაში და არა სოციალურ შემადგენლობას, დავინახავთ, რომ მუშების, პროლეტარების (თავისი შთამომავლობით და წინანდელი საქმიანობით) საკმაოდ დიდი რიცხვი ამჟამად ხელმძღვანელობს ადმინისტრატიულ სამეურნეო, პროფესიონალურ და პარტიულ დაწესებულებებსა და წარმოებასთან უშუალოდ დაკავშირებული აღარ არის. წარმოებასთან უშუალოდ დაკავშირებულია მხოლოდ 42,4 პროცენტი. აქედან სასოფლო - სამეურნეო მოჯამაგირეები შეადგენენ 2 პროცენტს, დანარჩენები — ფაბრიკების, ქარხნების და ტრანსპორტის მუშები არიან. გლეხები (თავიანთი საქმიანობით) შეადგენენ 12,3 პროცენტს, მოსამსახურეები — 35 პროცენტს, დანარჩენები (მოსწავლეები, შინამრეწველები, უმუშევრები და სხვ.) — 10,3 პროცენტს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ კომუნისტური პარტია, ხელმძღვანელი პარტია, ყოველ დღე აწინაურებს მუშების ახალ-ახალ ფენებს მმართველობისათვის, ხელმძღვანელობისათვის. ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან
ნს საბჭოთა სახელმწიფოს ყველა
ს ორ ნიზატორებისა და ხელ-
ს; არ უნდა და-
ვეპარები-
ნტები,

რომლებიც განიცდიან გარემოცული წვრილბურჟუაზიული წრის გავლენას და გახრწნას, რომ პარტიის ზოგიერთი წევრები ამ წვრილბურჟუაზიული წრის ზეგავლენით ამახინჯებენ პარტიის ხაზს. ამას ჩვენ არასოდეს არ ვმალავდით. ჩვენი საკონტროლო კომისიების მუშაობის მიზანია, რომ სისტემატიურად გაიწმინდოს პარტია ასეთი ელემენტებისაგან, უცხო, მიტმასნებულ, გახრწნილ, გაბიუროკრატებულ, პარტიისა და მუშათა კლასისათვის უცხო ელემენტებთან დაკავშირებული პირებისაგან. ხოლო დროდადრო პარტია აწარმოებს გენერალურ წმენდას, თავისი რიგების საფუძვლიან წმენდას. ასე იყო 1921 წელს, როდესაც ტროცკისტებთან, საპრონოველებთან და „მუშათა ოპოზიციასთან" დისკუსიის შემდეგ, პარტიამ გამოარკვია, რომ მის რიგებში არსებობდა ანარქო-სინდიკალისტური გადახრა, არსებობდნენ წვრილბურჟუაზიული მერყეობანი და როდესაც მან მე-X ყრილობაზე დაადგინა თავისი რიგების გაწმენდა. პარტიის მეXI ყრილობაზე გაკეთებული მოხსენებიდან გავიგეთ, რომ წმენდის დაწყებამდე პარტიაში იყო (გარდა თურქესტანისა) 659.000 წევრი; წმენდის შემდეგ — 500.000 წევრი. ამგვარად, წმენდის დროს გამორიცხულ იქნა ან თავის ნებით წავიდა პარტიის 159.000 წევრი ანუ პარტიის წევრთა მთელი რიცხვის 23 პროცენტი. თავისი ნებით წავიდა დაახლოვებით 18.000 კაცი. ზოგიერთ ორგანიზაციაში გამორიცხულ და თავის ნებით წასულთა პროცენტი, მუშათა ორგანიზაციებშიაც კი, ძალიან დიდი იყო: ლენინგრადში — 18,1 პრ. მოსკოვში — 17,8 პროც., ივანოვო-ვოზნესენსკში—12 პროც., ნიჟნი-ნოვგოროდში—17,4 პროც., სვერდლოვსკში—18,8 პროც., კოსტრომაში—18,2 პროც., ხოლო ტულაში—34,3 პროცენტიც კი. სამიწათმოქმედო გუბერნიებში ეს პროცენტი ალაგ-ალაგ უფრო დიდი იყო. მაგალითად, რიბინსკის ორგანიზაციიდან წმენდის დროს გამოირიცხა 38,9 პროც.

თუმცა წმენდა საკმაოდ მკაცრად სწარმოებდა, მაგრამ ზოგიერთ ჩვენს ამხანაგებს, მათ შორის ვლადიმირ ილიჩს, კარგად ესმოდათ, რომ, ასეთი წმენდის უდიდესი სიძნელეების წყალობით, პარტიაში კიდევ დარჩნენ არასაკმაოდ მტკიცე და უვარგისი ელემენტები. 1922 წლის 26 მარტს ლენინი ამხ. მოლოტოვს *) სწერდა:

„მე არ მოვითხოვ პარტიის ახალ გენერალურ წმენდას, რადგან ვფიქრობ, რომ ეს ახლა პრაქტიკულად განუხორციელებელია; მაგრამ საჭიროა რაიმე საშუალების გამოძებნა პარტიის ფაქტიური გაწმენდისათვის, ე. ი. მისი შემადგენლობის შემცირებისათვის; თუ ამის შესახებ ვიფიქრებთ, დარწმუნებული ვარ, რომ სათანადო ზომების გამოძებნა მოხერხდება".

მას აქეთ რამდენიმე ცალკე წმენდა მოვახდინეთ. სხვადასხვა გუბერნიებში შევამოწმეთ სოფლური უჯრედები, რომლებიც ძალიან იყვნენ შერყვნილნი თავისი სოციალური შემადგენლობით და მოსახლეობაში მითქმა-მოთქმას იწვევდნენ. 1924 წელს, ტროცკისტებთან დისკუსიის შემდეგ, შევამოწმეთ საბჭოთა დაწესებულებების და უმაღლეს სასწავლებელთა უჯრედები. მაშინ ოპოზიცია ფიქრობდა, რომ ყოვლად შეუწყნარებელია უჯრედების შემოწმება დისკუსიის შემდეგ, რომ, ვითომ, ეს წმენდა ანგარიშის გასწორებას წარმოადგენს იმათთან, ვინც დისკუსიაში მონაწილეობას იღებდა. მათ დაავიწყდათ, რომ ლენინის დროს, 1921 წელს, პარტიის მე-10 ყრილობაზე გადასწყდა პარტიის წმენდა ულმობელი, მკაცრი დისკუსიის შემდეგ.

მეორეს მხრით, ჩვენ ვაძლიერებდით პარტიის შემადგენლობას იმით, რომ ამოცანად ვისახავდით პროლეტარული ნაწილის გადიდებას. ეს შეადგენდა პარტიის მთავარ საზრუნავს. ამ მხრით ფრიად საინტერესოა ამხ. სმიტენის წერილში გამოქვეყნებული ციფრები („პარტიის ზრდის საკითხისათვის". „პრავდა" № 271, 1928 წ. 21 ნოემბერი). ამ წერილიდან სჩანს, რომ 1924 წლის იანვრიდან მუშათა უჯრედების რიცხვი 121 პროცენტით გაიზარდა, მაშინ, როდესაც სხვა, არა მუშათა უჯრედების რიცხვი მხოლოდ 38 პროცენტით გაიზარდა. მარტო უჯრედების რიცხვი კი არა, მათი ხვედრითი წონაც გაიზარდა. თუ 1 იანვრისათვის მუშათა უჯრედები უჯრედების საერთო რიცხვის 17,5 პროცენტს შეადგენდნენ, ამჟამად ისინი შეადგენენ 25 პროცენტზე მეტს. გაიზარდა აგრეთვე მუშათა უჯრედების წევრთა რიცხვიც. 1924 წლის დამდეგისათვის ისინი შეადგენდნენ პარტიის მთელი შემადგენლობის მეოთხედზე ნაკლებს; ამჟამად მუშათა უჯრედებში მოქცეულია კომუნისტების მთელი მასის ნახევარზე მეტი, ხოლო მუშათა უჯრედების აბსოლუტური რიცხვი გადიდდა 505 პროცენტით. თუ 1924 წელს თვითეულ უჯრედზე საშუალოდ მოდიოდა 24 კომუნისტი, ამჟამად (1928 წლის 1 ივლისი) მუშათა თვითეულ უჯრედზე საშუალოდ 66 კომუნისტი მოდის. უკანასკნელ წლებში ფაბრიკებსა და ქარხნებში ჩვენი ორგანიზაციების გადიდებასთან ერთად გადავედით საცეხო უჯრედების ორგანიზაციაზე და ამჟამად გვაქვს 5.000-ზე მეტი საცეხო უჯრედი. ყოველ შემთხვევაში, ამჟამად მუშები და მუშებიდან გამოსული მოსამსახურეები შეადგენენ დაახლოვებით 900.000 (ცოტა ნაკლებს) წევრსა და კანდიდატს. ეს ციფრი, თუნდაც შემცირდეს კიდეც მომავალი წმენდის შემდეგ, მაინც უდიდესი რაოდენობის გამომხატველი იქნება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ კომუნისტების რიცხვი მუშათა შორის საშუალოდ დაახლოვებით 12 პროცენტს უდრის, ხოლო სხვადასხვა ორგანიზაციებში ეს პროცენტი კიდევ უფრო დიდია (ლენინგრადში მუშების 19 პროცენტს კომუნისტები შეადგენენ). არ უნდა დავივიწყოთ, რომ ახალგაზრდა მუშები თუმცა პარტიის წევრები არ არიან, მაგრამ კომკავშირელთა ორგანიზაციაში იმყოფებიან; ასე რომ ეს ციფრები დაახლოვებით ერთი-ორად უნდა გავადიდოთ, თუ გვინდა წარმოვიდგინოთ საბჭოთა კავშირის მუშების პოლიტიკური სახე.

მიუხედავად ამისა, ჩვენ ვხედავთ სრულიად აშკარა ჩამორჩენილობას. წარმოებაში ჩაბმულ მუშა-პარტიულთა შორის **ჩამორჩენილია მსხვილ საწარმოებებში ჩაბმულ მუშა-პარტიულთა ზრდა**: უდიდეს საწარმოთა მუშებს შორის კომუნისტთა რიცხვი უდრის 12 პროცენტს, საშუალო და წვრილ (სადაც 3.000-ზე ნაკლები მუშაა) საწარმოთა მუშებს შორის — 13,5 პროცენტს. სოციალისტური მშენებლობის ახალი ეტაპი დაკავშირებულია სწორედ **მსხვილ საწარმოთა**, განსაკუთრებით მძიმე ინდუსტრიის როლის გაძლიერებასთან. ამის შესაფერად უნდა გაიზარდოს იმ კომუნისტების როლი და მნიშვნელობა, რომლებიც ამ მსხვილ წარმოებებში მუშაობენ. ეს საჭიროა რაციონალიზაციის წარმატებისათვის, ამ საწარმოთა ხელმძღვანელი როლის გაძლიერებისათვის. პარტიაში შემავალ მუშათა შორის **საკმაო არ არის იმ მუშების რიცხვი, რომელთაც დიდი საწარმოო სტაჟი აქვთ.** აქ აღვნიშნავთ მენშევიკურ (იმავე ტროცკისტულ) ლაპარაკს იმის შესახებ, ვითომ „ლენინის გაწვევის" და „ოქტომბრის გაწვევის" მუშები ისეთი მუშები იყვნენ, რომლებსაც არ გამოუვლიათ კლასობრივი ბრძოლა. მაგრამ ის, რომ ჩვენ პარტიაში ვერ მოვიზიდეთ მრავალი ათასი მუშა, რომელნიც ღირსნი არიან, რომ ყველაზე მოწინავე, ყველაზე შეგნებული, ყველაზე რევოლიუციონური პროლეტარების რიგში იდგნენ — ეს, არა მგონია, სადავო იყოს. ამიტომ ნოემბრის პლენუმმა აღნიშნა: **„საჭიროა პარტიაში მოვიზიდოთ მუშათა კლასის ნამდვილი მოწინავე ელემენტები, რომელთაც უნარი შესწევთ მუშათა მასების ავანგარდში იდგნენ სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა დასაძლევად, წვრილ-ბურჟუაზიულ მერყეობათა აღმოსაფხვრელად და იმისათვის, რომ პარტიას ნდობა გაუძლიერდეს მუშებისა და სოფლის მშრომელთა მთელ მასაში".**

ამას უნდა მივაქციოთ პარტიულების უმთავრესი ყურადღება, უნდა მოვახდინოთ მათი **აქტივიზაცია**; ამ მუშაობაში ხელი უნდა ავიღოთ ყოველგვარ ფორმალობაზე, ყოველმა პარტიულმა მეტი **თაოსნობა, მეტი სიმტკიცე** უნდა გამოიჩინოს. ამან უნდა გამოიწვიოს პარტიულების **დაახლოვება** საუკეთესო უპარტიო (ფორმალურად) ელემენტებთან. აქა-იქ საყვედური გაისმის იმის გამო, რომ ესა და ეს კომუნისტები **პასიურნი არიან, კარჩაკეტილნი**, სუსტად ეხმაურებიან მუშათა მასისათვის საინტერესო საკითხებს, ზოგჯერ ქედმაღლობასაც კი იჩენენ ამ მასისადმი. ასეთი მოვლენები ძირიან-ფესვიანად უნდა აღმოვფხვრათ. პლენუმმა მკაფიოდ აღნიშნა კონკრეტული ამოცანა: **„მხნედ და უყოყმანოდ ჩავაბათ პარტიაში ის მუშები და მუშა-ქალები, რომლებიც ყველაზე მეტ პოლიტიკურ სიმტკიცეს იჩენენ სიძნელეების პერიოდებში, რომლებიც ნამდვილი პროლეტარული ინტერნაციონალისტები არიან, პირადის მაგალითით ხელს უწყობენ შრომის ნაყოფიერებისა და შრომის დისციპლინის ზრდას, თავგამოდებით და ჰეროვნად ებრძვიან ბიუროკრატიზმს აქტიურად მუშაობენ საკუთარი კულტურული განვითარებისათვის და ამიტომ უნარი შესწევთ გაამაგრონ პროლეტარული ავანგარდის ლენინური რიგები".**

ჩამორჩენილია პარტიაში მუშა-ქალების ზრდა. მიუხედავად სხვადასხვა ობიექტიური, სოციალურ-საყოფაცხოვრებო და ეკონომიური პირობებისა, რომლებიც დღემდე ხელს უშლიან მუშა-ქალს, რომ მუშებთან თანაბარი მონაწილეობა მიიღოს პარტიის (და კომკავშირის) ცხოვრებაში, ჩვენ მაინც შეგვეძლო ამ საქმეში მეტი წარმატება მოგვეპოვებინა, თუ საკმაო ენერგიით მივიზიდავდით მუშა-ქალს ჩვენს რიგებში. ცხადია, საქმე მარტო პროპაგანდა და აგიტაცია კი არ არის, არამედ ისიც, რომ **მაქსიმალური ყურადღება გამოვიჩინოთ იმ პირობების მოსპობაში, რომლებიც ხელს უშლიან მუშა-ქალს, რომ ლენინური პარტიისა და კომკავშირის აქტიური წევრი იყოს.**

ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს პარტიული რიგების სათანადოდ განმტკიცებას სოფლად. იქ ჩვენი პროლეტარული გავლენა ნაკლებია, არ არსებობენ პროლეტარული მასივები, პარტიული ცენტრების კონტროლი ნაკლებია, წვრილ მესაკუთრეობის სტიქიის გავლენა უფრო მკვეთრი და ძლიერია. იქ მეტის მხნეობით უნდა უზრუნველვყოთ პარტიაში შესვლა მოჯამაგირე ქალებისა და მამაკაცებისა, კოლექტიური მეურნეობათა ღარიბი მუშაკებისა. სოფლის მეურნეობაში სოციალისტური ელემენტების **ზრდა** და პარტიაში მოჯამაგირეთა (და ღარიბთა) შემადგენლობის **ზრდა** პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს. უახლოეს პერიოდში (მეტადრე მიწათმოქმედ რაიონებში). ამა თუ იმ ორგანიზაციის **პარტიული მუშაობის წარმატება უნდა გავზომოთ** არა მარტო ქალაქის მუშათა ზრდით, არამედ მიწისა და ტყის მუშების ზრდითაც. ამ მუშაობას უნდა მოვახმაროთ სათანადო ძალები და სახსრები.

* *

საკავშირო კომპარტიის (ბ) ნოემბრის პლენუმი დაწვრილებით შეეხო მუშების მიზიდვას პარტიაში იმ ძირითად რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, რომელზედაც გადადის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. ასეთი რეკონსტრუქციისათვის საბჭოთა სახელმწიფოს ახლა გაცილებით უფრო მეტი წინასწარი საჭირო პირობები გააჩნია, ვიდრე წინად. ლენინის დროს ამ პირობებს ისეთი ფართო ხასიათი არა ჰქონდა, როგორც ამჟამად. მხოლოდ იდიოტურად გაბოროტებულ ფანტაზიას შეუძლია ანალოგია გაატარებინოს ტროცკისტებს დღევანდელ დღესა და კერენსკის ბატონობის დროს შორის, ათქმევინოს მათ, რომ ჩვენს თვალ წინ ოქტომბრის ფილმის უკუღმა გაშლა სწარმოებსო. 1925 წელს ტროცკიმ ზაპოროჟიეს პარტიული ორგანიზაციის საქალაქო კრებაზე სთქვა (1925 წ. 1 სექტემბერი): „სახელმწიფო საგეგმო კომისიის მშრალი ციფრები პირველი და მსოფლიოში უდიდესი მოწმობა იმისა, რომ სოციალიზმის გამარჯვება კაპიტალიზმზე თანდათან იზრდება".[1] მას შემდეგ, რაც ტროცკიმ ეს სთქვა, ბევრი რამ შეიცვალა. თუ 1925 წლის დამდეგამდე ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრება ისე ვითარდებოდა, რომ ტროცკის სიტყვებით „სახელმწიფო საგეგმო კომისიის მშრალი ციფრები პირველი და მსოფლიოში უდიდესი მოწმობა იმისა, რომ სოციალიზმის გამარჯვება კაპიტალიზმზე თანდათან იზრდებაო", რაღა უნდა ვთქვათ დღევანდელი დღის ციფრების შესახებ, რომლებმაც ძალიან გაუსწრეს სახელმწიფო საგეგმო კომისიის 1925 წლის ციფრებს? ტროცკისტებს რომ პატიოსნებისა და ობიექტივიზმის ნატამალი მაინც გააჩნდეთ, უნდა აღიარებინათ, რომ სოციალიზმის გზაზე 1925 წლიდან ბუმბერაზული ნაბიჯით წავედით წინ მრეწველობის დარგშიაც და სოფლის მეურნეობის დარგშიაც. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ წინ მივდივართ ბუმბერაზულის ნაბიჯით, რომ ჩვენი მშენებლობის ტემპი ასეთი ძლიერია, ჩვენ გვილობება უდიდესი სიძნელეები და უდიდესი წინააღმდეგობა. არაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ტროცკისტებისა და სხვა მსგავსი ორგანიზაციების (სა ნოველების, მიასნიკოველების) მო მოქმედება ამ მოძრაობისათვის რა დაბრკოლებაა, ისეთი დაბრკო ბა, როგორიც არის ჩვენი კლასობრ მტრების მთელი მოქმედება.

მაგრამ პარტიას ნათლად აქვს გნებული, რომ ამ სიძნელეების ძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში იძლება, თუ პარტიის რიგები საკმა მტკიცენი იქნებიან, საკმაოდ ერთ როვანი, თუ პარტიის მთავარი ხერხ ალი — პროლეტარული ხერხემალ — უაღრესად მაგარი იქნება. ამიტ უახლოესი პერიოდისათვის პარტიი ამოცანაა — ხელახლა მიიღოს მუშე ბის არა ნაკლებ 80 პროცენტისა ვარაუდით, რომ 1930 წლის დამდეგის არა უგვიანეს „პარტიაში წარმოების მუშები შეადგენდნენ მისი შემადგენლობის ნახევარს მაინც". ამ ამოცანას მთლიანად შევასრულებთ და, ალბად, გადავაჭარბებთ კიდეც, რადგან მუშების მისწრაფება პარტიისაკენ საკმაოდ დიდია. რასაკვირველია, საჭირო იქნება შევამციროთ სხვა ელემენტების მიღება

1922 წელს ლენინი აღნიშნავდა საფრთხეს იმის გამო, რომ მუშათა შემადგენლობა ძლიერი არ იყო: „თუ,—სწერდა ლენინი ამხ. მოლოტოვს,—სინამდვილეს თვალს გავუსწორებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ამჟამად პარტიის პროლეტარულ პოლიტიკას განსაზღვრავს არა მისი შემადგენლობა, არამედ უდიდესი, უდავო ავტორიტეტი იმ უაღრესად პატარა ფენისა, რომელსაც შეიძლება უწოდოთ ძველი პარტიული გვარდია. **საკმაოა მცირე შინაური ბრძოლა ამ ფენაში, რომ მისი ავტორიტეტი თუ არ დაეცემა, ყოველ შემთხვევაში იმდენად დასუსტდება, რომ გადაწყვეტილება უკვე დამოკიდებული იქნება არა მისგან"** (ხაზი ჩემი გასმულია. ე. ი.).

ამიტომ საჭიროა: 1) გავადიდოთ ყველა საკანდიდატო სტაჟი; 2) განვსაზღვროთ განსაკუთრებული დეტალობით, თუ რითი უნდა გამოიხატებოდეს საკანდიდატო სტაჟის ნამდვილი გავლა, რანაირი უნდა იყოს კონკრეტული და პრაქტიკული პირობები იმის შესამოწმებლად, რომ საკანდიდატო სტაჟის გავლა ნამდვილად ხდება და მხოლოდ ცალიერ ფორმალობად არა რჩება; 3) საჭიროა შევქმნათ კვალიფიკაციური უმრავლესობა იმ დაწესებულებებში, რომლებიც პარტიაში ახალი წევრების მიღების საკითხს სწყვეტენ; 4) საჭიროა ეს მიღება დამოკიდებული იყოს არა მარტო საგუბერნიო კომიტეტების გადაწყვეტილებაზე, არამედ საკონტროლო კომისიების გადაწყვეტილებაზედაც; 5) საჭიროა შემუშავდეს კიდევ რაიმე ზომები იმისათვის, რომ გაადვილდეს პარტიის განთავისუფლება იმ წევრებისაგან, რომლებიც სრულებითაც არ არიან ისეთი კომუნისტები, რომ სრულიად შეგნებულად ახორციელებდნენ პროლეტარულ პოლიტიკას.[1]) ალბად.

---

*) ამხ. ტომსკის სიტყვა, საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-14 ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში.

[1]) ტროცკი, „ჩვენი ახალი ამოცანების შესახებ", სახ. გამომც., 1926 წ.

[1]) ტომსკის სიტყვა, საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-14 ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში.

საბჭოთა არჩევნებისათვის

კულაკების თავდასხმა მოჯამაგირეზე

(ტელეგრაფით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ზემო-მაჩხაანი

ზემო-მაჩხაანში კულაკ ტოკლიკიშვილებმა თავიანთ სახლში სცემეს მოჯამაგირეთა შორის მომუშავე კოტე ტოკლიკიშვილი, რომელიც დაათვრეს, უმოწყალოთ სცემეს და იარაღი აყარეს. ცემა მოხდა იმის გამო, რომ კოტეს მიერ მოჯამაგირეები მთლიანათ აღირიცხა, რის გამოც ზემოხსენებულ კულაკებს ხმა ჩამოერთვათ არჩევნებში.

კულაკები დაპატიმრებულია და მიცემული პასუხისგებაში.

ჩოჩუა.

თბილისის მაზრის საბჭოს წევრ ქალთა კონფერენცია

გუშინ საღამოს, ალმასკომის დარბაზში გაიხსნა თბილისის მაზრის საბჭოს წევრ ქალთა კონფერენცია. მოკლე შესავალი სიტყვით თათბირი გახსნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე ამხ. ანდრიაძემ.

კონფერენციის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: ქალების მონაწილეობა საბჭოების არჩევნებში, გლეხი ქალები და კოლმეურნეობანი სოფლად და მიმდინარე საკითხები.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ვარძიელმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე საარჩევნო კამპანია არის უდიდესი კამპანია, რომელშიაც მოსახლეობამ უნდა მიიღოს ფართო მონაწილეობა, თვითეულმა ამომრჩეველმა უნდა მიიღოს მონაწილეობა საბჭოს მუშაობის შემოწმებაში, მიუთითოს ნაკლოვანებებზე, მისცეს საბჭოს ნაკაზი და სხვ. არჩევნებისათვის მოსამზადებელი მუშაობა უკვე დამთავრდა. ამჟამად იწყება საანგარიშო კამპანია, რაც აყენებს ჩვენს წინაშე მრავალ ამოცანებს, სახელდობრ: ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გაძლიერებას, კოოპერაციის მუშაობის გაძლიერებას, კულტურული მუშაობის გაუმჯობესებას და სხვა. საბჭოების ანგარიშის ჩაბარების დროს ქალებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, თუ რა მუშაობა აწარმოვა საბჭომ ყოფა-ცხოვრებითი საკითხების მოგვარებისათვის. კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში ქალებიც მტკიცედ უნდა დაირაზმონ კულაკების წინააღმდეგ. საბჭოებში რაც შეიძლება ქალების მეტი რიცხვი, რაც შეიძლება მეტი აქტივობა.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა უმთავრესად აღნიშნავდნენ ქალების მცირე პროცენტს საბჭოების შემადგენლობაში, საბჭოების სხდომებზე ქალების პასიურობას, ქალთა შორის მუშაობის სისუსტეს ადგილებზე და ღარიბ ქალების ორგანიზაციულად დარაზმვის აუცილებლობას კულაკების წინააღმდეგ და სხ.

საშეფო საზოგადოებების მონაწილეობა არჩევნებში

საბჭოების საარჩევნო კამპანიაში აქტიური მონაწილეობის მიღებისა და არჩევნების წარმატებით ჩატარების მიზნით ამას წინად თბილისის საშეფო საზოგადოებამ გამოიწვია ბაქოს საშეფო საზოგადოება. პასუხად თბილისის საშ-ბამ ბაქოს საშეფო საზოგადოებისაგან მიიღო შემდეგი წერილი:

— ბაქოს საშეფო საზოგადოება დიდის კმაყოფილებით იღებს თქვენს გამოწვევას და თავის მხრივ აუცილებლად სთვლის გადიდებული იქნეს ვალდებულება ზოგიერთ მუხლების მიხედვით შემდეგი სახით:

გაგზავნილი იქნეს ერთიდან ორ თვემდე სოფლად 140 აქტიური საშეფო მუშაკი საბჭოების საანგარიშო - საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად.

მუშათა რიცხვი ბრიგადებში აყვანილი იქნეს 150 კაცამდე.

ამას გარდა, მუშათა ბრიგადებს მიეცეს საწარმოო ხასიათი და გაგზავნილი იქნეს სოფლად 70 კაცი ინსტრუმენტებით გლეხებისათვის საწარმოო დახმარების გასაწევად.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს, მოჯამაგირეები განთავისუფლებული იქნენ სამუშაოდან.

იმ მიზნით, რომ სისტემატიურად იქნეს მიღებული მასალები საბჭოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მსვლელობის შესახებ; საჭიროა კავშირის დამყარება დელეგატებთან და მუშათა ბრიგადებთან (წერილების და დეპეშების გამოგზავნა, მოლაპარაკება პირდაპირი მავთულით და ტელეფონით).

დელეგატებისა და მუშათა ბრიგადების დაბრუნების შემდეგ მოწვეული უნდა იქნეს მშრომელთა ფართო კრებები, რომელზედაც მოხსენებები უნდა გააკეთონ დელეგატებმა ჩატარებული მუშაობის შესახებ.

ბაქოს საშეფო საზოგადოებამ თავის მხრივ შეჯიბრობის პრეზიდიუმში დაასახელა შემდეგი ამხანაგები: ველიევი, დოლიძე, სხიპოვი, შევცოვი, ნეპრიახინი, რაბოვი, აბაიმოვი, მემედოვი, კალმიკოვი, უგლიკი და პროკოფიევი.

ქუთაისი

მოჯამაგირეთა სამაზრო კონფერენცია

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

დღეს, 3 იანვარს, საღამოს 5 საათზე ქუთაისში მიმდინარე საბჭოთა არჩევნებთან დაკავშირებით გაიხსნა პარტიულ და პროფორგანიზაციების ინიციატივით მოწვეული მოჯამაგირეთა სამაზრო კონფერენცია.

კონფერენციას ესწრება 120 მოჯამაგირე. კონფერენცია გახსნა სამაზრო მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის თავმჯდომარემ ამხ. ლოლობერიძემ, რომელმაც შესავალ სიტყვაში დაახასიათა მოჯამაგირეთა ამოცანები მიმდინარე საბჭოთა არჩევნებში, რის შემდეგ არჩეულ იქნა საქმიანი პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: კეკელია, ღვამიჩავა, კაკაბაძე, ბერიძე, ლოლობერიძე, დანგაძე, ხიზაშვილი და ბერიაშვილი.

დამტკიცებული იქნა შემდეგი დღის წეს-

ახალგაზრდობის მონაწილე-
[illegible] არჩევნებში.
[illegible] შორის მუშაობა მაზრაში.
[illegible] სოციალური დაზღვევა.
[illegible] კონფერენციამ მოისმინა
[illegible] თავმჯდომარის მოადგილის მოხსენება.
[illegible] აღნიშნა, რომ მოჯამაგირეებმა მიმდინარე საარჩევნო
პოლიტიკური მნიშვნე-
მიუხედავად იმისა, რომ
მოჯამაგირე გვყავს,
[illegible] გასულ წელში არც
საბჭოს წევრად. მიმდინა-
[illegible] მოჯამაგირეთა სათემო და
[illegible] ციებმა დაგვანახვა, რომ

მოჯამაგირეთა ფართო მასა სავსებით მზად არის არჩევნებში აქტიური მონაწილეობის მისაღებისათვის.

ამხ. კაკაბაძის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 20-მდე მოჯამაგირემ.

მოკამათენი აღნიშნავდნენ, რომ კულაკებს იერიშები მიაქვთ მათ წინააღმდეგ. რომ ისინი ცდილობენ შეაფერხონ მოჯამაგირეთა აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ მუშაობაში. ემუქრებიან მათ სახლიდან გამოგდებით, ხოლო ამ გარემოებას ადგილებზე სათანადო ყურადღება არ ექცევა. პირიქით, არის შემთხვევები, როცა სათემო-საარჩევნო კომისია კომისიის წევრ მოჯამაგირეს სხდომაზედაც არ იწვევს. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ საბჭოს წევრი მოჯამაგირე ხელმძღვანელობის სისუსტის გამო ექცევა დამქირავებელ კულაკის სრული გავლენის ქვეშ და ამით ის სრულიად აზარალებს სოფლად კლასიურ ხაზის გატარებას.

ორატორები მოითხოვდნენ ასეთ მოვლენების გამოსასწორებლად მუშაობის გაძლიერებას მომავალში, ისინი მოითხოვდნენ აგრეთვე პარტიული და კომკავშ. ორგანიზაციების მიერ ხელმძღვანელობის გაძლიერებას, სოფლად საბჭოებში მოჯამაგირეთა სათანადო პროცენტის გაყვანის უზრუნველსაყოფად.

ამხ. კაკაბაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ კონფერენციამ მოისმინა ამხ. დანგაძის მოხსენება მაზრაში მოჯამაგირეთა შორის მუშაობის შესახებ, რის შემდეგ კონფერენციის საღამოს სხდომა დაიხურა.

გ. სვანიძე.

როგორ მიმდინარეობს მოსამზადებელი კამპანია

გორის მაზრაში

წითელ-ქალაქის თემი

საარჩევნო კამპანიის წინასწარი სამზადისი დაიწყო 15 დეკემბრიდან. გამოყოფილ იქნა სათემო საარჩევნო კომისია. ხსენებულ თემში შედის 24 სოფელი. მოსახლეობის რიცხვი 8770 კომლს უდრის. თემი დაყოფილია 34 საარჩევნო უბნად. საარჩევნო კომისია 20 დეკემბრიდან შეუდგა უღარიბეს, საშუალო გლეხობის აქტივის და ყოფილ წითელ-არმიელთა შორის სამზადისს საბჭოების არჩევნებში მათი მონაწილეობის მიღების შესახებ. წინასწარი კრებები უკვე დამთავრებულია, საერთოდ მოსამზადებელი მუშაობა დამთავრდება 31 დეკემბრამდე. სწარმოებს ამომრჩეველთა და უფლება აღკვეთილთა სიების შედგენა, საარჩევნო კამპანიაში აქტიურ მონაწილეობას ღებს უღარიბესი გლეხობა.

პირველ იანვრიდან მთელ თემში დაიწყება თემ-საბჭოს ანგარიშების ჩაბარება ამომრჩევლებზე, რომელიც დამთავრდება 15 იანვრამდე. შემდეგ დაიწყება არჩევნები და დამთავრდება იანვრის ბოლო რიცხვებში.

მოგზაური.

გორის თემი

გორის თემში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს მომავალ საბჭოთა არჩევნების სწორად და უნაკლოდ ჩატარებისათვის. თემსაბჭომ გამოყო საარჩევნო კომისია 9 კაცისაგან, რომელიც უკვე შეუდგა დაკისრებულ მოვალეობის შესრულებას.

თემ-საბჭოს პრეზიდიუმი საანგარიშო მოხსენებებს გააკეთებს თემის ყოველ მნიშვნელოვან პუნქტში ამომრჩეველთა წინაშე. პარტიის რაიკომის ხელმძღვანელობით მთელ გორის რაიონში ტარდება მოჯამაგირეების, ქალთა წარმომადგენლების და ღარიბ გლეხობის კრებები, რომელზედაც ირჩევა საკითხი მომავალი არჩევნებში მოჯამაგირეთა, ღარიბ გლეხობისა და გლეხ-ქალთა როლის შესახებ.

ამავე ორგანიზაციის მიერ მოწვეულ იქნა თემის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, სადაც აგრეთვე გაირჩა საკითხი საბჭოთა არჩევნებისა და მასთან დაკავშირებით თვითკრიტიკის გაცხოველების შესახებ. კრება ცხოველი ინტერესით შეხვდა ხსენებულ საკითხს. კრებაზე აღინიშნა ყველა ის ნაკლი, რომლის გამოსწორება აუცილებელია თემის მშრომელი გლეხობის კეთილდღეობისათვის.

მ. კო—ხიძე.

ახალციხის მაზრაში

აწყურის თემი

აწყურის თემში საარჩევნო კამპანიის წინასწარი მომზადება სუსტად მიმდინარეობდა. მხოლოდ ეხლა სდგება საარჩევნო კომისია არჩევნების ჩასატარებლად. ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ თემში ოთხ-ხუთჯერ გამოიცვალა თემაღმასკომის თავმჯდომარე და თემპარტკომის მდივანი. ჩვენი თემის წინანდელი მესვეურნი, როგორც მაგალითად აღმასკომის და გლეხკომის თავმჯდომარეები და თემკომის ყოფ. მდივანი, კულაკების და ბეგების ინტერესებისათვის უფრო ზრუნავდნენ, ვიდრე მშრომელი გლეხობისათვის. ისინი არ ივიწყებდნენ აგრეთვე თავიანთ პირად კეთილდღეობას.

თემის დღევანდელი ხელმძღვანელები ენერგიულ მუშაობას აწარმოებენ მშრომელი გლეხობის საკეთილდღეოდ. ამჟამად მიმდინარეობს ღარიბთა ჯგუფების და მოჯამაგირეების გამოკვლევა მათი შეკავშირების მიზნით, რის შემდეგ დაიწყება საანგარიშო და საარჩევნო კამპანია.

ხ.—ძე.

ზუგდიდის მაზრაში

ოქტომბრის თემი

საარჩევნო სამზადისი ოქტომბრის თემში უკვე დაიწყო. აღმასკომის გაფართოებულ პლენუმზე გამოყოფილ იქნა საარჩევნო კომისია. კომუჯრედის ხელმძღვანელობით ჩატარდა ღარიბთა სათემო კონფერენცია. თემი დაყოფილია 9 საარჩევნო უბნად.

შედგენილია საარჩევნო უფლებას მოკლებულთა სია.

საბჭოს მიერ საანგარიშო დროში წარმოებულ მუშაობის ანგარიშების ჩაბარება საარჩევნო უბნებში დაიწყება 8 იანვრიდან, ხოლო არჩევნები 5 თებერვლიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ სუსტად სწარმოებს მუშაობა მოჯამაგირეთა შორის, რასაც დროზე უნდა მიექცეს ყურადღება.

ლიმი.

ლია-ჯვარის რაიონი

მიწა-ტყის პროფკავშირის ლია-ჯვარის სამუშაო რაიონის მუშათა კომიტეტმა მოიწვია კავშირის წევრთა გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრო 440 ხის მჭრელი, მეჯოგე და მეტივე მუშები, მოჯამაგირეები და პარკის ფარდულის მუშა-ქალები. საბჭოთა არჩევნების მნიშვნელობისა და მასში პროფკავშირების წევრთა მონაწილეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. არ. კოდუამ.

მოხსენების ირგვლივ მოცემულ შეკითხვებისა და კამათის შემდეგ, კრებამ ერთხმად დაადგინა აქტიურად ჩაებას როგორც მოსამზადებელ, ისე საანგარიშო და საარჩევნო კამპანიაში.

ზრ. ძ—ია.

პროფკავშირების მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში

(წერილი სენაკიდან)

პროფკავშირებმა აქტიური როლი უნდა ითამაშონ საბჭოების გადარჩევის კამპანიაში. ამ მხრივ სენაკის პროფბიურომ სათანადო აქტივობა გამოიჩინა და თავის როლს ასრულებს ამ მუშაობაში.

კერძოდ, 26 დეკემბერს, მუშათა კლუბის დარბაზში შესდგა სენაკის პროფაქტივის კრება. კრებას დაესწრო პროფკავშირებში აქტიურად მომუშავე ასზე მეტი ამხანაგი. სამაზრო ბიუროს თავმჯდომარე ამხ. ალ. ჯოჯუამ გააკეთა მოხსენება საბჭოთა გადარჩევნების მნიშვნელობის და კავშირების მონაწილეობის შესახებ საგადარჩევნო კამპანიაში.

„არც ერთი პროფკავშირელი არჩევნების მონაწილეობის გარეშე, არც ერთი კავშირელი პასიური მონაწილე. ყველა უნდა დავრაზმოთ იმისა, რომ მთელმა ასმა პროცენტმა მიიღოს მონაწილეობა საბჭოთა არჩევნებში"—ეს იყო კრების მთავარი აზრი, მიღებული ამხ. ალ. ჯოჯუას მოხსენების ირგვლივ.

ცალკე კავშირებს დაევალა გააძლიერონ და უფრო გააცხოველონ დაწყებული მუშაობა საბჭოთა არჩევნებში პროფკავშირის წევრთა ჩაბმის მიზნით. მათ დაევალათ სისტემატიურად, გეგმიანად ჩაატარონ თავიანთ კავშირებში საუბრები, თათბირები, მოხსენებები და საკავშირო მასა მთლიანად ჩააბან არჩევნებში.

ვფიქრობთ, ეს დადგენილება ადგილებზე გატარებული იქნება მთელი თავისი შინაარსით, მთლიანად და სენაკის მაზრის პროფკავშირის წევრები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ არჩევნებში.

ბ. უჩანეიშვილი.

მოსამზადებელი მუშაობა დამთავრებულია

(წერილი ფოთიდან)

ფოთის საბჭოსთან არსებული საარჩევნო კომისიის მეორე სხდომამ, რომელსაც დაესწრო საქ. ცაკის წარმომადგენელი ამხ. შ. შაქიძე, მოსამზადებელ მუშაობა ჩათვალა დამთავრებულად.

საორგანიზაციო და სტატისტიკურ განყოფილებამ დაამთავრა საარჩევნო ხმის უფლება მქონეთა და აღკვეთილთა სიების შედგენა, რაც ამ დღეებში გამოქვეყნდება.

საანგარიშო კამპანიის ჩატარებისათვის

საბჭოს ორი წლის მუშაობის ანგარიშის სათანადოთ დამუშავებისათვის მომზადებისათვის, და მის თავის დროზე დასარიგებლად მომხსენებლებზე, საარჩევნო კომისიამ გამოყო ქვეკომისია. საბჭოს მუშაობის ანგარიშები დამზადებულ იქნება 5 იანვრამდე. საბჭოს საანგარიშო კამპანია დაიწყება 10 იანვრიდან.

კომისიამ საჭიროდ სცნო, რათა დამზადებულ იქნას საბჭოს მუშაობა პლაკატებში. მისი მოგვარებაც შესაძლებლობის ფარგლებში დაევალა საბჭოს მუშაობის ანგარიშის შემდგენ კომისიას.

ფოთის საარჩევნო კომისიამ დაამტკიცა ყულევის სათემო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ ამხ. სიჭინავა და პატარა ფოთის—ამხ. მირბატია.

საარჩევნო კომისიის მიერ დამტკიცებული გეგმის თანახმად საანგარიშო კრებები ქ. ფოთში ჩატარდება 27 ადგილას.

შ. კუხალეიშვილი.

უცხოელ მუშკორების გამგზავრება

2 იანვარს თბილისიდან ბათომისაკენ გაემგზავრა უცხოეთის მუშკორთა დელეგაცია. გამგზავრების წინ დელეგატებმა ინახულეს ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი ამხ. ნაზარეტიანი, რომელთანაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ მუშკორთა შენიშვნების შესახებ.

უცხოელ სტუმრებს აინტერესებდათ, თუ როგორ ეხმარება მუშათა და გლეხთა ინსპექცია გაზეთებში მოთავსებულ მუშკორების შენიშვნებს სხვადასხვა დეფექტების შესახებ.

ამხ. ნაზარეტიანმა დელეგატებს განუმარტა, რომ მუშკორების შენიშვნების წყალობით მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოები აგნებენ და აამჟღავნებენ ამა თუ იმ წარმოების, ან დაწესებულების მუშაობის უარყოფით მხარეებს და ფიცხელ ზომებს ღებულობენ აღმოჩენილი დეფექტების გამოსასწორებლად. ყოველ ასეთ შემთხვევაში იბეჭდება ცნობები იმ გაზეთებში, სადაც მოთავსებული იყო მუშკორების შენიშვნები.

ამხ. ნაზარეტიანთან საუბარმა გასტანა 2 საათამდე.

საუბარი დელეგაციის წევრებთან

თბილისიდან გამგზავრების წინ ჩვენს თანამშრომელს საუბარი ჰქონდა დელეგაციის წევრებთან თბილისში მიღებულ შთაბეჭდილებების შესახებ.

— მიუხედავათ იმისა,—განაცხადეს დელეგატებმა,—რომ უცხოეთის ბურჟუაზიული პრესა დღემდე განაგრძობს იმის მტკიცებას, თითქოს ამიერ-კავკასიის ხალხები დაჩაგრული არიან და მათ წართმეული აქვთ ყოველგვარი უფლებები, ჩვენ მაინც გვაინტერესებდა ნამდვილი სიმართლის გაგება, რადგან ამ თავითვე ბურჟუაზიული პრესის კეთილსინდისიერებაში არავინ არ ვიყავით დარწმუნებული. ჩვენი დელეგაციის ყველა წევრები ისეთი გაზეთების მუშკორები ვართ, რომელთაც აინტერესებთ უთხრან ევროპის მშრომელ ხალხს სრული სიმართლე საბჭოთა კავშირის და კერძოთ ამიერ-კავკასიის შესახებ. ეს სიმართლე კი ისაა, რომ დღეს ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში სწარმოებს დიდი სოციალისტური აღმშენებლობა და ამ აღმშენებლობაში ჩაბმულია საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მთელი მშრომელი მოსახლეობა.

— მე, მაგალითად,—განაცხადა ფრანგმა დელეგატმა ამხ. ფილიპპმა,—ჩემი ერთი მეგობრისაგან ჯერ კიდევ საქართველოში წამოსვლამდე მივიღე წერილი, რომელშიაც ის მატყობინებდა, რომ საქართველოში არ წახვიდე, იქ აჯანყებაა და ეხლა იქ ჩასვლა არ შეიძლება. მე ვიკითხე, იქნებ მართლაა აჯანყება, იქნებ მართლა არ შეიძლება იქ ჩვენი წასვლათქო, მაგრამ როგორც ხედავთ მე უკვე საქართველოში ვარ და საკუთრივ დავრწმუნდი თუ როგორ სიმართლეს ავრცელებს ბურჟუაზიული პრესა თქვენი ქვეყნის შესახებ.

დასასრულ, დელეგატებმა დიდი კმაყოფილება გამოსთქვეს იმის გამო, რომ მათ შეძლეს კავშირის დამყარება თბილისელ მუშკორებთან, რომლებიც ევროპის კომუნისტურ გაზეთებს მიაწვდიან კორესპონდენციებს ადგილობრივი ცხოვრების შესახებ.

დელეგაციას ბათომამდე გაჰყვა თბილისის მუშკორების წარმომადგენელი ამხ. კოსტიუჩენკო. ბათომიდან დელეგაცია დაბრუნდება ორი დღის შემდეგ და გაემგზავრება მოსკოვისაკენ.

დელეგაცია ბათომში

ბათომი, 3 იანვარი. 3 იანვარს დილით თბილისიდან ბათომში ჩამოვიდა უცხოელ მუშკორთა ჯგუფი 6 კაცის შემადგენლობით. სტუმრების შესახვედრად სადგურზე თავი მოიყარეს პროფსაბჭოს, მუშათა ორგანიზაციების, მუშკორთა ბიუროს და პრესის წარმომადგენლებმა.

ბაქანზე ჩამოსულთ მიესალმა ამხ. მანჯგალაძე. ცოტა ხნის შესვენების შემდეგ, სტუმრებმა ინახულეს „მუშაკი"-ს რედაქცია, აჭარისტანის საოლქო კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება, სადაც მეგობრულ საუბარში ამხ. ანასტასიადისა და დუმბაძისაგან ამომწურავი პასუხი მიიღეს მთელ რიგ შეკითხვებზე.

შემდეგ უცხოელი ამხანაგები გაემართნენ სახ. კომისართა საბჭოში. ცაკის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ლორთქიფანიძესთან და სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ბრეგვაძესთან ხანგრძლივ საუბარში სტუმრები დაწვრილებით გაეცნენ რესპუბლიკის კულტურულ და სამეურნეო ცხოვრებას და მიღწევებს აჭარისტანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან. სტუმრებში გულწრფელი აღფრთოვანება გამოიწვია საბჭოთა მშენებლობის მიღწევებმა აჭარისტანში.

შემდეგ მათ დაათვალიერეს ქალაქი და ნავთსადგური და ინახულეს მეზღვაურთა ინტერნაციონალური კლუბი.

უცხოელი მუშკორები ბათომში სამ დღეს დარჩებიან. (ადს).

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

პირველი ტირაჟი გაიმართება 26 იანვარს

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის პირველი ტირაჟი გაიმართება ლენინგრადში 26 იანვარს.

ვინაიდან პირველი ტირაჟი დეკემბრიდან გადატანილი იქნა იანვარში, ამიტომ მეორე ტირაჟიც აგრეთვე გადატანილია მარტიდან აპრილში და მესამე—ივნისიდან ივლისში.

მეოთხე ტირაჟი გაიმართება სექტემბერში თბილისში. თვითეულ ტირაჟში გათამაშებული იქნება 28.200 მოგება (2.501.600 მანეთი) პროცენტიანი სესხიდან და 85.400 მოგება (9.175.600 მანეთი) უპროცენტო სესხიდან.

ხელისმოწერა შეწყდა

ამიერ-კავკასიის ფინსახკომმა წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის ყველა საფინანსო ორგანოებს შეწყვიტონ 1929 წლის 1-ლი იანვრიდან ხელისმოწერა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე როგორც ქალაქებში, ისე სოფლად.

ხელისმოწერა სოფლად

ა.-კ. ფინსახკომის უკანასკნელი ცნობებით ამიერ-კავკასიის სოფლებში ხელისმოწერამ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე მიაღწია 8 მილიონ მანეთამდე.

საკონტროლო ციფრი, რომელიც შემუშავებული იყო ცენტრის მიერ ამიერ-კავკასიის სოფლებისათვის, შესრულებულია გადამეტებით.

კომკავშირის ლენინის რაიონის მე-1 კონფერენცია

გუშინ, საღამოს, პლეხანოვის სახელობის კლუბში გაიხსნა კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიონის მეთორმეტე კონფერენცია.

კონფერენცია გახსნა ლენრაიკომის მდივანმა ამხ. გ. გიორგობიანმა.

დღის წესრიგისა და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ ამხ. სტალინის სახელობის ქარხნის მუშა-ახალგაზრდობის სახელით კონფერენციას მიესალმა ამხ. მიხაილოვი და კონფერენციას უძღვნა კომკავშირელების მიერ დამზადებული [illegible] მოდელი; მთავარ სახელოსნოს მუშა-ახალგაზრდობის სახელით კონფერენციას მიესალმა ამხ. ჩამიჩე და კონფერენციას უძღვნა ორთქლმავლის მოდელი; პიონერებიდან კონფერენციას მიესალმა პიონერი მაცაბერიძე; კომკავშირის შიდაქართლის სამაზრო კომიტეტის სახელით—ამხ. კოლავაშვილი; ა.-კ. ქვეითა ჯარის მეთაურთა სკოლის სახელით—ამხ. კლიმენტიევი, დეპოდან—ამხ. ღლონტი, ტრამვაის მუშა-ახალგაზრდობიდან—ამხ. გეგეჭკორი, ლენინის რაიონის მუშა-ქალებიდან—ამხ. ტერტერიანი, 26 კომუნარის სახელობის ქარხნის უპარტიო მუშა-ახალგაზრდობის სახელით—ამხ. მანუკოვი, მე-14 ლეგიონიდან—ამხ. ზაზულინი, საქ. კომკავშირის ა.-კ. საოლქო კომიტეტის და საქ. კომკავშირის ცეკას სახელით—ამხ. ჯავახიძე.

კონფერენციას დაესწრო ლენინგრადის უმაღლეს სასწავლებლების ექსკურსანტები; მათი სახელით მოკლე სიტყვა სთქვა ამხ. ბოგდანოვმა.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა ამხ. დანიელოვი.

დასასრულ მისასალმებელი დეპეშები გაიგზავნა: საქ. კ. პ. (ბ) ცეკას, ამხ. ორჯონიკიძეს, საქ. კომკავშირის ცეკას, ა.-კ. საოლქო კომიტეტს, საქ. კ. კ. ცეკას, საქ. კ. პ. (ბ) ცეკას და თბილისის კომიტეტს, შავი ზღვის წითელ ფლოტს და კომკავშირის გერმანიის ორგანიზაციას.

ამით დაიხურა კონფერენციის პირველი სხდომა.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

გაზაფხულის თესვის კამპანია

საგაზაფხულო თესვის კამპანიის გეგმის და პრაქტიკული პროგრამის შესამუშავებლად ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ გამოყო კომისია ამხ. სმირნოვის, ქართველიშვილის, ნაზარეტიანის, ჟულიდის, ერზინკიანის, ბუნიატ-ზადეს, პარსიანის, კ. ჩხენკელის და გაჯიევის შემადგენლობით.

საექსპორტო თამბაქოს ფერმენტაცია

ვინაიდან თამბაქოს ხელოვნური ფერმენტაციის წესი ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი და შემოწმებული, ა.-კ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა აფხაზეთის სახკომსაბჭოს საექსპორტო თამბაქოს ფერმენტაცია აწარმოოს ბუნებრივი წესით.

ჭიათურა

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ანტირელიგიური პროპაგანდა

ჭიათურის ქარხანა-მაღაროებში დაიწყო ანტირელიგიური პროპაგანდის სისტემატიური წარმოება.

მუშათა ცენტრალურ კლუბში იმართება კითხვა-პასუხის საღამოები და მოხსენებები ანტირელიგიურ თემებზე.

ქარხანა-მაღაროების კლუბებში ეწყობა საჯარო ლექციები და წარმოდგენები.

ყოფ. სიმონოვისეულ ქარხნის გაფართოება

ჭიათურის შავი ქვის ტრესტს განზრახული აქვს, ცენტრალური სარეცხის ქარხნის აგებამდე, გააფართოოს ყოფ. სიმონოვისეული ქარხანა, რომელიც ემსახურება პერევისის მაღაროებს.

ქარხნის გაფართოებასთან ერთად, გაუმჯობესებული იქნება შავი ქვის მადნის გარეცხვის ტეხნიკა.

ახალი ქარხანა-მაღაროები

მოკლე ხანში რგანის ხეობაში დასრულდება მუშაობა ყოფ. თოფურია-ანჯაფარიძის მაღაროების აღსადგენად.

საამისო მუშაობა დაწყებულია ამ ორი თვის წინად. მაღაროების შეკეთება მიმდინარეობდა ჩქარი ტემპით. ამჟამად ეს მუშაობა თითქმის დამთავრებულია. მაღაროებიდან დაიწყება შავი ქვის მადნის გამოზიდვა.

მადნის გასარეცხად ამუშავებული იქნება ამერიკელების მიერ შეჩერებული ქარხანა რგანის ხეობაში.

ქარხანა სავსებით შეკეთებულია ტრესტის მიერ. დადგმულია ახალი მანქანები. ამ დღეებში მიღებული იქნა მანქანის ნაწილები, რომლების ასაწყობად თბილისიდან გამოწვეულ იქნენ სპეციალისტი მონტიორები.

ხსენებულ ქარხანა - მაღაროების ამუშავება დიდათ გაზრდის შავი ქვის მადნის ექსპორტს ჭიათურიდან.

ახალი ც[illegible] სარეცხი ქარხნის აგების ირგვლივ

გერმანულ ფირმა „გუმბოლდტი"-ს წარმომადგენელი ინჟინერი ვაგნერი, რომელიც მეორე კვირაა რაც ჩამოვიდა ბერლინიდან, დაწვრილებით გაეცნო ჭიათურის მაღაროებს და ჭიათურაში არსებულ ყველა სარეცხ ქარხნებს.

მისი აზრით ერთი ცენტრალური სარეცხი ქარხნის აგება არ იქნება მიზანშეწონილი, რადგან ჭიათურის შავი ქვის მადანი არ არის ერთნაირი ხარისხის და ამ მადნის გარეცხვა ერთ ქარხანაში არ იქნება ხელსაყრელი ტრესტისათვის.

საჭიროა ორი ქარხნის აგება, რომლებიც გარეცხავენ სხვადასხვა ხარისხის მადანს.

ინჟენერი ვაგნერი ინჟენერ პუშკინთან ერთად მოკლე ხანში თავის დასკვნებს სარეცხი ქარხნის აგების შესახებ წარუდგენს ჭიათურის შავი ქვის ტრესტს.

ჭიათურის მუშათა კლუბში

ჭიათურის მუშათა კლუბში კვირაში სამჯერ უჩვენებენ კინო-სურათებს, სისტემატიურად იმართება კითხვა-პასუხის საღამოები და მოხსენებები სხვადასხვა თემებზე, მაგ., სანიტარულ, ანტირელიგიური.

კვირაში ერთხელ მუშათა დრამწრეები მართავენ წარმოდგენებს მუშებისათვის.

კლუბთან ჩამოყალიბდა პოლიტიკური და ლიტერატურული წრეები.

კლუბთან არსებობს ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომელიც აწვდის წევრებს ლიტერატურას, ჟურნალ-გაზეთებს.

ბიბლიოთეკა ჯერჯერობით არ აწარმოებს არავითარ აქტიურ მუშაობას. მუშაობა არ მიმდინარეობს აგრეთვე კლუბის სამხედრო კუთხეში.

. კომპარტიის ცეკა 1929 წ. 12 იანვარს იწვევს

აგიტპროპ-ბეჭდვითი განყოფილებათა გამგეების სრულიად საქართველოს თათბირს

დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები:

1. აგიტაციის, პროპაგანდის და კულტურულ მშენებლობის ძირითადი ამოცანები საქართველოში.
2. პარტიული განათლების საკითხები.
3. მასიური პოლიტგანათლების და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა.
4. სექციური წესით დამუშავება შემდეგი საკითხების:
   - ა) ანტირელიგიური მუშაობა;
   - ბ) წ.-კ. უცოდინარობისა და მცირე მცოდნეობის ლიკვიდაცია;
   - გ) სოფლის სამკითხველოების მუშაობა;
   - დ) კინოსა და რადიოს მუშაობა;
   - ე) მუშების და გლეხების კოოპერატიული და აგრონომიული განათლება;
   - ვ) პროფკავშირების კულტურულ - აღმზრდელობითი მუშაობა;
   - ი) საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში კულტაღმზრდელობითი მუშაობა;
   - უ) მუშათა განათლება;
   - ქ) ნაციონალურ უმცირესობათა შორის მუშაობა;
   - ლ) ნებაყოფლობითი საზოგადოებათა მუშაობა.

თათბირზე **გადამწყვეტი** ხმით **მოწვეული** არიან: აგიტპროპბეჭდვითი განყ. გამგეები ს. კ. პ. (ბ) თბილისისა, ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებისა და შემდეგი რაიკომებისა: 1) ჭიათურის, 2) ბორჯომის, 3) ტყიბულის, 4) სამტრედიის და 5) თბილისის რაიკომების.

თათბირზე მონაწილეობის მისაღებათ **სათათბირო ხმით** გამოწვეული არიან: საქ. კ. პ. (ბ) ა.-კავკასიის საოლქო კომიტეტების წარმომადგენელი, კავკასიის წითელდროშოვანი არმიის პოლიტსამმართველოს და ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების წარმომადგენლები; განათლების კომისარიატიდან: კომისარი, მისი მოადგილე და ყველა განყოფილებათა გამგეები. მუშა და გლეხ-ქალთა განყ. გამგე, სახკინმრეწვის და სახელგამის წარმომადგენლები, საქ. პროფკავშირთა საბჭოდან: კულტ. განყ. გამგე და ყველა ც. გამგეობის კულტგანყ. გამგეები. თბ. განათლების განყ. და პოლიტგანის გამგე, ცეკავშირის კულტ. განყ. გამგე, ყველა ნებაყოფლობით საზოგადოებათა ც. კ. თავმჯდომარეები და პ.-მგ. მდივნები. კომკავშირის ცეკას და თბილისის კომიტეტის აგიტპროპმუშაკები, თბილისის ყველა გაზეთების რედაქტორები და ნორჩ პიონერთა ც. ბ. წარმომადგენლები, ცენტრ. პარტსკოლის გამგე, ცაკთან არსებულ ნაც. უმცირესობათა კომისიისა და განათლების კომისარიატთან არსებულ ნაციონ. უმცირესობათა საბჭოს წარმომადგენლები.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. მდივანი მ. კახიანი.

ც. კ. აგიტპროპბეჭდვითი განყ. გამგე ს. მამულია.

[illegible]თული მხატვრული პროზა 1928 წ.*)

(მიმოხილვის მაგიერ)

10 და „ქართულ
2, 3 და 6—7 მოთა-
აქენგელაიას პატარა
ი", ნაწყვეტი რომა-
და რომანი „ბათა
—დემნა შენგელაია
ში ეკუთვნის იმ
ს, რომელთა ყო-
ინტერესს იწვევს
ნა პოპულარული
მაოდ მრავალრი-
ჰყავს.
არმოებნი არ გვა-
ს რამე მნიშვნე-
გამოვიტანოთ შე-
ემოქმედება. „რუ-
ლ პატარა ნაწყვე-
ქია" მხო-
ი" კი მეტად
და შემთხვევით
ტი მითი შეიძლე-
დემნას ყოველ-
ც რას ამბობენ
პირველად ყოვ-
ამ დემნას ენა
ეფლდება იმ ნა-
მას ემჩნეო-
ნავარდოში". აცი-
მრავალ სიტყვია-
ანმეორებები, სიტყ-
ოველივე ეს რაღაც
ტოვნურობის ბეჭედს
ნაწერებს.. მის-
ძალიან ადვი-
საფარი—რომელიც
ისს", არ ახლავს
ახალ ნაწერებს.
ღწევს ახალ დამ-
ასე ჩვეულ ხელო-
ნალობას—რასა-
უშნო სტილიზა-
ება კლასიკ ქარ-
ველია ყოველივე
ლის შემატებით,
ქმ.. დემნას კი-
ება და საინტე-

[illegible] მშვიდობიან პო-
უნდა იყვნენ ენერ-
გობა გაუწიონ იმპე-
ესაც ეს უკანასკნე-
ლონ ჩვენი მშვიდ-
ური მშენებლობა.
მუშებისა და მშრ-
— ფიზიკურად
ჩვენი ქვეყნის საზ-
ლმხრივ განმტკიც-
ქარმია, რომელიც ამ
არაჯოზე სდგას.
იზაციის საქმე ჩვენ
თარდება. მრეწველ-
ამ გასულ წელს საკ-
ებს გადააჭარბა. მიმ-
იტალური მშენებლო-
ბულია ერთ-ნახევარ-
მეტი და სწარმო-
ნეობის სოციალისტური ვითარდება და
ვომი განმტკიცება
წინის გადიდ[illegible]
თა კლასის რიცხვი, თათა
ფართოდ ხდება შენ-
ლო დღეზე გადასვლა,
შესამჩნევი პროდუქტ
ბულების დარგში
ბა და მასების მატ-
ულტურული დონის
ინდუსტრიალიზაციის
დროს ჩვენ წინ ვდ[illegible]
იბლიები, რომელნიც[illegible]
ბენ ჩვენი ეკონომიურ
ი ჩამორჩენილობიდან
მაში გამოიხატებიან, აარსებ,
სახსრები მრეწველ[illegible]
ბლად, არ გვყოფნის
მოთხოვნილებათა სულ
უყოფილებლად და
ვითარდება სოფლ[illegible]
ნსაკუთრებით მარცვ[illegible]
ებების გადალახვას
მხოლოდ მუშების
მასების ძალღონის
რადგანაც უცხოელ[illegible]
ისაგან კრედიტებს
ის ახალი ასი მილიო[illegible]
საჭიროა ფაბრიკებისა
საგებად და შესაკეთებლად და რაც მისცა
პიტალური ხარჯების
ინდუსტრიისათვის
შუალებათა წარმოებით
ი მილიონები, რომლე
სათვის, რომ შევქმნათ
ალი დარგები, რათა
ისუფლოთ იმპერია
ზე დამოკიდებულება
ია მივიღოთ მხოლოდ
მთელი ეკონომიურ
ობილიზაციით, „ზრო" № 1.

აზრი, რომ ფორმალისტებმა, რომელთა ბანაკში რატომღაც მოთავსდა დემნა, ვერაფერი ავნეს მას. ამავე დროს ისიც უნდა ითქვას, რომ შენგელაია საბოლოოდ თავისუფლდება რუს სიმბოლისტების გავლენისაგან, რომელიც მას ემჩნეოდა „სანავარდოში" და „თბილისში". დემნა შენგელაიას ენა რეალისტური გზით მიდის, რასაკვირველია, აქაც შეიძლება ნაკლის მონახვა არა ერთისა და ორის, მაგრამ არჩეული გზა უმთავრესში მაინც სწორეა და მოსაწონი. არც დემნა შენგელაია და არც ქართველი მკითხველი ამით არაფერს წააგებენ. პირიქით.

თუ კი შენგელაიას ახალ ნაწერების ფორმალურ მხარეების შესახებ ჩვენ შეგვიძლია ასეთი დადებითი დასკვნა გამოვიტანოთ, საუბედუროდ ამასვე ვერ ვიტყვით მათ იდეურ ხერხემლის შესახებ. შენგელაია იდეოლოგიურად ჯერ კიდევ ვერ გადაება მტკიცედ რევოლიუციას, ახალ ეპოქის ბედს. საკვირველია ეს, მაგრამ ფაქტია. დემნა შენგელაია მემარცხენე მწერალია—არა მარტო იმიტომ, რომ მემარცხენეთა ბანაკში ზის, არამედ თავის პოლიტიკურ სოციალური გაგებით საბჭოთა საქართველოს მოქალაქეობისა. მიუხედავად ამისა, ის ჯერ კიდევ ვერ ახერხებს ცხოვრების მემარცხენე გაგება შემოქმედებაში გადაიტანოს. ეს არ სჩანდა საკმაოდ ძველად და არც ეხლა სჩანს. შენგელაია ვერ იქნა და ვერ გაიმართა წელში როგორც რევოლიუციის და ახალ ქვეყნის მწერალი. არც „ბათა ქექიას" დაწყება, არც „რუსეთუმეს" მოყვანილი ნაწილი, და არც მოთხრობა „პორტში" ასეთ სახელს არ ანიჭებენ მას.

მოთხრობა „პორტში" ზედმეტი სენტიმენტალობით და მგრძნობიარობით არის გაჟღენთილი. სენტიმენტალობით ვამბობთ იმიტომ, რომ სენტიმენტალობაა ყოველგვარი ცდა ხელოვნურად თანაგრძნობის გამოწვევისა იმ ფაქტისადმი ან მოვლენისადმი, რომელიც ამას ვერ მოითხოვს არსებულ სინამდვილეში. და მართლაც რა საჭიროა 1928 წელს დაწერო მოთხრობა და შეიცოდო, თითქმის ცრემლებით თვალებზე, ვიღაც ქართველი ოფიცერი მხეიძე-თეთრგვარდიელი, რომელიც სასიკვდილოდ დაჭრილი დაბრუნებულა ბათომში პატარა ქალიშვილით. ის კვდება პორტში. დემნას სურს დაგვანახოს ტრაგედია ქართველ ოფიცერის რომელიც რატომღაც და რისთვისღაც (დემნას აზრით) თავს აკლავს რუს თეთრგვარდიელების საქმეს. აქ რაოდენიმეთ განმეორებულია ის ამბავი, რომელიც მოხდა „გურამ ბარამანდიაში". საერთოდ დემნას ძალიან უყვარს თავის თავის განმეორება. ერთხელ ჩვენ ამას, მეგობრულად, საკუთარ თავის გაქურდვა უწოდეთ. არ ვარგა ეს. რადგან წინსვლას ხელს უშლის იგი. „პორტში" გამოყვანილი მხეიძე ძალზე წააგავს „გურამ ბარამანდიას" გმირს. ამას გარდა არა რევოლიუციონური მიდგომაა ეს, მეტი რომ არა ვსთქვათ. არ კმარა ჩიქოვანთან და ეულენტთან ერთად მემარცხენე შეხედულებანი გაიზიარო. საჭიროა ეს მემარცხენეობა ხელოვნებაშიაც ვაჩვენოთ. უამისოდ არავითარი მემარცხენეობა არ არსებობს. უამისოდ მხოლოდ მემარცხენე სიტყვების შანტაჟობაა მხოლოდ. ხო, და ამას ვერ ახერხებს ჯერ-ჯერობით შენგელაია. ნუ თუ ძნელი გასაგებია თუ გინდ მწერლისათვისაც, რომ მხეიძეები შემთხვევით კი არ მოხვდნენ ვრანგელის და დენიკინის ბანაკში. ისინი მარტო რუს თეთრგვარდიელებს კი არ იცავდნენ, როგორც ავტორი ჰფიქრობს. არა. ისინი თავის თავსაც იცავდნენ, თეთრგვარდიელ ქართველებს იცავდნენ, თეთრ საქართველოს იცავდენ; რადგან სწორედ ამ საქართველოს შვილნი იყვნენ ისინი. ისევე როგორც ქართველი რევოლიუციონერები იცავდნენ რევოლიუციონურ მოსკოვს რუს რევოლიუციონერებთან ერთად,—მხეიძეები იცავდნენ ძველ საქართველოს რეაქციონერ რუსებთან ერთად. იმისაც ვიტყვით, რომ ამ საკითხში მხეიძეები უფრო ჭკვიანები იყვნენ ვიდრე დემნა შენგელაიები ე. ი. თავისი თავი და საკუთარი ინტერესები მათ უფრო კარგად ჰქონდათ გაგებული ვიდრე მათ მეშეცოდავე მწერალს.

არ არის საჭირო სენტიმენტალური და მგრძნობიარე სიტყვებით მოვიხსენიოთ საბჭოთა ქვეყნებში, საბჭოთა ჟურნალებში საბჭოთა მწერლებმა —თეთრგვარდიელი მხეიძეები, ყოველივე ახალის და პროგრესიულის ჯალათები და მკვლელები.

ისინი ჩვენი კლასიური მტრებია და მხოლოდ ზიზღს და სიძულვილს ვგრძნობთ ჩვენ მათ მიმართ. ვისაც უნდა გახდეს რევოლიუციის ნამდვილი მწერალი, აუცილებლივ და პირველად ყოვლისა სწორედ ამ სიძულვილით უნდა გაიჟღინთოს მათ მიმართ. თორემ მარტო მყვირალა სიტყვებით, თუ გინდ მეტად პატივსაცემი მემარცხენეთა ფრონტის ტრიბუნიდან, ვის გავაკვირვებთ და ვის დავაჯერებთ!

ნაწყვეტი რომანიდან „რუსეთუმე" ძველ დროს ეხება, იმ დროს როდესაც უკანასკნელად იფურცლებოდა დაღესტანის მაღალ ქედების უთანასწორო ბრძოლა ჩრდილოეთის თვითმპყრობელ ვეშაპთან. ამ ბრძოლაში რუსეთის მეფესთან და მის გენერლებთან ერთად „ვაჟკაცურად" მოღვაწეობდნენ ქართველი ბრწყინვალენიც, — წარმოიდგინეთ, პოეტებიც კი. განსაკუთრებული სიმხეცით და სამარცხვინო ერთგულობით ებრძოდენ ისინი თავისუფლებისათვის მებრძოლთ დაღესტნელთ. აგრეთვე თავგანწირვით ებრძვის შამილს დემნას გმირი ჯიბო რადია. და კითხულობს ავტორი:

„რა უნდოდა მას აქ, რისთვის მოვიდა, როცა მისი გალატაკებული უქალამნო ხალხი წელს იწყვეტს განუწყვეტელი ჯაფითა და ქაპანწყვეტით ბატონ-ყმობის უღელ ქვეშ, როცა მისი ხალხის საუკეთესო ნორჩი თაობით ივსება ტრაპიზონისა და სტამბოლის მონათა ბაზრები. განა მამა მისი არ იყო 1832 წლის შეთქმულებაში რომ შეეწირა და ციმბირსკში ამოსძვრა სული და ახლა ის, მისი შვილი, მამის მტრებს ამოუდგა ვერდში მხარდამხარ და რუსის მეფისა და მამულის სახელით ებრძვის იმ ხალხს, რომელიც კბილებით იცავს თავის მარჩენალს სამოვარ მინდორ-ველებს, თავისუფლებას და თოხუმს ადათს. ებრძვის არაყს, მექრთამობას, გარყვნილებას, ცრუობასა და მლიქვნელობას, რომელიც მოაქვს რუსეთის თეთრ ხელმწიფეს. ვიხატანდა მას ძალას, ან ვინ აიძულებ ქართველ საუკეთესო შვილებს, რომ ასე გამეტებით ებრძვიან და სისხლს აქცევენ ამ ქედმაღალ მთებს. ის გრძნობდა რომ ულმრთო იყო მისი აქ ბრძოლა, მაგრამ ის მაინც ვერ გაექცა იმ მიმზიდველ ძალას, რომელსაც ვაჟკაცობა ჰქვიან, თავდადება და რომლითაც ასე იყო გატაცებული მთელი ახალგაზრდობა".

კითხვა სწორედ ის დასმული როგორც ერთ დროს ილია ჭავჭავაძე ტირილით სჩიოდა:

„შენი რაა რომ ამშვენებ შენს დამღუპველ ოსმალეთსა".

საერთოდ ეს კითხვა— ქართველების ბრძოლა რუსებთან ერთად რეაქციის საქმისათვის — ძალიან ინტერესებს შენგელაიას: ასეთი კითხვა ის დასმული მას „გურამ ბარამანდიაში", მოთხრობა „პორტში" და „რუსეთუმე"-ს ამ ნაწყვეტში. ჩვენის აზრით ეს [illegible] მწერლისა ძალიან უინტერესოა. არავითარი აქტუალობის მქონე ეს საკითხი არ არის. და არც ისე წყდება საკითხი ოდნავათაც როგორც ეს ავტორს ჰგონია: ქართველში იღვიძებს ქართველი სამშობლოს მოყვარული და სწყევლის თავის ბედს და შეგვაცოდებს თავს. „გურამ ბარამანდიაში" იხსნიან „დედია დედას", „პორტში" იგონებენ საკუთარ ქოხს და ოჯახს, „რუსეთუმეში" კი არ ვიცი რას მოიგონებს ჯიბო რადია. ისტორიას თუ დავუჯერებთ, ისტორიას კი ფაქტებთან აქვს საქმე, ფაქტები კი როგორც ცნობილია ძალიან ჯიუტი „ვირებია"—თავისას ყოველთვის გაიტანენ—აი ამ ისტორიას თუ დავუჯერებთ, ნაციები იკარგებიან იქ სადაც კლასების და წოდებების ბედი სწყდება. „ვაჟკაცობის" გამოჩენისათვის კი არ მიდიოდნენ ქართველი თავადები რუსეთის მეფის სამსახურში, არამედ საკუთარ თავს ემსახურებოდნენ. ჩვენ არ ვიცით ვინ არის ეს ჯიბო რადია, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ჯიბო რადიები ე. ი. რუსის მეფის ჯარებში მებრძოლი ქართველობის უმრავლესობა, არა „ვაჟკაცობის" გამოჩენისათვის იბრძოდენ შამილების წინააღმდეგ. ვაჟკაცობის გამოსაჩენად უფრო შესაფერი ბანაკი სწორედ თავისუფლებისათვის მებრძოლ შამილებს ჰქონდათ. ყოველ შემთხვევაში „რუსეთუმე" მხოლოდ ამ პატარა ნაწყვეტით არის მოცემული და მეტის თქმაც მასზე არ შეიძლება. ვნახოთ დამთავრებული ის რას გვეტყვის.

„ბათა ქექია" ცხოვრებაში შეყვარებულ ძველი გლეხის ამბავია მის მიერვე მოყოლილი. მას მხოლოდ სიცილი, მხიარულება და ტიკჭორა ახსოვს. ლაპარაკიც უყვარს, შნოც აქვს ამის. დემნა შენგელაია წინასიტყვაობაში ასაბუთებს ასეთი ტიპის დახატვის საჭიროებას. ჩვენ ამის საწინააღმდეგოდ არაფერს ვიტყვით ჯერჯერობით მაინც. ვნახოთ როგორ განვითარდება რომანი. მხოლოდ ერთში ეხლაც არ დაგეთანხმებით დემნას. ის სწერს:

„ის ხომ მამაა ჩვენი, ბათა ქექია, ბაბუა! აბა მოიხედეთ უკან, ან თქვენ თავში ჩაიხედეთ, განა თქვენ მისი ნაყოფი არა ხართ, განა თქვენ მისი წვენით არ ცოცხლობთ, განა ის ტიპიური შვილი არ არის ჩვენი ახლო წარსულისა, განა მასაც ისე არ ჰყვარებია, არ გაწვალებულა თავის ცხოვრებაში, როგორც [illegible] ჩვენთაგანი, განა ასეთი ხალხი ცოტა იყო ჩვენი ქვეყნის ახლო წარსულში, განა ახლა ცოტანი არიან ისინი"?

ჩვენ ვფიქრობთ: ჩვენს გლეხს წარსულში უფრო მეტი სატირალი ჰქონდა ვიდრე საცინარი. და ისიც უფრო მეტს სტიროდა ვიდრე იმღეროდა და იცინოდა და თუ მღეროდა სიმღერაშიაც სტიროდა. გოგია უიშვილები უფრო მეტი იყვნენ ჩვენს წარსულში ვიდრე ბათა ქექიები. მდგომარეობა იყო ასეთი და მიტომ.

ბათა ქექია არაა ჩვენი წარსული. ან და თუ არის, მხოლოდ ნაწილობრივ ჩვენი გლეხობის ლა, განა მარტო ჩვენის? წარსული ცრემლია, ტირილი, ოფლი, ტანჯვა და ხშირად უიმედობა. ბათა ქექია დღევანდელ პირობებში მოქმედობს ჯერჯერობით. ვნახოთ როგორ წარსულს გვაჩვენებს. ყოველ შემთხვევაში რომანი დიდი ხალისით და სიამოვნებით იკითხება და ავტორის კითხვაზე:

„მე ბედნიერი ვიქნები თუ გაერთეთ თუ არა და მე ვერ მოვისვენებ, დარდით არ დამეძინება, რომ თქვენ ამდენი ძვირფასი დრო წაგართვით, რომელიც ასე ძვირფასია ჩვენთვის და რომლის გაფრთხილებასაც ჩვენ ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ მივჩვევივართ".

თუ კი აქ ირონია და დაცინვა არ არის, ჩვენ, როგორც ერთი მკითხველთაგანი, შეგვიძლია დავაწყნაროთ ავტორი: იძინეთ ტკბილათ და სიამით! ჩვენ არამც თუ გავერთეთ, არამედ ვიგრძენით ის, რასაც უდიდესი სიამოვნება და მოსვენება ეწოდება და რაიც ასე იშვიათად ეღირსება „საბრალო" ქართველ მკითხველს, სხვადასხვა პოეტების—მათი სახელი კი ლეგიონია,— და რომანისტ-პროზაიკების — არც ასეთებია მაინც და მაინც ცოტანი— ნაწერთა კითხვის დროს.

⁂

კ. გამსახურდიას ორი მოთხრობა „ჯაბუ" და „ლილ" ერთხელ კიდევ ადასტურებენ იმ სამწუხარო ფაქტს, რომ ამ მწერალს არც არაფერი დავიწყნია და არც არაფერი უსწავლია. სამწუხაროდ, ვამბობთ ჩვენ იმიტომ, რომ უეჭველად ნიჭის პატრონი მხატვარია გამსახურდია. მას კარგად აქვს შესწავლილი და შეთვისებული მხატვრული ქართული, ამ მხრივ ვერავინ დაიწუნებს გამსახურდიას ამ ორ მოთხრობას. მდიდარი ლექსიკონის პატრონია ავტორი, ცოცხალი სიტყვის მოსაძებნად დიდ დროს არ დაჰკარგავს, რადგან მარაგი საკმაო აქვს. ამიტომ არის, რომ სიამოვნებით იკითხება გამსახურდიას ნაწერები. მაგრამ მარტო სიამოვნებისათვის ხომ არ იწერება ნაწარმოები, საჭიროა რამე საჭირო და მნიშვნელოვანი გამოვიტანოთ აქედან. მართლაც და ხომ ვერ გავიზიარებთ ჩვენ ოსკარ უაილდის გაბედულს, მარა არა მართალ აზრს—რომ ყოველივე ხელოვნება უნაყოფოა. ეს აზრი ჩვენ „ლამაზ" პარადოქსად მიგვაჩნია. გამსახურდია, პოლიტიკის კაციც არის და ალბად არც თვითონ დაეთანხმება უაილდის ამ ახირებულ აზრს. და აი ჩვენ ვამბობთ: უნაყოფოდ იკარგება გამსახურდიას ლამაზი თქმა, მდიდარი ენა, ცოცხალი თხრობის უნარიანობა. ეპოქას მოწყვეტილი, თანამედროვეობისაგან გაქცეული იგი შემოქმედების საგნად სრულიად უმნიშვნელო და არავისთვის საინტერესო ამბებს და ფაქტებს ეძებს... ამიტომ არის რომ არავითარი საზოგადოებრივი მნიშვნელობა არა აქვს გამსახურდიას ნაწერებს. ამიტომაც არის, რომ გამსახურდია ვერ შლის ფრთებს, ვერ აძლევს მკითხველს იმას რის მიცემაც მას შეეძლო როგორც მწერალს, პოეტს. ჩვენ „უწინასწარმეტყველებთ" მას: რაც დრო გავა მით უფრო და უფრო შემოკლდება და შემოიზღუდება მისი სამოქმედო ასპარეზი, ცხადია თუ კი არ იცვალა მან თავისი ფრონტი — თანამედროვეობის ბოიკოტისა. ჩვენ მას დიდი ხნის სიცოცხლეს ვუსურვებთ, მაგრამ ის ძალიან ადრე მოკვდება როგორც თანამედროვე საქართველოსათვის საინტერესო მწერალი. უაილდის დრო არ არის ეხლა, რომ პოეტმა გასაქანი სალონურ საუბრებში ნახოს და იქ ეძიოს შემოქმედების განხორციელება. თანამედროვე მწერალი ამით ვერც დაკმაყოფილდება და ვერც სხვებს დააკმაყოფილებს, რადგან ეს სხვები დღეს ძალიან შორს არიან ყოველგვარ სალონებისაგან. იბსენზე დაწერილ ბარათში გამსახურდია მწარედ სჩივის: ბედნიერია პატარა ერი რომელსაც დიდი მწერალი ჰყავს, მაგრამ უბედოა დიდი მწერალი, რომელსაც პატარა ერის ფარგლებში უხდება მუშაობა. „უბედობას" და „ბედნიერებას" რომ თავი დავანებოთ ამ სიტყვებში მართლაც არის სიმართლე. პანიატ ისტრატიც ამოწმებს ამას. მაგრამ ისიც უნდა ითქვას: ენის ფარგლების გარდა კიდევ არიან სხვა ფარგლები და კედლები, რომლებიც არა ნაკლებად — ხშირად კი მეტადაც უშლიან ხელს მწერალს ფრთები გაშალოს და რაც შეიძლება მეტი სამოქმედო ასპარეზი დაიკავოს. ივან ბუნინი უსათუოდ ნიჭიერი ბელეტრისტი იყო (პოეტიც). მისი „სოფელი" ერთი საუკეთესო ნაწერთაგანია რუსულ ლიტერატურაში. მისი ენაც— რუსული ენა, რომელზედაც ის სწერდა, საკმაო ფართო ფარგლების მქონე ენაა, დოსტოევსკის, გოგოლის და ტოლსტოის ენაა. ნიჭიც ჰქონდა ადამიანს, სამწერლო ენაც ხელსაყრელი და რას ვხედავთ: მოკვდა, რადგან ის რასაც დღეს ბუნინი ემიგრანტობაში აკეთებს მხოლოდ სიკვდილის ნიშანია, როგორც მწერალი ის უკვე მკვდარია, ძველი ბუნინი არ არსებობს უკვე, რატომ? იმიტომ რომ ბუნინმა (სხვებთან, ნაკლებათ დასაფასებელ მწერლებთან: კუპრინი, ბალმონტი, მერეჟკოვსკი) — ზურგი აქცია ეპოქას, ეპოქის შინაარსს, რევოლიუციას, მოსწყდა მას, ამით მოსწყდა საკუთარ ქვეყანას, ნაცნობ ხალხს და მისი ნიჭიც და საუცხოო რუსული ენა — სანაგვეებისათვის საწმენდათ საჭირო ქაღალდებს ავსებს ეხლა...

გამსახურდია უნდა ჩაუფიქრდეს თავის ბედს, რომელმაც მისცა მას ბედნიერება იმუშაოს ქვეყნის სამსახურის ერთ - ერთ ფრონტზე, მწერლობის ფრონტზე. სამშობლოს სიყვარულით არ შეიძლება გამართლდეს სამშობლოს ბოიკოტი. ეს უხიაგი და საძაგელი აზრია, რადგან არ არსებობს არავითარი სხვა სამშობლო გარდა იმისა, რომელიც არის — თავის თბილისით, ქუთაისით და ჯერი კიდევ სიღარიბეში მყოფ სოფლებით რიონჰესით, ზაჰესით, ბევრი ცუდი და ბევრი კარგი თვისებით. ქართველი ხალხის იქით არავითარი სამშობლო არ არის. რადგან საქართველოს იქით არავითარი საქართველო არ არის. და აი ეს საქართველო, მშრომელთა და ახალ ადამიანთა საქართველო, თავის მოკეთე მწერლისაგან „ჯაბუს" და „ლილს" არ მოითხოვს... განა ისე დაბინდა, გაპარტახდა და დაჩიავდა ჩვენი ქვეყანა, რომ მასში შეყვარებულ პოეტმა სხვა რამ ვერ მონახოს, გარდა ვიღაც კუზიანი ქალისა, ან და მოსკოვში ყაჩაღად გადავარდნილ ეფენდიევ-ჯაბუსი? არა, არა!.. ქვეყანა კი არ არის ამაში დამნაშავე არამედ თვითონ ავტორი ასეთ ამბებისა. ძალიან მაგარი და უტეხი ჯაჭვებით გადაბმია გამსახურდია ძველ საქართველოს, რომ ვერც დრომ და ვერც საკუთარ ნიჭმა და გონებამ ვერ დააცილეს ის მას—ძველ საქართველოს, განწირულს, დაღუპულს, სასიკვდილოს. 11 წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ძველი რუსეთი არ არსებობს. რვა წელი გაივლის მალე, რომ ძველი საქართველო არ არსებობს. ნუ თუ არ იკმარა ამდენმა წლებმა. ნუ თუ საჭიროა კიდევ ცდა? მკითხველი, მოთმინებიდან გამოსული მკითხველი, იძულებულია გადაწყვეტით ჩაიქნიოს ხელი: არა, როგორც ეტყობა გამსახურდია მომკვდარია ახალ საქართველოსათვის... მით უარესი მისთვის. მაგრამ შეიძლება სცდება მკითხველი? გამსახურდიამ უპასუხოს.

(შემდეგი იქნება)

ვალ. ბახტაძე.

ქრონიკა

სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბის გახსნა

სახალხო მეურნეობის მუშაკთა საქმიანი კლუბის გახსნა მოხდება კვირას, საღამოს 6 საათზე.

ლაბორატორულ საქონლის დამამზადებელ სამმართველოს დაარსება

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის დადგენილებით, ს. მ. უ. ს. ქიმიო-ტეხნიკური ლაბორატორიის სავაჭრო და საწარმოო განყოფილებები გადაკეთებულია ლაბორატორული საქონლის დამამზადებელ სამმართველოდ. სამმართველო დაექვემდებარება ს. მ. უ. საბჭოს, როგორც ცალკე წარმოება.

კარანტინების რეორგანიზაცია

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის საგეგმო განყოფილებამ დაადგინა მოახდინოს შავი ზღვის სანაპირო ქალაქებში არსებული ზოგიერთი კარანტინების რეორგანიზაცია. პირველ რიგში გადაწყვეტილია მოხდეს სოხუმისა და გაგრის კარანტინების გადახალისება იმგვარად, რომ კარანტინებში მომუშავე მედპერსონალი სავარიანტო მუშაობიდან თავისუფალ დროს გამოყენებულ იქნეს სხვა სამუშაოზე.

გაზეთი „სიმართლე“

30 დეკემბერს გურჯაანში გამოვიდა გაზეთ „სიმართლე“-ს—კახეთის სამაზრო პარტიულ. კომიტეტისა და სამ. აღმას. ორგანოს პირველი ნომერი. მთელი ნომერი მიძღვნილია საბჭოთა არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებისადმი. გაზეთი ყოველკვირეულად გამოვა. (ადს).

განათლების კომისარიატში

— დანიშვნები: განათლების კომისარიატის განკარგულებით საქ. გეოფიზიკური ობსერვატორიის დირექტორად დანიშნულია ამხ. ქ. სულაქველიძე, ხოლო გეოფიზიკური ობსერვატორიის ყოფ. დირექტორი ამხ. ან. კაკაბაძე დაინიშნა საქ. მუზეუმის დირექტორად.

ჯანმრთელობის კომისარიატში

— კურორტი ლებარდე. ჯანსახკომის კოლეგიამ შუამდგომლობა აღძრა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე სენაკის მაზრის კურორტ ლებარდეს საზოგადოებრივი მნიშვნელობის კურორტად გამოცხადების შესახებ.

— სამზადისი ექიმთა კონგრესისათვის. ჯანსახკომმა ნება დართო ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტს დახარჯოს 250 მანეთი საქ. ექიმთა მე-5 კონგრესისათვის ექსპონატების დასამზადებლად.

— წითელი ჯვრის შუამდგომლობა. ჯანსახკომმა დააკმაყოფილა წითელი ჯვრის შუამდგომლობა ქ. სენაკში ახალი აფთიაქის გახსნის შესახებ.

სხვადასხვა

— დახმარება გაზეთ „ჩვენ კოოპერაციას“ მუშკოოპის გამგეობამ დაადგინა მისცეს დახმარების სახით გაზ. „ჩვენი კოოპერაციას“ 1000 მანეთი.

— ქუთაისის მაუდი, მუშკოოპმა დაადგინა შეიძინოს ქუთაისის მაუდის ფაბრიკის პროდუქცია რისთვისაც ქუთაისში გაგზავნა თავისი რწმუნებული.

— დღეს, 4 იანვარს, საღამოს 6 საათზე ჟურნალ „ნა რუბეჟე ვოსტოკა“-ს რედაქციაში (მაჩაბლის ქ. 13, ხელოვანთა სახლი), შესდგება ფართე თათბირი „ჟურნალის მუშაობის შესახებ 1929 წელს. თათბირზე მოწვეული არიან ჟურნალის ყველა თანამშრომლები. მთარგმნელები—ქართული, სომხური, თურქული სპარსული და თათრული ენიდან. პროლეტარული მწერლები და მუშკორები.

— დღეს, 4 იანვარს, დღის 12 საათზე პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროში (პროფ. კავშირთა საბჭო, ოთახი 20) შესდგება ბიუროს 1-ლი სხდომა.

მხატვარ გ. იაკულოვის ნეშტის ჩამოსვენება

2 იანვარს ნაშუადღევს ერევნიდან თბილისში ჩამოასვენეს მხატვარი გ. იაკულოვის ნეშტი. ცხედრის შესახვედრად სად. სოღანლუღში ჩავიდნენ—ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. შ. ელიავა, თბილისში მყოფი სომხეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ტერ-გაბრიელიანი, ქართველ მხატვართა წარმომადგენლები, სახალხო მოქანდაკე ი. ნიკოლაძე, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წარმომადგენლები შ. რადიანი და სხვ.

სოღანლუღის სადგურიდან ცხედარი ჩამოასვენეს თბილისში. სადგურის სადარბაზო ოთახში ცხედარი გამოასვენეს ვაგონიდან მთავრობის წევრებმა და მხატვრებისა და მწერლების წარმომადგენლებმა.

აქვე გაიმართა სამოქალაქო პანაშვიდი, რომლის დროს სიტყვები წარმოსთქვეს პოეტმა პაოლო იაშვილმა, სახ. მოქანდაკე—ი. ნიკოლაძემ, ქართველ მხატვართა საზოგადოების თავმჯდომარემ ვ. კოტეტიშვილმა, ხელოვნების მუშაკთა კავშირის წარმომადგენელმა ამხ. შენტოვმა, პოეტმა ვასილი კამენსკიმ, და სხვ. ორატორები განსვენებულს ახასიათებდნენ, როგორც დიდი ერუდიციისა და ნიჭის პატრონ მხატვარს, საუკეთესო მოქალაქეს და საზოგადო მოღვაწეს. აღნიშნული იყო აგრეთვე განსვენებულის ღვაწლი ამიერ-კავკ. ეროვნებათა კულტურული დაახლოების საქმეში.

სამოქალაქო პანაშვიდზე უკრავდა ორი ორკესტრი. სიტყვების დამთავრების შემდეგ ცხედარი შეამკეს მრავალი გვირგვინებით.

გვირგვინები მიტანილი იყო საქართველოს მხატვართა საზოგადოებიდან, ჰაიარტუნიდან, საქართველოში მცხოვრებ სომეხ მხატვართაგან და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებიდან.

ნაშუადღევს 3 საათზე ცხედარი წაასვენეს ქ. მოსკოვისაკენ. თბილისიდან კუბოს მიაცილებენ მოსკოვამდე ქართველ მხატვართა საზოგადოების თავმჯდომარე ვ. კოტეტიშვილი სახ. ოპერის მხატვარი-დეკორატორი პელიონკინი და სხვ.

აჭარის წყალის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა შემოწმება

საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს მთავარმა ელექტრო-სამმართველომ (გლაველექტრო) დანიშნა სპეციალისტთა კომისია აჭარის-წყალის ჰიდრო-ელსადგურის საამშენებლო სამუშაოთა შესამოწმებლად. კომისიაში შედიან: ინჟ. გ. გრაფტიო. პროფ. ვ. ვასილიევი. პროფ. საფარენსკი, ამერიკელი კონსულტანტი „დნეპროსტროის“ სამუშაოებზე ინჟ. პფაიფერი და ინჟ. მელიქ-ფაშაევი. თბილისში კომისიას შეუერთდებიან ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის მოადგილე ინჟ. ბ. ჰიჭინაძე, ამხ. ი. პეცკოვი და გეოლოგი კონიუშევსკი.

პროფ. ვასილიევი უკვე ჩამოვიდა თბილისში და გუშინ გაემგზავრა სადგურის საამშენებლო სამუშაოთა ადგილზე.

კომისიის დანარჩენ წევრებს თბილისში მოელიან დღეს.

მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობა

ამ დღეებში ამხ. ს. ჯულელის თავმჯდომარეობით შესდგა საქართველოს ცაკთან არსებულ მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობ კომიტეტის სხდომა, რომელმაც მოისმინა წითელ გორაში მშრომელ ებრაელთა ოჯახების გადასახლებისათვის საჭირო ხარჯების გამომრკვევ კომისიის მოხსენება.

კომიტეტმა დაადგინა წინადადება მისცეს კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრს: ა) შეიძინოს გადასახლებულთათვის 25 გუთანი, 100 ხარი, 10 ფურგონი და საჭირო წვრილი ინვენტარი; ბ) მისცეს გადასახლებულთ თესლის და საქონლის საკვების საჭირო რაოდენობა; გ) უზრუნველყოს გადასახლებულები ინსტრუქტაჟით და ორგანიზაციული ხელმძღვანელობით.

მხედველობაში მიიღო რა გადასახლებულთა ოჯახების გაჭირვებული მდგომარეობა, კომიტეტმა აუცილებლად სცნო მიეცეს გადასახლებულებს ნისიად, პირველ მოსავლამდე, მოწევამდე, 5.000 ფუთი ხორბალი, რისთვისაც აღძრული იქნეს სათანადო შუამდგომლობა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე

ამასთანავე ეთხოვა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს სასწრაფოდ გახსნას კრედიტები საჭირო ინვენტარის შესაძენად. ვინაიდან გადასახლებულები მძიმე მატერიალურ მდგომარეობას განიცდიან, კომიტეტმა აუცილებლად სცნო გადიდებული იქნეს გადასახლებულთა ფონდიდან გასაცემი სესხი—300.000 მანეთიდან 400.000 მანეთამდე, რაზედაც გამოთხოვილი უნდა იქნეს საქართველოს სახკომსაბჭოს სანქცია.

წითელ გორაში მშრომელ ებრაელთა გადასახლების საქმეს ხელმძღვანელობას გაუწევს მემმს-ი (მშრომელ ებრაელთა მიწადმომწყობი საზოგადოება).

—.—

საქართველოს მშრომელ ებრაელთა მიწად მომწყობ საზოგადოების გამგეობამ დაადგინა მოიწვიოს იანვრის ბოლო რიცხვებში მემმს“-ის ორგანიზაციების სრულიად საქართველოს კონფერენცია შემდეგი დღის წესრიგით: საკავშირო მემმს-ის ცენტრალური გამგეობის მოხსენება, საქ. მემმს-ის გამგეობის ანგარიში, სარევიზიო კომისიის მოხსენება, ებრაელთა მიწადმოწყობის პერსპექტივები საქართველოში და არჩევნები.

გადაწყვეტილია კონფერენციაზე სტუმრებად მოწვეულნი იქნენ უკრაინის, ბელორუსიის და აზერბეიჯანის მემმს-ის წარმომადგენლები.

კინო

„ხოლტზე“—კინო-ფელეტონი ხუთ ნაწილად

დადგმა და სცენარი რეჟ. ლ. ესაკიასი—ოპერატორი პოზნანი.

რამოდენიმე დღის წინად სახკინმრეწვის დირექციამ მოაწყო ზემოხსენებულ სურათის საზოგადოებრივი გასინჯვა.

თუ ეს სურათი საქ. სახკინმრეწვის საქმიანობაში შემთხვევითი არ არის, შეიძლება ითქვას, რომ სახკინმრეწვი გადადის ახალ გზაზე, იგი სტოვებს შორეულ და აბლობელ ისტორიულ წარსულს და უახლოვდება ჩვენი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს.

სცენარისა და სურათის ავტორის—ახალგაზრდა რეჟისორის ლ. ესაკიას სურათის თემად აუღია სოციალისტური მშენებლობის აქტუალური საკითხი: სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია მაღალი ტეხნიკის საფუძველზე. ავტორი ამ ფილმს უწოდებს კინო-ფელეტონს, რაც აშკარავებს ავტორის ტენდენციას დაუახლოვოს ფილმის შინაარსი ყოველდღიურ საგაზეთო მასალას.

სურათის შინაარსი ასეთია: სოფელ ცაცხოვანის გლეხობას მთავრობამ გადასცა ტრაქტორი. ეწყობა კოლექტივი, რომელსაც სხვადასხვა ოინებით სათავეში მოექცევა ყოფ. გაქარი-კულაკი გოგოშვილი. გოგიშვილი ახერხებს ყველა მისთვის არა სასურველ წევრების გაძევებას კოლექტივიდან. (სხვათა შორის თითქოს ზედნადები ხარჯების შემცირების მიზნით, სამუშაოდან ხსნის გამოცდილ ტრაქტორისტს და ამ საქმეს ანდობს თავის უფროს შვილს). კულაკის ხელში ტრაქტორი ხდება ღარიბი გლეხობის საექსპლოატაციო იარაღად. ცრუ კოლექტივი ტრაქტორის სარგებლობისათვის გლეხობას ახდევინებს დიდ ქირას, და, ამასთან, უფრო მეძანქანის წყალობით, მას მიწის დამუშავებაზე ახარჯვინებს არა ნაკლებ ენერგიას, ვიდრე ამას მიწის პრიმიტიული წესით დამუშავება მოითხოვს. მიუხედავად ამისა, გლეხობა მაინც გრძნობს ტრაქტორის მნიშვნელობას და გზავნის წარმომადგენელს მთავრობასთან ახალი ტრაქტორის გამოსათხოვად. ქალაქში ჩასულისას გლეხობის დელეგაცია გლეხთა სახლში ხვდება ამავე სოფლის წითელ არმიელს უკვე გამოცდილ და გაწვრთნილ ტრაქტორისტს, რომელიც აღტაცებული ეცნობა გლეხობის განზრახვას და მიჰყავს დელეგაცია სამუშამდგომლოდ. გლეხობას ახალ ტრაქტორის მიცემაზე უარს ეუბნებიან იმ მოსაზრებით, რომ ერთ და იმავე სოფლისათვის ორი ტრაქტორის გაცემა მთავრობის საშუალებას აღემატება. ამავე დროს პირდებიან, რომ გამოიკვლევენ იმ მიზეზებს, რომელთა გამო გლეხობის ღარიბ ნაწილისათვის უკვე გადაცემული ტრაქტორი გამოუყენებელი რჩება. გადის დრო, მაგრამ ქალაქიდან არავინ მოდის. მოწინავე გლეხობის ერთი ჯგუფი გზავნის წერილს გაზეთში. საქმეს ხელს ჰკიდებს მ.-გ. ინსპექცია, რომელიც პასუხს სთხოვს მიწათმოქმედების სათანადო ორგანოს (თუ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას?). იწყება ძებნა გლეხების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობისა, რომელიც დიდი ძებნის შემდეგ აღმოჩნდება სადღაც სარდაფში გადაგდებულ ძველი მაგიდის უჯრაში.

განსაკუთრებული კომისია მიემგზავრება სოფ. ცაცხოვანში იკვლევს კოლექტივს და გამოაქვს სათანადო დასკვნა: ცრუ კოლექტივი გაუქმდეს, ხოლო ტრაქტორი გადაეცეს ღარიბთა ჯგუფს. იწყობა ახალი კოლექტივი, რომელიც ტრაქტორის [illegible] გადააქცევს ძველ [illegible].

ასეთია ამ ფელეტონის შინაარსი. ბევრს ეჭვი დაებადება, შეიძლება თუ არა ასეთი სიუჟეტით მაყურებლის დაინტერესება. ახალგაზრდა რეჟისორმა დაამტკიცა, რომ შეიძლება. მან ეს შესძლო მაყურებლის ყურადღების გაცხოველებით ყველა იმ საკითხებისადმი, რომელთა მოუწესრიგებლობა აბრკოლებს კოლექტიურ მშენებლობას სოფლად.

რას გვეუბნება მხატვრული ხერხებით სცენარის ავტორი და რეჟისორი? —არ კმარა მარტო სოფლისათვის ტრაქტორის გადაცემა; საჭიროა უმაღლეს ორგანოების მხრივ სათანადო ხელმძღვანელობა. საჭიროა გლეხობას მიეცეს არა მარტო ტრაქტორი, არამედ მომზადებული კვალიფიკაციური მემანქანეც; საჭიროა ტრაქტორის უზრუნველყოფა საჭირო სათბობი მასალით. საჭიროა ტრაქტორის გამოყენება სოფლის მეურნეობის ყველა საწარმოო პროცესებში—ხვნა თესვის, მკის, ლეწვის, სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის და ტბორების გადაშრობის დროს. მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება ტრაქტორი გადაიქცეს გლეხობის შემაკავშირებელ ძალად. ფილმში აღძრულია კიდევ მრავალი საჭირბოროტო საკითხი. ვინ უნდა მიაწოდოს სოფელს გამოცდილი ტრაქტორისტი?—წითელმა ჯარმა. ასეთია სურათის გარკვეული პასუხი. რა უშლის ხელს სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის დაჩქარებას?—პირველ ყოვლისა, ჩვენს სამეურნეო - სახელმწიფო ორგანოებში არსებული ბიუროკრატიზმი, დაუდევრობა და გულგრილობა—გვეუბნება გარკვევით ის კინო-ფელეტონი.

აი ეს საჭირბოროტო საკითხები, რომლებზეც აღელვებენ დღეს საბჭოთა საზოგადოებრიობას, ფილმს აძლევს აქტუალურ მნიშვნელობას.

რაც შეეხება ტეხნიკურ მხარეს რეჟისორმაც და ოპერატორმაც აქაც წარმატებით ჩააბარეს გამოცდა. თუ ფილმს ასეთი ყოველდღიურობის გამო, ინტერესი არ დაუკარგავს, ვიმეორებთ, ეს მიეწერება მის მხატვრულ ღირსებას. ფილმში არ არის არც ერთი ზედმეტი კადრი, არც ერთი დეტალი, რომელიც არ ამუქებდეს და არ მარტავდეს ავტორის მიერ აღძრულ ძირითად საკითხებს. თვით ტიპების დახასიათებაში ადგილი არა აქვს გადაჭარბებას. მაგ., ჩვენი დაწესებულებების ბიუროკრატიზმის გადმოცემასა და კულაკ გლეხობის დახასიათებაში შეიძლებოდა რეჟისორს შარჟამდე დაშვებულიყო რაც სურათის დამარწმუნებელ ძალას დაუკარგავდა.

რაც შეეხება ცალკე ამსრულებლებს, სურათში ადგილი არა აქვს „თამაშს“. მეტ წილად გადაღებული არიან გლეხები და სხვადასხვა საწარმოო პროცესების დროს. ამის გამო მათი ამსრულებლები სავსებით რეალური და ბუნებრივია.

დასასრულ, ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას: ეს მეორე შემთხვევაა, საქ. სახკინმრეწვის პრაქტიკაში, როცა ახალგაზრდა რეჟისორი იმარჯვებს. მიზეზი ის არის, რომ ახალგაზრდა ძალებს უფრო აქვთ უნარი ღრმად აღიქვან ახალ ცხოვრება და მის მოთხოვნილებებს, ვიდრე ხელოვნების ძველ თუნდაც გამოცდილ მუშაკებს. აქედან სახკინმრეწვმა უნდა გააკეთოს შესაფერი დასკვნა: მისცეს უფრო ფართო გზა ახალგაზრდობას კინო ხელოვნებაში.

ვ.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 4 იანვარი

დღეს, 4 იანვარს, თბილისი 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

საუბარი (ციკლიდან—„ტეხნიკა მასებს“; ამხ. ვარძელის მოხსენება—„პროფკავშირები და საბჭოების გადარჩევის კამპანია“; თურქული რადიო-გაზეთი; ჯანსახკომის მოხსენება-„გრიპი“; ტეხნიკური კონსულტაცია; საუბარი გლეხებთან ოსურ ენაზე; კონცერტი (ციკლიდან—„პროგრამული მუსიკა“; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია; ამინდის ბიულეტენი; 5 იანვრის პროგრამის გადაცემა.

რკინის გზებზე

სამაგალითო მუშაკები

განჯის დეპოს მემანქანემ ინწკირველმა და მზეთავმა სტეპანიანცმა გზას თავიდან ააშორეს მატარებლის კატასტროფა იმით, რომ დროზე შეამჩნიეს შემადგენლობაში ერთ-ერთ ვაგონის ღერძის გატეხვა და მოხსნეს იგი შემადგენლობას.

გზის გამგეობამ ინწკირველს და სტეპანიანცს გამოუცხადა მადლობა და თითოეული მათგანი დააჯილდოვა 50 მანეთით.

ნამტვრევი რკინის შეგროვება

გასულ წელში ა.-კ. რკ. გზებზე შეაგროვეს და „რუდმეტალტორგს“ ჩააბარეს 15.000 ტონა ნამტვრევი რკინა.

გზამ მიიღო წინადადება მიმდინარე წელს 1 ოქტომბრამდე შეაგროვოს კიდევ 13.000 ტონა.

მძინარე მემანქანე

30 დეკემბერს მატარებელი № 347 ტაუბტალუს შუა მოულოდნელად გაჩერდა.

მატარებლის გაჩერების მიზეზების გამოსაკვლევად ორთქლმავალზე ავიდა მთავარი კონდუქტორი, რომელმაც ნახა, რომ მემანქანე ძილის ჩასძინებოდა. მემანქანე მთვრალი აღმოჩნდა. ეხლა იგი მოხსნილია სამსახურიდან.

აცილებული კატასტროფა

3 იანვარს სადგ. ალამაში ერთსა და იმავე ხაზზე მიიღებულ იქნა ორი მატარებელი.

ერთ-ერთი მატარებლის მემანქანემ დროზე შეამჩნია მოსალოდნელი მარცხი, მატარებელი დროზე შეაჩერა და ამით თავიდან აცილებულ იქნა კატასტროფა.

დაჯახება

2 იანვარს, სადგ. სანაინში მატ. № 2060 სადგურის მორიგემ ტერ-მარტიროსოვმა და მეისრე ხაჩატუროვმა მიიღეს დაკავებულ ხაზზე. მოხდა დაჯახება. დაზიანდა ოთხი შეშით დატვირთული ვაგონი.

სასამართლო

უცნაური შურისძიება

გასულ წლის 17 ოქტომბერს სოფელ ლისში ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას:

გუთნის გორის მახლობლად ნახეს ლისის მცხოვრების ვანო მარლანის დაჩეხილი გვამი.

მარლანმა წინა დღით საქონელი გარეკა საძოვრათ და შემდეგ აღარ დაბრუნებულა.

მკვლელობა მოცული იყო საიდუმლოებით, ხელისუფლების წარმომადგენლებმა გვამის აღმოჩენისთანავე დაუწყეს ძებნა ბოროტმოქმედს.

ეჭვით დაპატიმრებულ იქნა იმავე სოფლის მცხოვრები ბაგრატ სანდროსძე ოგანეზოვი.

ოგანეზოვის დაპატიმრება გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ:

ოგანეზოვს უყვარდა ვანო მარლანის და კატო, რომელსაც რამდენიმეჯერ მისცა წინადადება ცოლად გაყოლის შესახებ.

ქალი უარს ეუბნებოდა, ოგანეზოვის სიძლის წინააღმდეგნი იყვნენ აგრეთვე ქალის მშობლები და ძმები. ოგანეზოვი მაინც არ ჰკარგავდა იმედს.

მაგრამ მოხდა ოგანეზოვისათვის მოულოდნელი ამბავი. კატო დაინიშნა სხვაზე. მარლანების ოჯახში უკვე დაიწყო სამზადისი ქორწილისათვის.

ბაგრატ ოგანეზოვი, რომელმაც ყოველგვარი იმედი დაჰკარგა, აღივსო შურისძიების გრძნობით და ასეთ მუქარას უგზავნის კატოს: „ბიჭი არ ვიყო თუ ცხარე ცრემლებით არ გატირო“.

ბაგრატს უნდა დაამწუხროს მარლანის ოჯახი და მით ჩაშალოს ქორწილი.

თავის მიზნის განსახორციელებლად ოგანეზოვმა მსხვერპლად აირჩია კატოს ძმა ვანო მარლანი, რომელიც ვერაგულად მოჰკლა მინდორში.

როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, ოგანეზოვი ეჭვით იქნა დაპატიმრებული, ხოლო ბრალდების დასამტკიცებლად საბუთი არ არსებობდა.

ოგანეზოვი კატეგორიულად უარყოფდა წაყენებულ ბრალდებას და გაკვირვებასაც გამოსთქვამდა, რომ მას ასეთი მძიმე ბრალდება წაუყენეს სრულიად უსაფუძვლოდ.

საინტერესოა, როგორ დადასტურდა ბრალდება.

გასინჯულ იქნა ოგანეზოვის ტანისამოსი და ქულაჯაზე აღმოჩენილ იქნა მიმხმარი სისხლის წვეთები.

ოგანეზოვმა ამის გასამართლებელი „არგუმენტიც“ მონახა. მან სთქვა,—თითქოს რამდენიმე დღის წინ კამეჩი დაჰკლა და სისხლი, რომელიც მის ქულაჯას აჩნია,—ეს კამეჩის სისხლია. დაასახელა მოწმეებიც, რომ კამეჩი მან მართლა დაჰკლა.

მკვლელობის ფაქტის დასადასტურებლად საჭირო გახდა ქულაჯაზე მიმხმარი სისხლის ანალიზის მოხდენა.

ამოჭრილ იქნა ქულაჯის სარჩული, რომელსაც სისხლი ეცხო და გადაიგზავნა შესამოწმებლად ქიმიურ ლაბორატორიაში.

ქიმიურმა ლაბორატორიამ დაადასტურა, რომ ქულაჯაზე მიმხმარი სისხლი ადამიანის სისხლია.

ოგანეზოვი მაინც უარყოფდა მკვლელობის ჩადენას.

ოგანეზოვს გზავნიან საპატიმროში. სისხლის სამართლის მილიცია აწარმოებს დამატებით კვლევა-ძიებას.

ამ ხნის განმავლობაში ოგანეზოვი საპატიმროში უახლოვდება ერთ პატიმარს, რომელსაც გულწრფელად უამბობს ყველაფერს რაც მან ჩაიდინა.

— მე ძლიერ მიყვარდა კატო. ვერ შევურიგდი იმ აზრს, რომ იგი სხვაზე დაინიშნა, გადავსწყვიტე. როგორმე ჩამეშალა ქორწილი. სულ რამდენიმე დღე დარჩა ქორწილამდი. მე ვიცოდი, რომ კატოს ძმა ვანო მინდორში წავიდა საქონლის საძოვებლად. მივედი მასთან და საუბარი ჩამოვუგდე დის შესახებ. გადაწყვეტილი მქონდა ჩემი გულის მოკვლისათვის, დამეტანჯა კატო. ვიცოდი, რომ ძმის სიკვდილი მასზე მძიმედ იმოქმედებდა. ისიც ვიცოდი, რომ მისი ძმა არ ურჩევდა დას ჩემთან დაახლოვებას.

გადაწყვეტილი მქონდა ვანოს მოკვლა, მაგრამ გამბედაობა არ მყოფნიდა. როცა ვესაუბრებოდი—ხელში ეკალი ვიხვლიტე იმ მიზნით რომ გავმწარებულიყავ და შურისძიების გრძნობა გამეძლიერებინა.

ასეც მოვიქეცი.

როცა ტკივილი ვიგრძენ ჩხვლეტისაგან ცეცხლივით მომედო შურისძიების გრძნობა, ამოვიღე ხანჯალი და დავკარი მარლანს. ისე გავმხეცდი, რომ ათი ჭრილობა მივაყენე და როცა დავრწმუნდი, რომ მკვდარი იყო, გავექეცი...

ამ საუბარს თურმე ყურს უგდებდა მეკარე, რომელმაც ყოველივე ეს აცნობა თანამშრომელს, რომელიც გამოძიებას აწარმოებდა.

პატიმარმა, რომელსაც ეს ამბავი უამბო ოგანეზოვმა, ვერ სთქვა უარი და აღიარა, რომ ოგანეზოვმა მართლა სიტყვა-სიტყვით ასე უამბო მას თავისი თავგადასავალი.

ასე დადასტურდა, რომ ნამდვილად ოგანეზოვი არის ვანო მარლანის მკვლელი.

ბაგრატ ოგანეზოვს გაასამართლებს თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლო. გმრ.

შემთხვევები

ავტომობილის კატასტროფა

2 იანვარს საღამოს 4 ნახ. საათზე თამბაქოს ტრესტის ავტომობილს დიღომში მარცხი შეემთხვა.

მიღებული ცნობით, კატასტროფა მომხდარა შემდეგ პირობებში:

ავტომობილი დაეჯახა ქვის კუნძებს. დაჯახების დროს შოფერს საჭე ხელიდან გაუსხლტა. მანქანამ ინერციით განაგრძო გზა და ჩავარდა ხრამში.

კატასტროფის დროს დაშავდა მოქ. დიმიტრი რაზმაძე და შოფერი გაიკ ტოროზოვი. დაშავებულებს პირველი საექიმო დახმარება აღმოუჩინეს მცხეთაში.

კატასტროფის დაწვრილებითი მიზეზების გამორკვევა დაევალა სპეციალისტთა კომისიას.

დაჭრა

1 იანვარს გერასიმე ნიკოსძე ნაცვლიშვილი (მცხ. ბელინსკის ქ., 47), მივიდა სტუმრად მოქ. გრ. პეტრიაშვილის ბინაზე (ავლაბრის შესახ.). ქეიფის დროს ნაცვლიშვილმა იცეკვა ხანჯლით. მოულოდნელათ მას ხანჯალი ხელიდან გაუვარდა და მოხვდა მუცელში. დაჭრილი გადაიგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

— ღვინის სმის დროს სასადილოში (ლენინის ქ. 7), ივანე ზაქარიასძე ფალავანდიშვილმა, ავლო ისოევმა, ორზე მოსოევმა და ჯინი ბაშაროვმა დანით დასჭრეს გრომანეთი. ავლო ისოევი, რომელიც მძიმედ აღმოჩნდა დაჭრილი, გადაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში.

— ქეიფის დროს დარჩო ნინოიძემ (მცხ. ფოსტის ქ., 23) დანით დასჭრა კოლა მიკირტუმოვი (მცხ. ქართულ ქ. 4).

— სასტუმრო „კავკავში“ ვიღაც ბოროტმოქმედმა რევოლვერის ტყვიით დასჭრა ვალიკო თედორესძე კუშილავა (მცხ. რიყის ქ., 91). დაჭრილი გაგზავნეს საავადმყოფოში.

— ლავრენტი ცაცხლაძემ (მცხ. ფოთის ქ. 3), სადგურის ქუჩაზე დანით მსუბუქად დასჭრა ტატიანა ვლადიმერის ასული ესებუა. ცაცხლაძე დაპატიმრებულია.

შეპყრობა

მილიციამ დააპატიმრა პეტრე კირაკოსის ძე მანუკიანცი, მ. პ. გაბრიძე (მცხ. რუსთაველის პროსპ. 30); და ალექსანდრე იოსებიძე ბაქა, რომლებსაც ბრალდებათ ქურდობა.

თვითმკვლელობის განზრახვა

გუშინწინ თვითმკვლელობის მიზნით თოფით თავი დაიჭრა ნიკოლოზ ილარიონისძე მდივნიშვილმა (მცხ. მილიციის ქ., 19), მდივნიშვილს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს საავადმყოფოში. თავის დაჭრის მიზეზი—ოჯახური უსიამოვნებაა.

— ანა დიმიტრის ასულმა ეგოროვამ თვითმკვლელობის მიზნით თავი მოიწამლა სულემის ხსნარით. ეგოროვას ქალი სიკვდილს გადაარჩინეს.

3.660 მანეთის მოპარვა

ამას წინად სიღნაღის მუშკოოპის გამგეობის წევრს—ივანე ქობულაშვილს ვიღაც ბოროტმოქმედმა თბილისის სადგურში მოპარა ჩემოდანი სხვადასხვა ნივთებით და ფულად 3.660 მანეთი. ამ დღეებში სისხლის სამართლის მილიციამ ქურდები დააპატიმრა. ისინი აღმოჩნდნენ: ალექსანდრე გრიგოლისძე დანელიანცი, ვაჩან არშაკისძე მიკირტიჩიანცი, ვართან ნიკოლოზისძე აირაპეტოვი და მიკირტი გრიგოლისძე ვარდოიანცი. მოპარული ფულის ნაწილი აღმოჩენილია.

სკამის ქურდები

მილიციამ დააპატიმრა ფირალა მოსესძე ფირუმოვი, ერეკლე დიმიტრისძე ბატიაშვილი და ალექსანდრე ვასილისძე კუმანოვი რომლებმაც ტრამვაის კლუბიდან მოიპარეს სკამები.

ხანძარი

გუშინ დილით საპილოს ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა სახლს № 1. ცეცხლი ჩააქრო სახანძრო რაზმმა.

ხულიგნობა

1 და 2 იანვარს აღმასკომის ადმინისტრაციულმა განყოფილებამ ქუჩაში წესრიგის დარღვევისათვის დააპატიმრა 17 კაცი.

ქურდობა

გაქურდეს გიორგი ჯარაგულის ბინა (ორჯონიკიძის ქ., № 23), —მოპარულია 1800 მანეთის საოჯახო ნივთები;—გაქურდეს არამ სერაფიანცის დუქანი (პლეხანოვის პროსპ., 139),—წაიღეს 116 მანეთის ნივთები;—გრიგოლ გაზიშვილს ტრამვაის ვაგონში პორტფელიდან მოპარეს 2.000 მანეთი;—მე-15 შრომის სკოლის სადურგლო სახელოსნოდან (არაგვის ქ., 2) მოიპარეს სხვადასხვა ხელსაწყოები;—გაქურდეს სტეფანე მატინოვის ბინა (ენგელსის ქ., 54),—წაიღეს 200 მანეთის ნივთები.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ხ. ხ. პ. ი.-ს ხიმიის ფაკულტეტთან არსებული კომუჯრედის ბიურო აცხადებს, რომ პარასკევს, 4 იანვარს, საღამოს 7 საათზე შესდგება კ. პ. (ბ) უჯრედის კრება ა. ლ. კ. კავშირის უჯრედის ბიუროსთან ერთად.

კრებაზე აუცილებლად უნდა გამოცხადდეს დიმიტრი ზალდასტანიშვილი.

—:—

სახ. პოლიტ. ინსტიტუტთან არსებული კ. პ. ბიურო კოლექტივი პარასკევს, 4 იანვარს, საღამოს 7 საათზე იწვევს კოლექტივის კრებას.

კომპარტიის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

—:—

ს. კ. პ. (ბ) ლენინის რაიკომი იუწყება. რომ 4 იანვარს საღამოს 6 საათზე ტრამვაელების კლუბში მოწვეულია ლენინის რაიონის კომუჯრედის ბიუროების კონფერენცია, რაიკომის წევრებთან ერთად.

—:—

ქვემოთ ჩამოთვლილი ამხანაგებს სთხოვენ 4 იანვარს, დილის 10 საათზე, გამოცხადდნენ საქ. კ. პ. თბილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ტყაბლაძესთან:

გოროზოვი არტემ თამაზისძე, ქორიძე სერგო სოფრომისძე, ჩოდრიშვილი გიორგი მიხეილისძე, დავით არეშიძე, ტიმოთე დარახველიძე.

—:—

დღეს საღამოს 7 საათზე შესდგება სახ. უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის კომუჯრედის დახურული სხდომა კომკავშირის უჯრედთან ერთად.

საქ[illegible]არტიის ცენტრ. საკონტროლო კომ[illegible] [illegible] აძლევს ამხ. [illegible] დარიე[illegible] 4 იანვარს გამოცხადდეს ([illegible]) ცენტრ. საკონტრ. კომისია-ში ([illegible] 24)—ოთახი 12.

—:—

საქ. [illegible] ცენტრ. საკონტრ. კომისია წინადადებას აძლევს ამხ. შალვა [illegible] სიხარულიძეს 5 იანვარს დღის 2 საათზე გამოცხადდეს (ცენტრ. საკონტრ. კომისიაში) (რუსთ. პროს., 24—ოთახი 12).

—:—

საქ. კომპარტიის ცენტრ. საკონტრ. კომისია წინადადებას აძლევს ნიკოლოზ ბიბილეიშვილს და გიორგი ავქანდაძეს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ ცენტრ. საკონტრ. კომისიაში (რუსთაველის პრ. 24, ოთახი 11).

—:—

პარასკევს, 4 იანვარს, საღამოს 6 საათზე განათლების მუშაკთა სახლში (კოლოუბნის ქ.) შესდგება განათლების მუშაკ.-კომუნისტების საქალაქო კრება. დღის წესრიგში ამხ. გ. ასრათბეკოვის მოხსენება: „სასკოლო მშენებლობის პარტხელმძღვანელობის საკითხები“.

კრებას უნდა დაესწრონ: ყველა კომუნისტები და კომკავშირელები—პედაგოგები და განათლების სახალხო კომისარიატისა და თბ. აღმასკ. განათლების განყოფილების სასკოლო ქსელის მუშაკები, სკოლებთან არსებულ კომკავშირის უჯრედების მდივნები. ხელისშემწყობ საბჭოების ფრაქციების თავმჯდომარეები და კომპარტიისა და კომკავშირის რაიკომების აგიტპროპგანყოფილებათა მუშაკები.

დამწუხრებულნი შვილები: კოლია, ბაბუცა, ვერიკა, შვილიშვილები: ოთარი და შოთა ფირცხალაშვილები; რძალი მართ მჭედლიშვილი-ფირცხალაშვილისა; დები: კატო ხაზარაძისა, ლიზა მჭედლიშვილისა და ლუბა ელენტისა აუწყებენ საზოგადოებას, რომ 2 იანვარს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ანასტასია (ტასიკო) დავითის ასული ფირცხალაშვილისა

გამოსვენება შაბათს, 5 იანვარს, 4 საათზე დურბინის შესახვევიდან № 3. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე.

6143

თავზარდაცემულნი მეუღლე ეკატერინე, მშობლები ისიდორე და მატრონა შვილებით, სიძეებით და რძლებით, სიმამრი რაჟდენ და სიდედრი ქეთევან ჯანდიერი შვილებით და რძლებით, აღმზრდელი საშა ლეონიძისა აუწყებენ საზოგადოებას, რომ თელავში გარდაიცვალა

ნესტორ ისიდორეს-ძე ვაჩეიშვილი

დასაფლავება თელავში 5 იანვარს.

ნ. 2070

დამწუხრებული მეუღლე კოწია ჩაჩავა შვილებით, მშობლები ხატალია და ფილიპე, ალექსანდრა და აკაკი გოცირიძეები; კატო და რუხო ციციშვილები აუწყებენ ნათესავთ და მეგობარ ამხანაგებს, რომ დაუვიწყარ

ლიუბა გოცირიძე-ჩაჩავას

ხსოვნის აღსანიშნავად 6 იანვარს 1 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი.

6148

ღრმად დამწუხრებული დედა ოლღა დიმიტრის ასული, და მარიეტა ივანეს ასული, რძალი ანტონინა ივანეს ასული და ძმა სოლომონ ივანეს-ძე აბდუშელიშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ 1 იანვარს 1929 წელს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

კონსტანტინე ივანეს-ძე აბდუშელიშვილი

გამოსვენება ცენტრალურ კლინიკიდან (ყოფ. მიხ. საავადმყოფო), 4 იანვარს, დღის 3 ნახ. საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე.

ამხანაგობა „ს. სოლომონიანი და ა. სიუტჩიანი“-ს ცინკოგრაფია იუწყება, რომ გარდაიცვალა მხატვარი-ცინკოგრაფი

სარქის სოლომონიანი

სამოქალაქო პანაშვიდი პარასკევს, საღამოს 6 საათზე, საკუთარ ბინაზე, ივანიძის ქ. № 34 (შუა ბაზარი) დაკრძალვა (სამოქალაქო წესით) კვირას, 6 იანვარს დღის 11 საათზე.

6156

მწუხარებაში მყოფნი: ძმა კირილე შვილებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ მათთვის დაუვიწყარი

ლიზა (ჭუჭუ) ჩიჩუას

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი შაბათს, 5 იანვარს, შუადღის 12 საათზე სოფ. ამაღლეში (გურია).

6149

რუსთაველის თეატრი

2—1 ნ. 2056

შაბათს 5 იანვარს მე-2 აბონემენტის მე-5 წარმოდგენა

„ჯუმა-მაშიდ“ გ. ვენეციანოვის

დრამა 4 მოქ. და 6 სურათად თარგ. ს. შანშიაშვილის

დადგმა: ქ. პატარიძის მხატვარი: ირ. გამრეკელი

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი: ალ. ახმეტელი

დასაწყისი სრულ 8 საათზე ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში

სახკინმრეწვის კინოთეატრები

განთიადი		**ნამდვილი მამაკაცი**	კარმენ ბონის მონაწილეობით
არფასტო	სეზონის საუკეთესო სურათი	**ჭუმპე**	პანოვის მონაწილეობით
მინიონი	გრანდიოზულად დადგმული ფილმი	**კასტუს კალინოვსკი**	რეჟ. გარდინი
სოლეი	მხატვრული სურათი	**ზვავი**	რეჟისორი ი. პერესტიანი
პალასი	მხატვრული სურათი	**კედელს იქით**	მთავარ როლებში ბუჩმა, დიუსიმეტიერ. კოშევსკი.
აპოლო		**კირა კირალინა**	პანაიტ ისტრატის რომანის მიხედვით
დარბაზი	წარმატების გამო სამი დღე კიდევ	**თავდასხმა პირგინის ფოსტაზე**	
პროლეტარი ავლაბარი		**თეთრი არწივი**	მე-3 და მე-4 სერია

0—1

მიიღება ხელისმოწერა 1929 წლისათვის

„საქართველოს კ.პ. (ბ)ც.კ.-სა და თბ.კ.-ს მოამბე“-ზე

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ ქართულ და რუსულ ენაზე.

ჟურ. „საქ. კ.პ.(ბ)ც.კ.-სა და თბ. კ.-ს მოამბე“

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ.-სა და თბ. კ.-ს ხელმძღვანელი ორგანოა პარტაქტივისათვის: ეს ჟურნალი ათავსებს ინფორმაციას საქ. კ. პ. (ბ). ც. კ.-სა და თბ. კ.-ს პლენუმების, პრეზიდიუმების, სამდივნოების, განყოფილებებისა და კომისიების მუშაობისა და აგრეთვე საქართველოს პარტორგანიზაციების მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

„საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ.-სა და თბ. კ.-ს მოამბე“-ში თავსდება საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-სა და თბ. კ.-ს ყველა რეზოლიუციები, ცირკულიარები და სხვა ოფიციალური მასალები, რომელიც სავალდებულო და სახელმძღვანელოა ადგილ[illegible] ორგანიზაციებისათვის.

„საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ.-სა და თბ. კ.-ს მოამბე“ უნდა ჰქონდეს ყოველ კომიტეტს, უჯრედსა[illegible] პარტიის ყოველ წევრს, როგორც [illegible] საჭირო სა[illegible] მათ ყოველდღიურ მუშაობაში,

ჟურნალის ფასი:

1 წლით—2 მან. 00 კაპ.	3 თვით— მან. 55 კაპ.
6 თვით—1 მან. 15 კაპ.	1 თვით— მან. 20 კაპ.

ფული უნდა გადმოიგზავნოს შემდეგის მისამართით: ქ. თბილისი, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი — საფინანსო განყოფილება.

10—6 ნ. 2011

ამ დღეებში

კინო-თეატრებში

აპოლო-პალასი-სოლეი

არფასტო-განთიადი.

საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობის ნაწარმოები 1928—29 წლ. სეზონი

ჯანყი

ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის მიხედვით

სცენარი და დადგმა

რეჟისორი ა. წუწუნავასი

ოპერ. ა. დიღმელოვი

მთავარ როლებში:

თამარ ბოლქვაძე, ი. ნაზიროშვილი, კ. ერისთავი, ა. მეხნიაევი, გ. მელიავა, ვ. ტრაპაიძე, ს. კანდელაკი, დ. ჩხეიძე, კ. ანდრონიკაშვილი, ა. ხინთიბიძე, ს. ფალავანდიშვილი, დ. ძნელაძე

ნ. 2071

თბილისის ქალაქის ლომბარდი (კეცხოველის ქ. № 8) აცხადებს, რომ კვირას, 6 იანვარს, დილის 10 საათზე

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადაგასულ გირაოებისა. გასაყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 2069

ქ. თბ. მე-5 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი

გ. გამაზოვი

აცხადებს, რომ ის 1929 წ. 8 იანვარს დღის 12 საათზე სახლში № 227 საბჭოთა ქუჩაზე, ნაძალადევში, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის პეტრუზა მარტიროსოვის მოძრავ ქონებას: ერთ შიფონერკას სარკიანს, გასაშლელ სასადილო მაგიდას, პატარა მაგიდებს, სკამებს და სპილენძის ქვაბებს, შეფასებულს 153 მანეთად. ქიტეს გიორგის-ძე ალბერაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის სანოტარო კანტორის მიერ 13 დეკემბერს 1928 წ. თარიღით, № 453 გაცემულ აღმასრულებითი წარწერისა.

6142

ცირკი კოლოსი

ტელეფ. № 8—64

1—1 ნ. 2068

დღეს

განახლებული პროგრამა

3 მოქმედებად

10 ახალი გასტროლიორი

და მხეცების მრთველი **ნ. პ. გლადილშჩიკოვი**

მტაცებელი ცხოველებით

დასაწყისი 8 ნახ. საათზე წაიკითხეთ აფიშები!

კვირას 6 იანვარს დღის სანახაობანი

ყველა ახალი გასტროლიორი და გლადილშჩიკოვი

დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზე

ქალთა არტელი „ახალი გზი“-ს გამგეობა აცხადებს, რომ თანახმად საერთო კრების დადგენილებისა ხდება მისი

საბოლოო ლიკვიდაცია,

რის გამო მოვალეებს ეძლევათ უფლება დღიდან ერთი თვის განმავლობაში მიმართონ თავის პრეტენზიებით საჭირო საბუთების წარმოდგენით სალიკვიდაციო კომისიაში, რომელიც მოთავსებულია სოლოლაკის ქუჩა № 3 (დარაბა № 20981)—სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარე ნიკოლოზ ბაღდასაროვთან. აღნიშნულ ვადის განვლის შემდეგ ლიკვიდაცია გაუქმებული იქნება და არავითარი პრეტენზიები აღარ მიიღება. 6145

თბილისის მე-2 რაიონ. სასამართ. აღმასრულებელი

ხ. გააზოვი

აცხადებს, რომ ის 1929 წ. 8 იანვარს დღის 1 საათზე სახლში № 29 პუშკინის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის (სასადილო „მარანი“) გეორგ მღებრიშვილის მოძრავ ქონებას: ღვინის კასრი 50 ვედროს წითელი, კასრები ცარიელი 60 ვედ. 9 ცალი შეფასებულს 395 მანეთად, ივანე გოდერძიშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის პირველი უბნის სახალხო სასამართლოსაგან 1928 წ. 10 აგვისტოს თარიღით, № 2331 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

6154

Судебный Исполнитель Шаумянского участка Т. ОГАНЕСОВ

объявляет, что в понедельник, 7-го января 1929 г., в 12 часов дня в гор. Шаумяне Борчалинского уезда при Народном Суде будет продаваться с **ПУБЛИЧНЫХ ТОРГОВ** 2-х этажный каменный дом, крытый черепицей и состоящий из 12 комнат: из коих 6 комнат в верхнем и 6 в нижнем этажах, со службами и двором, принадлежащий ж. г. Шаумян гр. Ростеванову, Арташесу Егоровичу, за долг его: по судебному приказу Шаумнарсуда за № 1168 М. В. Аристеко, по исполнительному листу Степанаванского Нарсуда за № 87 Госфермы Лорийского участка и по исполнительному листу Обсуда В/Грузии за 28431—Треста Народных Имений НКЗ Гр. ССР.

Желающие торговаться, вносят залог в размере 10% с оценочной суммы. Вышеуказанный дом оценен в 1.000 рублей.

ექიმი

კ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და სად. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. №10

ექიმი

პ. ი. ჯალალოვი

(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეზხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—3

ქ. თბილისის მე-3 რაიონ სასამართ. აღმასრულებელი

ნ. იზორია

აცხადებს, რომ ის 1929 წ. 8 იანვარს დღის 1 საათზე სახლში № 17 კონსტანტინეს ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სტეფანე იაკობის-ძე ხაჩატუროვის უძრავ ქონებას: ერთ სართულიან ქვიტკირის სახლს, შემდგარს 6—ოთახი და 2 სამზარეულოდან, შეფასებულს 2500 მანეთად, ივანე ოკინაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლოსაგან 30 მარტს 1928 წ. თარიღით, № 170/2 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ს.ს.ს. კოდ. 311—312 მუხ. დაცვით. 6155

ექ. **დ. ლ. თევზაძე**

ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა.

კონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა) მიღება: დილით 12—1 ნახ. საათამდე საღამოს 7—8 ს. გარდა კვირა დღეებისა. 25—1

ქ. ქუთაისი

ექიმი

თ. ვ. აკოფაშვილი

შინაგან სნეულება—სპეციალ ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით).

ნ. 25—11

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, სალ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. ნ. 21—1

ექიმი

ი. ვ. ახმეტელი

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ.

ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, მესამე სართული.

6144 50—1

ი. პ. მჭედლიშვილი

შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ა.

დაბრუნდა

მედიცინის დოქტორი

ნ. ს. ორემბოვსკი

ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფობათა მკურნალობა. ავადმყოფების მიღება—4-დან 7 საათამდე. ყურულის ქ. (ყოფ. კირკის) სახლი № 19. მესამე სართული. 6114 2—2

ლოგოპედი

ა. ა. კაიშაური

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა **ასწორებს** ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ. № 132.

13—1 ნ. 1608

დაიკარგა: პირადობის მოწმობა, მოცემული „საქ. ლენინსაგან“ № 1598 გრიგოლ დუმბაძის სახელზე, ჩ. გ. 6146

დაიკარგა: უვადო პასპორტი მიცემული ბათუმის მილიციის სამმართველოდან სიმონ კირილეს-ძე გვაზავას სახელზე, ჩ. გ. 6147

დაიკარგა: კავშირის წიგნაკი № 310387 ელენე ბესარიონის ასული კახაიას სახელზე, ჩ. გ. 6153

დაიკარგა: სამხედრო წიგნაკი № 66 და სხვა მოწმობები ალექსანდრე დიაოსის-ძე გოგუნიას სახელზე, ჩ. გ. 6152

დაიკარგა: კოოპერატივის წიგნაკი № 39730 გრიშა კოსტას-ძე ვაშაკიძის სახელზე, ჩ. გ. 6151

დაიკარგა: პროფკავშირის წიგნაკი № 2279 გაცემული საბჭ. და სავაჭ. მუშაკ. პროფკავშირის მიერ ივანე შიოს-ძე მჟავანაძის სახელზე, ჩ. გ. 6157

პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.